


სამართლის უფლების მიღებისას და მომავალი დროს  
მომავალი დროს მომავალი დროს მომავალი დროს

## გერა პარლაველიძე – 110

9007

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის  
მოსსესიათა პრეზენტი



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2013

## ნინო მინდაძე

### გერა ბარდაველიძე

1920-30 წლები საქართველოში სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის დანერგვის ხანაა. ამ პერიოდში და ცოტა უფრო გვიანაც, უცხოეთში კურსდამთავრებულმა სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერებმა, მიუხედავად ბოლშევიკური ხელისუფლების წნევისა, შექმნეს ბრწყინვალე სამეცნიერო სკოლები. მათ შორის ეთნოლოგიური, რომლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია იყო. მას კი გვერდში ედგა მისი კოლეგი, მეგობარი და მეუღლე ვერა ბარდაველიძე. როგორც მათი მოწაფეები თ. ოჩიაური და ჯ. რუხაძე აღნიშნავენ: „გარდა ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულისა, მათ მჭიდროდ აკავშირებდათ საერთო საქმე, რომელიც ორივესთვის, სიცოცხლის ბოლომდე, არსებობის ძირითად მიზნად დარჩაო (ოჩიაური, რუხაძე: 1988, 9).

ვერა ბარდაველიძე 1899 წლის 1 ოქტომბერს, რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა თბილისში მე-8 ქალთა გიმნაზიაში. მან გიმნაზია 1918 წელს, 1925 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაამთავრა. ამ დროს მას უკვე მძიმე სულიერი ტრავმა ქქონდა მიღებული. 19 წლის ვერა ბარდაველიძე თან ახლდა სპარსეთში სამეცნიერო მივლინებით მყოფ მეუღლეს სილიბისტრო ლომიას, რომელიც იქ მოულოდნელად ტიფით გარდაიცვალა. სასოწარკვეთილ ახალგაზრდა ქალს სპარსეთში მყოფმა ქართველმა მოღვაწემ ა. ხოშტარიამ გაუწია დახმარება და სამშობლოში დააბრუნა. მეუღლის დაკარგვის „მძიმე ტრავმას დაერთო მამის ტრაგიული დაღუპვა და გარკვეული პასუხისმგებლობა უსასხროდ დარჩენილი ოჯახის წინაშე. იგი მთელი არსებით დაწილა სწავლას და პარალელურად მეცნიერულ მუშაობას, რითაც ნაწილობრივ ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც მის პირად ცხოვრებაში გაჩნდაო (ოჩიაური, რუხაძე: 1988, 9).

ვერა ბარდაველიძე სწავლის პარალელურად 1920 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იწყებს მუშა-

ობას, სადაც 1928 წლამდე რჩება. 1928 წელს ვ. ბარდაველიძე ასპირანტურაში სასწავლებლად კავკასიისმცოდნეობის ხაზით ქალაქ ლენინგრადში (ახლანდელი პეტერბურგი) მიავლინეს. აქედაცნდა აღინიშნოს ვერა ბარდაველიძის პედაგოგების შესახებ. ესენი იყვნენ ცნობილიმეცნიერები ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, აკ. შანიძე, დ. უზნაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ნ. მარი, ივ. მე-შჩანინოვი, ალ. მილერი – პეტერბურგში. ამგვარად, ვერა ბარდაველიძეს მაღალი კლასის სამეცნიერო სკოლა პქონდა გავლილი. მან გადაწყვიტა ეთნოგრაფიაში ემუშავა. მრავალმხრივი განათლება, ღრმა ცოდნა იყო საფუძველი იმისა, რომ იგი სერიოზული მკვლევარი გამხდარიყო. ამას ხელს უწყობდა მისი ნიჭი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და შრომის უნარი. „ვ. ბარდაველიძე ყოველი მონაცემის, ყოველი დეტალის მრავალჯერ გადამოწმების შემდეგ ადასტურებდა ფაქტის სისწორეს, ადგენდა ლოკალურ თავისებურებებს, გავრცელების არეალსა და სიღრმისეულ მხარეებს. ძალზე ბევრს მუშაობდა, კიდრე ნაშრომს საბოლოოდ არ გააფორმებდა. მისი ყოველი გამოკვლევა გამოიჩინა მრავალგზის შემოწმებული მასალების სიუხვით, დეტალიზაციით და შემდეგ, ამის საფუძველზე, მიღებული დასკვნების განზოგადოებით. დაუზარელი. თითქმის ფანატიკური მუშაობა იცოდა და ეს პროცესი მას სიამოვნებას გვრიდა. ყოველი მიგნება, ფაქტის ამოხსნა, აღაფრთოვანებდა, ჩვეულ სიღრმეებს კარგავდა და სიხარულს ხმამაღლა გამოხატავდა. სამაგალითოყოფი იგი თავისი პროფესიონალიზმით, მისოვის არ არსებობდადიდი და პატარა ნაშრომი, თითოეულ მათგანზე მთელი გატაცებით და ძალების მაქსიმალური დამაბვით მუშაობდა. სტულდა ყველაფერი ყალბი, მოჩვენებითი, არც ხმაური და თავის გამოჩენა უყვარდარ (ოჩიაური, რუხაძე: 1988, 9).

1934 წლიდან ვ. ბარდაველიძე ქ. თბილისის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიათმცოდნეობის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში ეთნოგრაფიული კაბინეტის გამგედ იწყებს მუშაობას. მას ამ დროს დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1936-1941 წლებში გიორგი ჩიგაძა და ვერა ბარ-

დაველიძე ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში მოღვაწეობენ, შემდეგ კი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, პერიოდულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

რა პირობებში უხდებოდა ვ. ბარდაველიძეს სამეცნიერო მოღვაწეობა? საქართველოს გასაბჭოების შემდეგ როგორც გ. ჩიგაძას, ისე ვერა ბარდაველიძის პოლიტიკური განწყობა და იდეოლოგიური მრწამსი არ იყო ბოლშევიური, მათთვის არ იყო მისადები საბჭოთა მთავრობა. მაგრამ აშკარა პროტესტის უნაყოფობასაც კარგად ხდავდნენ. ეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობამაც დამტკიცა. მათ მუდმივად პქონდათ შინაგანი პროტესტი, რაც უპირველეს ყოველისა გამოიხატა იმით, რომ არც ერთი მათგანი, მიუხედავად მრავალგზის შეთავაზებისა, კომუნისტური პარტიის წევრი არ გამხდარა. მათ პოლიტიკურ საქმიანობაზე უარი თქვეს და სამშობლოს სიყვარული და ერთგულება არანაკლებ მნიშვნელოვანი სამეცნიერო საქმიანობით დაადასტურეს.

ამ ორი მეცნიერის წინაშე დიდი ამოცანა იდგა. ეთნოლოგიური მეცნიერების ორგანიზება და სწორი მართვა. ყოველივე ეს უნდა გაკეთებულიყო ისე, რომ საბჭოთა მთავრობა არ გაღინიშანებულიყო. ამ დროს შეიცვალა მეცნიერების სახელწოდებაც. ეთნოლოგის ნაცვლად, მას ეთნოგრაფია ეწოდა, რაც უთუოდ აქნინებდა მეცნიერების მასშტაბურობას. გიორგი ჩიგაძა, როგორც ჩანს, არ ემხრობოდა ამგვარ ცვლილებას. მან ჯერ კიდევ 1926 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ეთნოლოგიაზე მაგრამ იგი იძულებული იყო დაკუოლოდა საბჭოთა კონიუნქტურის ნებას. მკაცრად განისაზღვრა მეოთხოვებით – იგი აუცილებლად მარქსისტულ-ლენინური უნდა ყოფილიყო. საზღვარგარეთ კი ამ დროს ძველ სამეცნიერო მიმართულებებითან და სკოლებითან ერთად ასპარეზზე გამოვიდა ფუნქციონალისტური, ეთნოფსიქოლოგიური, მოგვიანებით სტრუქტურალისტური, ახალი ისტორიული ე.წ. ანალების სკოლა... კვლევა მიმდინარეობდა რელიგიის სოციოლოგიაში და სხვ. ყველა ამ მიმართულებებისა და სკოლების გა-

მოკვლევებს თრივე მეცნიერი კარგად იცნობდა, მაგრამ ბურუაზიული მეთოდების გამოყენება და მათი სკოლების „მიბაძვარ საბჭოთა მეცნიერებისთვის მიუღებელი იყო. ამ დროს გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე უკვე მუშაობენ გიორგი ჩიტაიას მიერ ჩამოყალიბებული საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით, რომელიც მხოლოდ 1950 წლებში იქნა წარდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე და აღიარება მოიპოვა. ეს მეთოდი ბევრად სცილდება საველე მუშაობის ფარგლებს და კვლევითი მუშაობის სავსებით სრულყოფილი მეთოდიცაა. მის საფუძველზე ქართველმა ეთნოლოგებმა შესანიშნავი ნაშრომები შექმნეს. მათ შორის გამორჩეულია ვერა ბარდაველიძის სრულიად უნიკალური გამოკვლევები.

ორ დიდ მეცნიერს შორის იმთავითვე კვლევის სფეროები გადანაწილდა. ნიკოლერი ანუ მატერიალური კულტურა და სამეურნეო ყოფა გიორგი ჩიტაიას კვლევის სფეროში მოექცა, სულიერი კულტურა კი ვერა ბარდაველიძის. ეს გადანაწილება, რა თქმა უნდა, ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან თრივე მეცნიერი ყოველ ეთნოგრაფიულ საგანსა თუ მოვლენას ფართოდ – მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის ასპექტით განიხილავდა.

საქმაოდ რთული იყო იმ დროს, როდესაც „მებრძოლ უდმერთოთა კავშირებსრ ქართველი ხალხის რელიგიურ მრწამსთან – ქრისტიანობასთან, სასტიკი ბრძოლა პქონდა გამოცხადებული, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის კვლევა. მიუხედავად ამისა ვ. ბარდაველიძე აგრძელებს თავისი დიდი მასწავლებლის ივანე ჯავახიშვილის დაწყებულ საქმეს – ქართველი ხალხის უფელესი, წინაქრისტიანული რელიგიური სისტემების შესწავლას. იმავდროულად 1941 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დვთაება ბარბარ-ბაბარ)“ ვერა ბარდაველიძემ შემოქმედებაში, სადაც ბრწყინვალე ეთნოგრაფიული მეთოდით მიღებულია შედეგები, რომლებიც ამზადებენ ახალ, უფრო დრმა დასკვნებს“ (სურგულაძე: 2005: 17). მაგრამ ახალი დასკვნების მიღებას, ახალი ეთნოგრაფიული მასალა და მრავალმხრივი კვლევა სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ, ვ. ბარდაველიძემ შეადგინა საქართველოს სულიერი კულტურის პროგრამა-კითხვარი, რომელიც ვ. რუხაძის ძალისხმევით მხოლოდ 1988 წელს დაისტამდა. კითხვარი, რომელშიც ქართული ეთნოგრაფიის თითქმის ყველა სფერო არის გათვალისწინებული, დაურიგდა კორესპონდენტებს და დაუზღდა უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას კორესპონდენტებზე,

რელიგია იყორ (ბარბარ-ბაბარი: 2006, 6). ამავე წიგნში წმინდა ბარბარეს ცხოვრების ერთ-ერთი ძევლი ხელნაწერიდან სათანადო მასალის ილუსტრაციით მან მიგვითოთ, რომ ქართულ ხალხურ სარწმუნოებრივ სისტემაში ქრისტიანული შრის გამოვლენას სათანადო ყურადღება უნდა მიქვეოდა. ქართველმა ეთნოლოგებმა ამ მიმართულებითაც წარმართეს კვლევა, ხალხურ რელიგიურ სისტემაში ქრისტიანობის ამსახველი საქმაოდ მნიშვნელოვანი მასალა გამოავლინეს და სერიოზული დასკვნები გააკეთეს.

ვერა ბარდაველიძე 1930-იანი წლებიდან ინტენსიურ საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობას ეწეოდა. მან, სვანეთში ხანგრძლივი საველე მუშაობის შედეგად, ორი მეტად საინტერესო ნაშრომი გამოსცა. 1939 წელს – „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“ I და 1941 წელს – „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დვთაება ბარბარ-ბაბარ)“, ხოლო მესამე – „ქართული სვანური გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, მონოგრაფიის სახით, მხოლოდ 1953 წელს გამოქვეყნდა. ვ. ბარდაველიძის ამ პერიოდის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ მისი მოწაფე ირაკლი სურგულაძე: „1929-1939 წწ. გამოქვეყნებული გამოკვლევები (მაგ., „ხის კულტისათვის საქართველოში“, „ბაზშის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში“, „ახალი წელიწადი ძველ საქართველოში“, „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დვთაება ბარბარ-ბაბარ)“ და სხვ. შეადგენს ერთ ეტაპს ვ. ბარდაველიძის შემოქმედებაში, სადაც ბრწყინვალე ეთნოგრაფიული მეთოდით მიღებულია შედეგები, რომლებიც ამზადებენ ახალ, უფრო დრმა დასკვნებს“ (სურგულაძე: 2005: 17). მაგრამ ახალი დასკვნების მიღებას, ახალი ეთნოგრაფიული მასალა და მრავალმხრივი კვლევა სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ, ვ. ბარდაველიძემ შეადგინა საქართველოს სულიერი კულტურის პროგრამა-კითხვარი, რომელიც ვ. რუხაძის ძალისხმევით მხოლოდ 1988 წელს დაისტამდა. კითხვარი, რომელშიც ქართული ეთნოგრაფიის თითქმის ყველა სფერო არის გათვალისწინებული, დაურიგდა კორესპონდენტებს და დაუზღდა უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას კორესპონდენტებზე,

რომელთა დასახელებისგან ამჯერად თავს ვიკავებ. მათ მოღვაწეობას უთუოდ ცალკე ნაშრომი უნდა მიეძღვნას. უბრალოდ ვიტყვი, რომ ისინი უმეტესწილად იყვნენ ამა თუ იმ კუთხის განათლებული წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ საკუთარი კუთხის ყოფას და ეთნოგრაფიული მეცნიერების მოთხოვნილებებს. კითხვარი და მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა ახალი თემების, საკითხებისა თუ პრობლემების კვლევის პერსპექტივას სახადა, რასაც ქართველ ეთნოგრაფთა მცირე კადრები ვერ ახერხებდა. ეთნოლოგიური მეცნიერების მძლავრი სკოლის ჩამოყალიბებას და მრავალმხრივ კვლევას კადრების მოზიდვა და მომზადება ესაჭიროებოდა. საჭირო იყო ეთნოგრაფთა ახალი თაობის აღზრდა. ორივე მეცნიერი აღზრდის საუკეთესო მეთოდებს ფლობდა. მათ შეეძლოთ დაეინტერესებინათ ახალგაზრდა და საუკეთესო ცოდნა მიეცათ მისთვის. კადრების აღზრდას ხელს უწყობდა ორივე მეცნიერის მუშაობა ერთდროულად სამეცნიერო და პედაგოგიურ დაწესებულებებში. ამით მათ კადრების მოზიდვის შესაძლებლობა ეძლეოდათ. შერჩეული კადრი პირველად საგელე მუშაობით უნდა ზიარებოდა ეთნოგრაფიას. გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძესთან კელზე მუშაობა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საუკეთესო სკოლა იყო. საველე მუშაობას წინ უძლოდა სათანადო ლიტერატურის გაცნობა. ექსპედიციის დამთავრებისთანავე კი უნდა მომხდარიყო მასალის გადათეთრება და კლასიფიცირება. ეს ვ. ბარდაველიძის მკაცრი მოთხოვნა იყო. შემდეგ კი იმ საკითხის თეორიული დამუშავება, რომელიც შერჩეული იყო ახალგაზრდა მეცნიერის საკვლევ თემად.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის ეს მეთოდი, ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, მათ ველზე გაყვანას, უთუოდ საუკეთესო იყო. ინტერესს უდინდებდა დამწყებ ეთნოგრაფს, აყვარებდა თავისმომავალ საქმეს...

ამგვარად, საქართველოში გ. ჩიტაიას მიერ ჩამოყალიბდა ძლიერი ეთნოგრაფიული, ვიტყოდით, ეთნოგრაფიულად წოდებული ეთნოლოგიური სკოლა, რომლის ერთერთ სფეროს ვ. ბარდაველიძე ხელმძღვანელობდა. განსაზღვრული იყო კვლევის საგანი, შემუშავებული იყო კვლე-

ვის მეთოდი, დასახული იყო კვლევის პერსპექტივები, შერჩეული იყო კადრები, იზრდებოდნენ მომავალი მეცნიერები. იმავდროულად, ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა ვ. ბარდაველიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. ისევ ირაკლი სურგულაძის სიტყვებით დავახასიათებ ვ. ბარდაველიძის მუშაობის შემდეგ ეტაპს: „50-იან წლებში ვ. ბარდაველიძე იწყებს წერილებისა და მონოგრაფიების სერიას, რომელშიც მისი სამეცნიერო შედეგები ყალიბდება ზოგადი კონცეფციის სახით. ამ პერიოდში მან პირველმა საქართველოში დაიწყო მითოსურ-რელიგიური პრობლემების კვლევა სოციალურ საფუძველზე. გამოქვეყნდა წერილები, სადაც შესწავლილია ფშავ-ხევსურეთის სალოცავების საკუთრების ფორმები, საქონელი იქნება ეს თუ სამურნეო მიწა, იკვლევს ხევსურული თემის სტრუქტურას, სალოცავის როლსა და ადგილს ამ სტრუქტურაში. ის რაც უცხოელი ავტორების, კერძოდ მ. ელიადეს შრომებში ნახეს შემდეგი დროის მკლევრებმა, ვ. ბარდაველიძეს საქართველოს მაგალითზე უკვე მიკვლეული პქონდარ(სურგულაძე: 2005: 18).

ვერა ბარდაველიძემ მართალია გაიზიარა იმდრინილები ქართველი მეცნიერების დღეს მცდარად მიჩნეული ზოგიერთი აზრი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. სამეცნიერო მოსახურებები თუ აზრები დროთა განმავლობაში იცვლება. დღეს მცდარად მიჩნეული ხვალ შეიძლება სწორი აღმოჩნდეს და პირიქით. მთავარია, რომ მან „თვალნათლივ აჩვენა, რომ მთიელთავის რელიგია არ იყო რაღაც ცალკე მდებარე, ცხოვრების დამოუკიდებელი სფერო, არამედ მთიელთა მთელი ცხოვრება, სააქაო და საიქაო, ასევე ადამიანთა ადგილი და უფლებები საზოგადოებაში, საზოგადოებისა – ბუნებაში, არის ერთი მთლიანი რელიგიურ-მითოსური მწყობრი კონცეფციის გამოხატულება, სადაც ნების გამოვლენა მხოლოდ სისტემასთან თანხმობაშია შესაძლებელი. ამ პრზიციით მან უსაზღვროდ გააფართოვა დარგის სამეცნიერო შესაძლებლობანი და ეს იმ დროისათვის პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი რამ გახდათ, რაღაც ბოლშევიკურ-კომუნისტური ობსკურანტიზმის პირობებში აკრძალული იყო როგორც რელიგია, ისე ყოველგვარი მეცნიერება რელიგიის

შესახებ (სურგულაძე: 2005: 18).

სწორედ ამ დროს ქვეყნის კ. ბარდაველიძის ფუნდამენტური ნაშრომი: *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен*. Тбилиси, 1957. ამ ნაშრომში მას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

1960-იანი წლებიდან ვერა ბარდაველიძე იწყებს თავისი ძევლი ჩანაფიქრის განხორციელებას. გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე, ეს ორი უკვე ასაკოვანი მეცნიერი, ახორციელებს მასშტაბურ, მრავალრიცხოვან კომპლექსურ ექსპერიციებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში. მათი უპირველესი მიზანია დაფიქსირდეს და აღიწეროს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლი. ექსპერიციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები. მირიან ხუციშვილის ინიციატივით მოხდა ხალხურ რელიგიურ დღესასწაულთა კინოგადადება. ეს მასალა დღეს უკვე უნიკალურია. საუკეთესო ფოტოსელოვანთა მიერ კი ძეგლების ფოტოფიქსაცია. ექსპერიციის ხელმძღვანელებმა მოახერხეს აეროფოტო გადადებების ორგანიზებაც კი, რაც იმ დროისთვის ჩვენში თითქმის წარმოუდგენელი იყო. არქიტექტორების მიერ აიზომა საკულტო ძეგლები, გაკეთდა ჩანახატები და ნახაზები, ხოლო კ. ბარდაველიძისა და მისი მოწაფეების მიერ ეს ძეგლები დეტალურად აიწერა. იმავდროულად ექსპერიციის წევრები მუშაობდნენ ეთნოგრაფიის სხვადასხვა სფეროში. მასალა შეიკრიბა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, სოციალურ ურთიერთობათა, რა თქმა უნდა, რელიგიის საკითხებზე... რაც მთავარია ექსპერიციებში მონაწილეობდნენ სტუდენტები. ისინი გამოცდილ მეცნიერთა გვერდით სწავლობდნენ ხაველე მუშაობას. ამ საოცრად დაძაბულსაველე მუშაობას, თან ახლდა ასევე დაძაბული თეორიული კალება, რამაც უმნიშვნელოვანები შედეგი მოიტანა. ისევ ირაკლი სურგულაძეს დაექსესხები: „კ. ბარდაველიძის გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორისგანსაკუთრებული აღგილი უჭირავს მის კორაჟს სახელწოდებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზო-

გადოებრივ-საკულტო ძეგლები", რომლის სამი წიგნი გამოქვეყნებულია. ეს ძეგლი მართლაც რომ ტიტანური შრომის შედეგია. მისი შესრულება მხოლოდ კ. ბარდაველიძეს მსგავსს, თავის საქმეზე ფანატიკურად შეუვარებულ ადამიანს თუ შეეძლო. მან გადაჭრა ჩვენს პირობებში თითქმის შეუძლებელი ამოცანა: აღწერა, ჩაიხაზა, ფოტოთი გადაიღო და ჩაიხაზა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკულტო ძეგლი, დაურთო მათ გარშემო არსებული ეთნოგრაფიული მასალა. ამ საქმისთვის მას არ დაუზოგავს არც ენერგიადა ისედაც შერყეული ჯანმრთელობა, არც პირადი სახსრები. პირველი ტომი ამ ნაშრომისა გამოვიდა 1974 წელს, ქალბატონი ვარას გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ" (სურგულაძე: 2005: 20).

ვერა ბარდაველიძე 1970 წელს გარდაიცვალა. სიკვდილი მისთვის მოულოდნელი არ იყო. იგი მშვიდად ელოდა აღსასრულს. მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო და სწორედ ამაზე წყდებოდა ყველაზე მეტად გული. სიცოცხლის უკანასკნელ წერამდე ვერ ელეოდა საყვარელ საქმეს, უკანასკნელ ამოსუნთქმამდე უსახავდა თავის მოწავეებს მომავლის გეგმებს, აძლევდა რჩევებს...

„ვერა ბარდაველიძის სიცოცხლე მეცნიერული სიმწიფის ასაკში შეწყდა, მაგრამ დარჩა მოგონება და მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის სოციალური კულტურის ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას საქართველოში. მაშინ იგი ნამდვილი მეცნიერული კამირი იყო. კ ბარდაველიძემ შექმნა პირველი სალექციო კურსი რელიგიის ისტორიაში, პირველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერული კვლევა-ძიების პროგრამა, რომელზეც ქართველ ეთნოგრაფთა დირექტორი თაობა აღიზარდა" – წერდა ვერა ბარდაველიძის მეუღლე, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია (ჩიტაია: 2001: 375).

ალბათ სრულყოფილად ვერ წარმოჩნდება ვერა ბარდაველიძის სახე, თუ მის პირად თვისებებზე და მაღალ ზნეობაზე არ ვიტყვით ორიოდ სიტყვას. კ. ჩიტაია წერდა: „კ. ბარდაველიძესთან მრავალი წლის ერთობლივი მუშაო-

ბის გამოცდილებამ დამანახა, რომ მისი მუშაობის ნაყოფიერება გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა საქმისადმი ფანატიკური ერთგულების, მტკიცე ნებისყოფის და გასაოცარი დისციპლინის მეოხებით" (ჩიტაია: 2001: 375). იმავდროულად ვ. ბარდაველიძე საოცარი თავმდაბლობით გამოირჩოდა. განა თავმდაბლობის საუკეთესო მაგალითი არ არის ის ფაქტი, რომ მან უარი თქვა ისტორიის მეცნიერებათ დოქტორის ხარისხს, რომელიც სიმონ ჯანაშიას წინადადებით მისთვის 1941 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დავთაება ბარბარ-ბაბარ)" უნდა მიენიჭებინათ?

გიორგი ჩიტაიამ და ვერა ბარდაველიძემ, სამეცნიეროს გარდა, ეთიკის სუკეთესო სკოლა შექმნეს. ეს სკოლა ძირითადად პირად მაგალითს ეფუძნებოდა. აი რას წერენ მათი მოწაფები: „ორივე დახვეწილი ინტელიგენტები იყვნენ. მათთვის უცხო იყო უტაქტობა, მოუზომელი სიტყვა-პასუხი, შეურაცხმულელი მიმართვა, მათი გულისწყრომა და საყვედური თავაზიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა, ისინი ერთმეორებს ავსებდნენ და საერთო აზრით, საერთო რწმენით და თავდადებით გალიეს ცხოვრების გზა ეთნოგრაფიული მეცნიერების სამსახურში (ოჩიაური, რუხაძე: 1988: 11).

დიახ, მათ არასდროს დაურღვევიათ სამეცნიერო ეთიკის დაუწერელი კანონი. რა თქმა უნდა, ზოგჯერ არ იზიარებდნენ რომელიმე სამეცნიერო აზრსა თუ მოსაზრებას. მაგრამ მათი კრიტიკა არასოდეს ყოფილა უსამსი და ცინიკური, მაშინაც კი, როდესაც ვერა ბარდაველიძე იძულებული იყო მკაცრად, თუმცა არც მოთლად უსაფუძვლოდ, გაეკრიტიკებინა თავისი, უკვე გარდაცვლილი მასწავლებელი ნიკო მარი და მის მიერვე ადრე გაზიარებული მარის ქონცეფცია. ვ. ბარდაველიძე თავის მასწავლებელს ძირითადად მარქსისტულ-ლენინური თეორიის უგულებელყოფაში და "ანტიმარქსისტულ" ანუ „ანტიმეცნიერულ" მუშაობაში სდებდა ბრალს, მაგრამ მან უთუოდ იცოდა, რომ სწორედ ეს კრიტიკა გახდებოდა ოდესმე მისი მასწავლებლის პიროვნული ღირსების დაფასების ერთ-ერთი თვალსაჩინო არგუმენტი. ამის დასტური ისიც იყო, რომვერა ბარდაველიძის სამუშაო მაგიდას მისი სიცოცხლის უკა-

ნასქნელ წუთამდე და მერეც ამშვენებდა ნიკო მარის სურათი. ნ. მარის კრიტიკა წინ უძღვდა ვერა ბარდაველიძის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომს – ხევსურული თემი, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა (ბარდაველიძე: 1952: 494-502). 1950-იანი წლები ის დროა, როდესაც საბჭოთა კავშირში კვლავ ადგილი ჰქონდა რეპრესიებს მეცნიერებათა და მეცნიერთა მიმართ. აიკრძალა გენეტიკა, კიბერნეტიკა... ფიზიოლოგიაში მუშაობა აუკრძალეს ივანე ბერიტაშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრა დაატოვებინეს სიმონ ყაუხებიშვილს... მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო. ვერა ბარდაველიძის ზემოსენებული ნაშრომი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა კომპრომისებზე უხდებოდათ წასვლა იმ ეპოქაში მოღვაწე მეცნიერებს თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის, ზოგჯერ თვით მეცნიერების გადასარჩენად და დასახული მიზნის განსახორციელებლად. გიორგი ჩიტაიამ და ვერა ბარდაველიძემ დასახულ მიზანს ნამდვილად მიაღწის – შექმნეს ქართული ეთნოლოგიური სკოლა, შეძლეს ამ სკოლის სწორი მართვა, ახალი სამეცნიერო მიმართულებების დასახვა და ისეთი სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და აქტუალობა.

დაბოლოს, არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გავიმეორო ადრე ნათქვამი – მე წილად მხვდა ბენიერება რამდენიმე წელი მემუშავა ვერა ბარდაველიძისა და გიორგი ჩიტაიას ეთნოგრაფიულ ექსპლიციებში. მათ გვერდზე ყოფნამ გამიღვიძა ინტერესი ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფის მიმართ, შემაყვარა ჩემი პროფესია.

ვერა ბარდაველიძის ნაშრომებმა, მუშაობის მისეულმა სტილმა კი მაჩვენა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეცნიერი ქალი – თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და ამ საქმისთვის თავდადებული, პრინციპული, თავდაუზოგავად მშრომელი, მომთხოვნი როგორც თავის თავის, ისე სხვების მიმართ. ამავე დროს, საოცრად გულისხმიერი, თავმდაბალი... მზრუნველი და ღირსეული მეუღლეიგი ყოველთვის, როულ პირობებშიც კი, ახერხებდა ყოფილიყო მოწესრიგებული, დახვეწილი, დიდებული...

## დამოწმებული ლიტერატურა:

- ბარდაველიძე 1941: ბარდაველიძე გ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941
- ბარდაველიძე: 1952 ბარდაველიძე გ., ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №8, 1952.
- ოჩიაური 1988: ოჩიაური თ., რუხაძე ჯ., ვერა ბარდაველიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1988
- სურგულაძე 2005: სურგულაძე ირ., ჭეშმარიტი მოძღვარი ვერა ბარდაველიძე დაბადებიდან 100 წლისთავის გამო, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXV, თბ., 2005
- ჩიტაია 2001: ჩიტაია გ., ვერა ბარდაველიძე, მოხსენება წაკითხული პროფ. გ. ბარდაველიძის სხვენისადმი მიძღვნილ სხდომაზე 1984 წელს. იხ. გიორგი ჩიტაია, შრომები, 2001

Nino Mindadze

Vera Bardavelidze

In the article there is displayed the life and scholarly activities of famous Georgian ethnologist, one of the founders of the Georgian ethnologic school – Vera Bardavelidze. Here is described the influence of her personal characteristics and scientific approaches on the development of ethnological researches in Georgia. There is considered the scholarly value of Vera Bardavelidze's works and activities.

## ნინო აბაკელია

### ვერა ბარდაველიძე – რიტუალის მკვლევარი

არსებობს სხვადასხვა ხერხი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გამოჩენილ პიროვნებათა შემოქმედების მიღწევების განხილვა. თითოეული მათგანი შეიძლება ინდივიდუალური განვითარების, ისტორიული თუ ძნელად განსასაზღვრი კოლექტური ზეგავლენების შუქ्सე განიხილოს და რომელიც ზოგადად შეიძლება გამოიხატოს სიტყვათა შეთანხმებით დროის სული.

შემოქმედების, ისევე, როგორც თავისუფალი ნების საიდუმლო, როგორც ამას ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ტრანსცენდენტური პრობლემა, რომელიც შეიძლება აღიწეროს, მაგრამ ვერ გადაწყდეს.

შემოქმედის პიროვნებაც გამოცანაა. შეიძლება ბევრი ეძიო და ბევრი მხრიდან უარ სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, მაგრამ შედეგი მაინც წარუმატებელი იყოს.

ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს პროფ. ვერა ბარდაველიძის შემოქმედებას (რომელიც სხვათა შორის პირველი მეცნიერი ქალი იყო, რომლის საიუბილეო თარიღებს საზოგადოება მის სიცოცხლეშივე აღნიშნავდა და რომელსაც ჩვენ დღეს ვიხსენებთ) მისთვის გახაგები იქნება, რომ ერთი სტატიის ფორმატში უბრალოდ შეუძლებელია მიახლოებულად მაინც გადმოიცეს ყველაფერი ის, რაც გამოჩენილმა მეცნიერმა გააკეთა თავისი დარგისთვის.

იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რას კარნახობდა ან მოითხოვდა მკვლევრისგან დროის სული ან რა ამოცანებს უსახავდა მას, უნდა გავიხსენოთ და ვახსენოთ ის მეცნიერული წრე, რომელშიც და ვისთანაც მას უხდებოდა ჯერ სწავლა, ხოლო მოგვიანებით თანამშრომლობა. მეცნიერთა ამ წრეს თბილისში წარმოადგენდნენ იოსებ ყიფშიძე, ივ. ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გრიგოლ წერეთელი, დიმიტრი უზნაძე, სილიბისტრო ლომია, სერგი გორგაძე და სხვ. რუსეთში, კერძოდ მეტერბუგში, აკად. ნიკო მარი, პროფ. ალექსანდრე მილერი და, რა თქმა უნდა, მისი მუდლე, გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფი – და კონფლიქტი,

scholars and attracts their attention much later in cultural anthropology.

The difference in the exploration of ritual is brought not only by time but also by space. In that respect one can find differences in attitudes of investigations among the western and the former Soviet scholars. The point is that, up to the 80<sup>th</sup> of 20<sup>th</sup> century the study of ritual *per se* was reduced to a minimum. It was otherwise and quite different in western science. If ritual was the means of analysis in the past, the 20<sup>th</sup> century theoreticians include ritual as one of the most important categories into larger discourses, the integral part of which it becomes. The three great discourses in which it is integrated are functionalism, structuralism and psychoanalysis...

In the light of above said Prof. Vera Bardavelidze investigating ritual as the means of analysis had prepared fertile ground for the further development of ritual examination as a discourse, which can differently elucidate the studies on the way of human consciousness and unravel the mysteries of mankind.

## ქეთევან ალავერდაშვილი

### საწესო ფერხულების შესწავლისათვის

იმ საკითხთა შორის, რომელთა მეცნიერებლი შესწავლის მნიშვნელობას ვ. ბარდაველიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მათ შემდგომ შესწავლას იმპულსი მისცა, იყო რიტუალური ფერხულები. უკვე თავის ადრეულ ნაშრომებში იგი აღწერს ფერხულებს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტების შესწავლისას სხვადასხვა სახის სასულიერო ხასიათის ტექსტებთან ერთად მოტანილი აქვს ფერხულის დროს შესასრულებელი სახიმდეროების ტექსტები. ამავე საკითხს განიხილავდა ლიფანალის მხატვრობის შესწავლისას (გამოსახულება „ფერხულთან“ დაკავშირებით). იგი თვლიდა, რომ ფერხულის შესახებ არსებულ მასალას ქართველი ტომების უძველეს სარწმუნოებრივ შეხედულებათა აღსაღენად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქორბედელა, ფერხისაი, მათთან დაკავშირებული და სხვა სასიმღეროები ხომ შვილთა შესახებ, წესჩვეულებათა და მსოფლმხედველობის ანარეკლს წარმოადგენს და გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ეს მასალა თავისებური გასაღებია ქართველ ტომთა უძველესი რელიგიის დასადგენად. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული ცეკვების თავდაპირველი აზრისა და დანიშნულების საბოლოოდ გასარკვევად საჭიროა ყველა სახეობის ქართული ცეკვის მონოგრაფიული შესწავლა (ბარდაველიძე: 1938: 10; ბარდაველიძე: 1953; ბარდაველიძე: 1968 და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში ფერხულები და მათი თანმხელები ხიმდერები შემონახულია როგორც საწესო ცეკვები, ამიტომ საფერხულო სიმღერების ფარი მთის კუთხეებში, კერძოდ, კი ხევსურეთში, გამოიყოფა საწესო საფერხულო ხიმდერების სახელწოდებით (მაისურაძე: 1971: 40).

თუშური ორსართულიანი წრიული ფერხულის წორბედელის აღწერისას ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, რომ ამ ფერხულის მიხედვით მომავლის წინასწარმეტყველება ხდებოდა: თუ ქორბედელა იქცეოდა ან ქორბედელას საგა-

ლობელი ირეოდა, მაშინ ეს საქონლის, მიწის მოსავლისა და ადამიანის ზიანს მოასწავებდა და, პირიქით, ქორბელელას ჯეროვნად შესრულება სიუხვის, სიკეთისა და ბედი-ერგის მომასწავებელი იყო. ქორბელელას საგალობელში ის ღვთისშვილი მოიხსენიება, რომლის სახელობის დღეობაზეც ეს ცეკვა სრულდებოდა, და მას მოუწოდებენ პურის მოსავლის გადიდებას და საქონლის და ადამიანების გამრავლებას. ამასთან ერთად, ვ. ბარდაველიძის მოსახრებით, ქორბელელას საგალობელი მაღლარი ვაზის კულტს ასახავდა. ტექსტის ეს ნაწილი ფერსულისაგან დამოუკიდებული საგალობლის სახითაც არის დამოწმებული ხევსურეოსა, ფშავსა და ხევში, ხოლო ცალკე ლექსად კახეთსა და ქართლში. ხევსურეოში მას ჯვარში დღეობის დროს ე.წ. ზედამდეგნი გაღობდნენ. ხატში დღეობის დროს წარმოითქმოდა ის ხევში და, ალბათ, ფშავშიც. მისი გავრცელების ესოდენ ფართო არეალი იმის მაჩვენებელია, რომ ქორბელა, როგორც საწესო საცემაო-საგალობელი, ყველა ქართველი ტომისთვის საერთო უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ქორბელელას სასიმღერო ბარკეეულ ღვთისშვილს მოიხსენიებს და მის სახელზეა განკუთვნილი, ყველას შინაარსი თავის ძირითად ნაწილში ერთნაირია და ფორმის მხრივაც ერთსა და იმავე ურაზებშია ჩამოყალიბებული. მასში მოცემულია:

1. იმ ღვთისშვილის სახელი, რომლისთვისაც დღეობაა განკუთვნილი,
2. ღვთისშვილისადმი მიმართვა პურის მოსავლის, საქონლის და ადამიანთა მატებაზე და
3. ბოლოს (ან თავში) მოცემულია ეპიზოდი ღვთისშვილის სახელობის ხატის ქარზე ალვის ხის ამოსვლის შესახებ. ქორბელელას და ფერხისაის სასიმღეროები სრულდებოდა ხატში ანუ ჯვარში ფერსულის დროს. თუშეთში ხატის მამულის გარკვეულ ადგილზე, უფრო ხშირად მამაკაცების სადგომ ადგილზე, რამდენიმე კაცი მხარი-მხარს გადაებმოდა და წრეს მართავდნენ. მეორე წეება მამაკაცებისა მათ მხარზე შეადგებოდა და აგრეთვე მხარი-მხარს გადაებმოდა. ეს ორსართულიანი წრე ხელი ნაბიჯით და სათანადო რიტმის დაცვით ხატის შენობისეკენ გაემართებოდა, თან მარჯვნივ ტრიალებდა და ქორბელელას სასიმღეროს ამბობდა. ქორ-

ბელელაზე იკვლევდნენ თავის მომავალს: თუ ქორბელელა იქცეოდა და სიმღერაც ირეოდა, მაშინ საქონელი და ადამიანი დაგვეხოცებაო და პირიქით, თუ ქორბელელა კარგად მიღიოდა და სიმღერაც შეწყობილ-შეხმატებილებული იყო, მაშინ საქმე კარგად წაგვივაო. ხატის კართან ქორბელელა იშლებოდა და სიმღერაც წყდებოდა. ხევსურული ფერხისაიც ხატის მახლობლად დგებოდა. მოცემავენი ერთმანეთს ხელისხმ გადაებმოდნენ და წრეს აკეთებდნენ. წრის მონაწილეები ორ გუნდად იყენენ გაყოფილნი და მათი მეთაურები წრეში ერთი-მეორის პირდაპირ იდგნენ. წრე დაიწყებდა მარჯვნივ ტრიალს, თან ხელი ნაბიჯით მიემართებოდა ხატის კარისაცენ და თან ფერხისაის სასიმღეროს ასრულებდა. სიმღერას იწყებდა ერთი გუნდის მეთაური და მას მისი გუნდი ბანს აძლევდა, შემდეგ მეორე გუნდის მეთაური იმავე სიტყვებს გაიმეორებდა და მისი გუნდი კი მას ბანს მისცემდა. ხატის კარის შორიახლო ფერხისაი დაიშლებოდა და სიმღერაც შეწყდებოდა. ხშირად ეს ფერსული დღეობის დასასრულს ხატიდან წასვლის დროს იმართებოდა, წრე ხატის მოშორებით დგებოდა და სოფლისკენ მიემართებოდა. მაშინ ამ ფერსულში ქალებიც იდებდნენ მონაწილეობას (ბარდაველიძე: 1938; ბარდაველიძე: 1953; ბარდაველიძე, 1968).

ვ. ბარდაველიძე თვლიდა, რომ წრიული ცეკვების აზრია და დანიშნულებას კარგად გამოავლენს საწესო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელშიც წრიული ცეკვები შედიოდა, როგორც საწესო მოქმედების ერთ-ერთი სახეობათაგანი. მაგალითისთვის ავტორი განიხილავდა „ბატონებთან“ დაკავშირებულ „თავშემოვლებისა“ და გარშემოვლის რიტუალს, როდესაც ხორციელდებოდა წრის სახის ქმედებანი. გარშემოვლა ხდებოდა ცეკვითა და გალობით. იგი მიიჩნევდა, რომ ბატონებთან დაკავშირებული თავშემოვლების რიტუალი, ცხოველების ამა თუ იმ ღვთაების სახელზე დაყენების რიტუალი, წმ. ბარბარესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და ხევ. საშუალებას იძლევა ჩავთვალოთ, რომ მზის ღვთაების ეპიზოდები, ემბლემები, მისოვების მიღვნილი საგნები ასახავენ ამ მნათობის ოვისებებს – სიმრავლეს, ნაოებას, ბრწყინვალებას. ამ

თვალსაზრისით, შეწირვის თავისებური რიტუალის გან-  
ხილვისას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტს ასტრალური  
დღვთაებისადმი მიკუთვნებულ ობიექტად ძიცვდა, იგი ას-  
კენიდა, რომ აქ აქცენტირებული იყო მნათობთა ერთ-ერთი  
კენიდა, რომ აქ აქცენტირებული კი წრიული მოძრაობის, ტრი-  
თვალსაჩინო მხარე, კერძოდ კი წრიული მოძრაობის, ტრი-  
ალის დინამიური თვისება. ის ფაქტი, რომ შეწირვის რი-  
ტუალის ჩატარების შემდეგ ცხოველი გადაიქცეოდა წმინ-  
და ცხოველად, გვაძლევს გასაღებს ამ თავისებური რი-  
ტუალის თავდაპირველი აზრის გაგებისათვის. როგორც  
ჩანს, ითვლებოდა, რომ წრიული მოძრაობის საშუალებით,  
აგრეთვე წითელი და ოეთრი ფერის ტანსაცმლის ჩაცმით,  
ხედებოდა ასტრალურ დღვთაებათა ბუნებასთან ზიარება, ზე-  
ციურ მნათობთა თვისებებისა და ძალის მიღება, მათ მო-  
ძრაობაში თანამონაწილეობის გზით შესაძლებელი იყო  
ასტრალურ დღვთაებათა წრეში მოხვედრა და მათ სახელზე  
შეწირვა. ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, რომ წრიული სახის  
მოქმედებანი უკავშირდება ასტრალური საფეხურის სარ-  
წმუნოებრივ მსოფლმხედველობას. ქართველთა სარწმუნო-  
ებრივ წარმოდგენებში წრისებური და მრგვალი ობიექტები  
მზისა და სავსე მოვარის გამოსახულებებთან იყვნენ და-  
მსგავსებული და ასოცირებული. მისი აზრით, უმართებუ-  
ლო არ უნდა იყოს, თუ დავასკვნით, რომ ასტრალური რე-  
ლო განვითარების მაღალ საფეხურზე ქართველ ხალ-  
ლიების განვითარების მაღალ საფეხურზე ქართველ ხალ-  
ლში უნდა არსებულიყო ძველი აღმოსავლური რელიგიუ-  
რის დამახასიათებელი, წრიული ბრუნვის სწავლება,  
ბისოვის დამახასიათებელი, წრიული ბრუნვის სიკვდილ-სიცოცხლის ბედი  
რომლის მიხედვით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის ბედი  
დღვთაებრივი ბედის მამედავნებელ მნათობთა წრიულ ბრუნ-  
ვის უკავშირდება. ქართველთა რელიგიურ პრაქტიკაში ეს-  
თ დღეს ფეხმოკიდებული და გავრცელებული ცეკვები მიძ-  
ოდენ ფეხმოკიდებული და გაღმერთებული ნაყოფიერების ძა-  
გნილი იყო დღვთაებების, გაღმერთებული ნაყოფიერების ძა-  
გნილი იყო და ბუნების აღორძინების განდიდებისადმი, ამავე  
დროს, ცალკეული გმირებისადმი. ამგვარი საწესო ცალკების  
წარმომსახველი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, მისი აზ-  
რით, ქალ-ვაჟთა და ითიფალურ მოცეკვავეთა ჭრელები,  
რომლებიც ლიფანალის საწესო მხატვრობაში აღიბეჭდა  
(ბარდაველიძე: 1953: 129-131; ბარდაველიძე: 1957: 196-197).

წრე ქარდინალურ სიმბოლოთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს და, როგორც ცნობილია, თავისუფალი, ძალდაუგინებელი მოძრაობა წრიული, მომრგვალებულია, ხოლო განებელი მოძრაობა წრიული, მომრგვალებულია, ხოლო მისგან განსხვავებით შეჩერება, სტაბილურობა უკავშირდება კუთხოვან ფიგურებს, მკვეთრ და წყვეტილ, არათანაბარ ბა ქაზარები (შევალიქ, გმერბრანი: 1973: I; ქარლობი: 1994). ხაზებს (შევალიქ, გმერბრანი: 1973: I; ქარლობი: 1994).

მნიშვნელოვანია, რომ უკრძალები არის იმის  
ურთმანეთზე მხარი-მხარს გადაბმული მოცეკვავენი ტრია-  
ლუბების წრის ცენტრში მდგომი ხევისბერის გარშემო, რო-  
მელი სელსაც ხელში დროშა უჭირავს. წრის შუაგულში შეიძ-  
ლება იდგეს ან ხევისბერი დროშით ხელში, ან დასტური,  
ლუბა იდგეს ან ხევისბერი დროშით ხელში,

მეფერხულეთა წრის ცენტრში ხმორად ფიგურულ განვითარებულ კოშკი, რეალურად არსებული ან თოვლისგან სპეციალურად აშენებული. თვით მეფერხულეთა წრეც, როდესაც ერთმანეთის მხრებზე შემდგარი ადამიანები ფერხულს ცაკვავენ, განიხილება, როგორც სართულებიანი ნაგებობა, ერთგვარი კოშკი თუ ციხე. სვანეთში დღესასწაულს „კოშკობას“ (მურყვამობას) უწოდებდნენ, თუშეთში ცენტრში მდგარ მუსიკოსს „მეციხოვნებს“ ეძახდნენ. საყურადღებოა ფერხულთა სახელწოდებანიც - „კორბელელა“, „ციხებულა“ და ა.შ. კოშკი, ციხე ცენტრისა და მასზე გამავალი დერძის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს ხის, დროშის, სალოვანის და ხევა სიმბოლოთა მსგავსად.

სალოცავის და უკავის მიერთ განვიხილოთ ორ ფერხული “ქორბელელი” შეიძლება განვიხილოთ ორ ფორც სართულებიანი, მაღალი შენობა (შეად. სულხან-გორი - სახლი სახლზეც აგებული; ქორედ-ქორედი საბა: „ქორი - სახლი სახლზე შენებული“ (სულხან-საბარ თხის, ხუთი სახლი სახლზე შენებული“ (სულხან-საბარ თხელიანი: 1966), „ქორბელელად დაწყობა“, „დაბეღვლა“ საკულტო ბელლის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებული ტექნიკური ხერხის აღმნიშვნელია და გარდიგარ დორ დაწყობას ნიშნავს (ბარდაველიძე: 1974: 18)).

კოშკი ეწოდებოდა აგრეთვე ზოდიაქალურ თახავო-  
ს სკოლავედს, ბურჯს (სულხან-საბა, 1966; აბულაძე, 1973).  
საკვლავედს, ბურჯს (კოშკი, გოდოლი) საბჯენს, საყრ-  
თავის მხრივ, ბურჯს (კოშკი, გოდოლი) საბჯენს, საყრ-  
დენს, მზიდ კონსტრუქციას (მაგ. მასიურ ბოძს) აღნიშნავს  
(კაირკავლია: 1971: 38).

კვირა გენერალი ა. ა. ს. მ. ცნობილია კორელაცია შენობასა და კოსმოსს ძო-  
რის. საცხოვრებელი შენობა განიხილებოდა როგორც კოს-

ცნობილია ვაროოდ გავრცელებული, დაიკვიდუებ  
ლი მოტივი ქართულ ფოლკლორში, რომელიც ერთმანეთს  
უკავშირებს ციხის დაზღრევა-წაქცევას და ადამიანის სიკუ-  
ლილს. ავის მომასწავებელია დღეობის დროს ვერცხლის  
შენობის შესრულებისას არევ-დარევა და მოცეკვავეთა შენობის  
დაშლაც. ერთი გადმოცემით, საგვარეულო კოშკის გადაქა-  
ნებისას, მისი გასწორება მის გარშემო ვერცხლის შესრუ-  
ლებით ხდება.

ბალბური ლექსის მიხედვით, სამყაროს შუაგულის აღმართული კოშკი ერთგვარი გნომონის, ღერძის ოოლს ასრულებს, ოომლის გარშემოც წუთისოფელი ბრუნავს (ჭინჯარაშვილი: 1985: 139).

ხე და კოშკი ურთიერთმონაცვლე, იღებული ნიმუში სახით არიან შეერთებული. ლოებია, რომლებიც ცასთან შიბით არიან შეერთებული. ეს უკანასკნელი მომენტი კი ხისა და კოშკის სიმბოლიკის კოსმოგონიურ განკუთვნებაზე მიუთითებს. ანალოგიური მნიშვნელობა პქონდა ირმის რქებსაც (სურგულაძე: 1986; ხიადაშვილი: 2004).

ხიდა ძელი: 2004).  
ხის, კოშკის, ღედაბორის, რქების, ჯაჭვის (ძევავის), შიბის ვერტიკალურობა, ე.ი. “ზე” და “ქვე” სამყაროთა შორის გადამყვანი და ცენტრზე გამავალი საკომუნიკაციო საშუალების ფუნქცია ცნობილია და გამოვლენილია საფოლენი ეფექტების საფუძველზე.

საღლის ხავერდა „თ. ამ მხრივ, საინტერესოა. ე.წ. „ზემყრელო“ – საორჟ-ლებიანი ფერხულის შესწავლა (ალავერდაშვილი: 2005).

წრიული ფერხულები გამოხატავს მთელი საყვარეს, კერტიკალზე განლაგებული მისი სამივე ღონის წრებრუნვის დროს იდეას სამყაროს ღერძის გარშემო, ვისა და მიწის კავ-შირს საკრალურ ცენტრში, დროის ციკლურ მდინარებას, რაც ბუნებრივია, უკავშირდება წესრიგს, ნაყოფიერებას, კუთილდღეობას და ა.შ. (ალავრდაშვილი: 2000).

გასაგები ხდება ხალხში არსებული შეხედულება დღეობებზე ფერხულის ცეკვის აუცილებლობის შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი წრე აუცილებლობის ძალით გულისხმობს ცენტრის არსებობას. როგორც კი მოცეავავენი წრეს შეკრავენ, წრის შიგნით წარმოიქმნება საკრალური სივრცე თავისი ცენტრით. ფერხულებში ეს ადგილი შეიძლება ეჭიროს ხატის მსახურს ხატის დროშით ხელში, დასტურს საკრალური ლუდით, მეჩინგურეს (რომელსაც „მეციხოგნეს“ ეძახიან), მოცეავეთა წრის შუაგულში შეიძლება აღმოჩნდეს ხე, სალოცავი, ციხე, კოშკი (სვანეთში თოვლის კოშკი შუაგულში ჩაგანგებული ჯოხით) და ა.შ., რომელსაც მეცერებულენი გარს უვლიან. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახით ცენტრი ერთგვარად მატერიალიზებულია. როგორც ცნობილია ხეც, ხატის დროშაც, ციხეც, კოშკიც, სალოცავიც საკრალურ ცენტრზე გამავალი სამყაროს ღერძის სიმბოლოებს წარმოადგეს, ასე რომ საქმე სამყაროს ღერძის გარშემო ვერტიკალურად განლაგებული კოსმოსის ყველა დონის წრებრუნვასთან გვაქვს. გასაგები ხდება ფერხულის შესრულების მიხედვით წინასწარმეტყველების შესაძლებლობაც. ფერხულისა და მისი თანმხელები სიმდერის არაზუსტ, არარიტმულ, ცუდ შესრულებას, წყვეტილ მოძრაობებს და არევ-დარევას სამყაროში ქაოსი, არეულობა შეაქს და შედეგად სიკვდილიანობა, უნაყოფობა და სხვა უბედურებანი მოპყვება. და პირიქით, ფერხულის სწორი, რიგმული, კარგი შესრულება სამყაროში წესრიგის, მშვიდობისა და ნაყოფიერების გარანტია. (გავისხენოთ აგრეთვადაყირავებული კოშკის წინანდებურ მდგომარეობაში დაბრუნება ანუ წესრიგის აღდგენა და დარტყმებისგან საზოგადოების დაცვა ფერხულის შესრულების საშუალებით).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ დღის წესრიგშია პროფ. გ. ბარდაველიძის მიერ დასმული საკითხი ყველა სახეობის ქართული ცეკვის მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

### დამოწმებული ლიტერატურა:

აბაკელია: 1991 – Абакелия Н., Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991

ალავერდაშვილი: 2000 წ ალავერდაშვილი ქ., ცენტრის სიმბოლიკისათვის ზოგიერთ ქართულ ფერხულში. „ანალები“, №1, 2000.

ალავერდაშვილი: 2005 წ ალავერდაშვილი ქ., წრიული რიტუალური ფერხულების სიმბოლიკისათვის ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მსე, XXV, ობ., 2005.

ბარდაველიძე: 1938 – ბარდაველიძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სახულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ნაკვეთი I. ტფ., 1938.

ბარდაველიძე: 1953 – ბარდაველიძე გ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. ობ., საქმეცნ. აკად. გამომც., 1953.

ბარდაველიძე: 1968 – ბარდაველიძე გ., სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. ფშავე. ობ., „მეცნიერება“, 1968.

ბარდაველიძე: 1974 – ბარდაველიძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. ფშავე. ობ., „მეცნიერება“, 1974.

ბარდაველიძე: 1957 – Бардавелиძе, В.В. – Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, Изд. АН Грузинской ССР, 1957.

ელიადე: 1949 – Eliade, M. – Le mythe de l' éternel retour. Paris, 1949.

ელიადე: 1965 – Eliade, M. – Le sacré et le profane. Paris, Gallimard, 1965.

ელიადე: 1987 – Космос и история. Москва, „Прогресс“, 1987.

ენოლოგი: 1994 – Керлот, Х.Э. – Словарь символов. Москва, Refl-book, 1994.

ეფირეველი: 1971 – კვირკველია თ., ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. ობ., „განათლება“, 1971.

- მაისურაძე: 1971 – მაისურაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა. თბ., „მეცნიერება“, 1971.
- მითები: 1992 – Мифы народов мира. Энциклопедия. В 2-х т., М., Сов. Энц., 1992.
- სურგულაძე: 1986 – სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., „მეცნიერება“, 1986.
- შევალიე, გეებრანი: 1973 – Chevalier, Gheerbrant – Dictionnaire des symbols. t.I.Paris, Seghers, 1973.
- ჭინჭარაული: 1985 – „ლექსოფარ დაიკარგები“, თბ., „მერანი“, 1985. რედ.-შემდგ. ალ. ჭინჭარაული.
- ხიდაშელი: 2004 ხიდაშელი ბ., არქაული ეპოქის დღეობებზე შესრულებული რიტუალების კოსმოგონიური კონცეფცია. მსე, XXVI, თბ., 2004.

**Ketevan Alaverdashvili**

### Towards the investigation of ritual round dances

The article aims to show Vera Bardavelidze's contribution in the study of ritual round dances. Already in her earlier papers she had written about the meaning of ritual round dances and remarked that their study represents a special key in the investigation of ancient beliefs of Georgians.

In this article, round ritual dances are associated with the idea of the whole many – stored Universe, which rotates around its *axis mundi* and penetrates the sacred Center.

Every circle, as required, implies the existence of a center. As soon as the participants of the round dances describe a circle, a sacred space with its center appears inside it. In the round dances this place is consecrated by a servant of a sanctuary with a sacred banner in his hands, or by a musician (called a tower guard) playing on a national stringed instrument. A tree, a sanctuary, a tower (also a snow tower with a stick inside it) etc. can also stay at the center of the circle, around which the participants perform round dances. By means of which the center is as if materialized.

Special interest is paid to the symbolic meaning of tower, as to the symbol of center and its association with many circled round dances, which here are compared with the architectural construction (building).

According to the local beliefs, wrong, inaccurate or non-rhythmic performance of round dances, as well as falling, discontinuous motions, introduced chaos into the world and consequently resulted crop-failure, cattle-plague, illness and death of people and the reverse. Here must be also noted that the situation could be improved by the right performance of the round dance).

The upper circle i.e. the upper storey of the round dance or the "building" (construction) is identified with the Heaven, the lower one – with the Earth. In one of the texts of the round dances "(with) hair hung in the Heaven..." is mentioned, which accordingly might be the means of communication between the vertically situated circles or levels of the Universe.

## როზეტა გუჯეჯიანი

### „კვირია“ ტრადიციულ ქართულ კულტურაში

ქართულ სამეცნიერო ლიტარატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ქრისტიანობამდელ ქართველთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა სპეციურში ღვთაება „კვირიას“ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და ის „მორიგე ღმერთის“ მოადგილე და „სქესობრივი ხიყვარულისა და შვილოსნობის ძფარეული ღვთაება“ იყო (ჯავახიშვილი 1979: 110), რომელსაც, ასევე, ღვთაების სამართლიანობის დამყარება („ხმელთ მოურავი“) ევალებოდა მორიგე ღმერთისგან (ჯავახიშვილი: 1979: 102-116). იგანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება გაზიარებულია შემდგომი დროის მკვლევართა ნაშრომებშიც: „კვირია – ბუნების მაწარმოებელი ძალა“ (არაყიშვილი: 1950: 21), „ხვანების პანთეონის მთავარი ღვთაებები – კვირია, ჯგრაგ, ლამარია ... ხვანების ღვთაებათა პანთეონში კვირიას ეჭირა ერთი მთავარი აღვილი...“ (მამალაძე: 1972: 197) და ა.შ. ანუ, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ღვთაება კვირიას არსებობა ხვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციულ ყოფაში, დადასტურებულ ფაქტად არის მიჩნეული.

ღვთაების სახელი „კვირა“//„კვირია“ იგანე ჯავახიშვილის დაკვირვებით „კვირა“ დღის სახელწოდებიდან მომდინარეა, „იმიტომ რომ იმ ღვთაებას, რომელსაც შეძლებ ეს სიტყვა საკუთარ სახელად გადაექცა, შვიდეულ ში სწორებ ეს დღე პქნება მიკუთხნილი... კვირას მეგრულად „უშხა“, ჭანურად „ბჟახხა“ და ხვანურად „მიულადებ“, ანუ „მზის დღე“ პქვია. მაშასადამე, თუ მართლაც ამ ღვთაებამ ზემოაღნიშნულ მიზეზის გამო მიღო „კვირია“-ს სახელი, მაშინ იგი ჩვენ უნდა „მზე“-ს ღვთაებად ვიცნათ, მაგრამ მზის სქესის გამო ეს საეჭვოა“ (ჯავახიშვილი 1979: 116). იქვე იგანე ჯავახიშვილი სხვა ვარაუდსაც გამოთქვამს: „შეიძლება აგრეთვე „კვირია“ ძეველს მცირე აზის საბერძნეთში გავრცელებული სახელის „პირია“-სგან იყოს წარმოდგარი, რომელიც „უფალხა“ პნიშნავდა“ (ჯავახიშვილი 1979: 116). ამ საკითხს იგანე ჯავახიშვილი სხვაგა-

ნაც უბრუნდება და უშვებს, რომ „კვირია“ ქრისტიანული თეონიმია, რომელმაც შეცვალა ამ ღვთაების თავდაპირული წარმართული სახელი (ჯავახიშვილი: 1950: 204). ყვიქრობ, იგანე ჯავახიშვილის ეს დასკვნა გასაზიარებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტებში გამოკვეთილ „კვირიასთან“ დაკავშირებით, ასევე, სვანურ ტრადიციასთან მიმართებითაც და მავე კონტექსტშია განსახილებული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში შემონახული საგალენიო საგალობლის „კირიელებისთნის“ ხალხური გარიაციები.

ეთნოგრაფიული მასალა, რომელსაც იგანე ჯავახიშვილი ეყრდნობა და ზემოთ მოყვანილი დასკვნის სახით კინაზოგადებს „კვირიას“ გენეზისსა და აღგილს ქართულთა წინარექრისტიანულ სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრისად და XX საუკუნის დასაწყისის ამსახველია. სამეცნიერო ლიტერატურში, სვანეთის დაკავშირებით, ღვთაება კვირიას არსებობის შესახებ მსჯელობა გაშლილია, მირითადად, ბერიკაობა-უენობის ლოკალური ვარიანტების დროს შესრულებული საგალობლის – „კვირიას“ – საფუძველზე.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „კვირიასთან“ დაკავშირებით ორი საყურადღებო მომენტი იკვეთება: სვანეთის შესახლეობისთვის „კვირია“ მხოლოდ და მხოლოდ საგალობელია, ქრისტე მაცხოვრისადმი მიძღვნილი საღიღებული და მისი აღვლენა ქრისტიანულ აღმსარებლობასთანად დაგავშირებული; ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში კურადღება მახვილდება საგალობლის არქაულ მირებზე უდა საუბარია ღვთაება „კვირიას“ არსებობაზე სვანეთის ტრადიციულ ყოფაში.

მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალის დეტალური შესწავლა ავლენს, რომ ტერმინი „კვირია“ შემონახულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოს მთაში, მაგრამ არსად არ არის დაფიქსირებული „კვირიას“ როგორც ღვთაებისდმი მიძღვნილი რიტუალი ან აუცილებელის ფრაგმენტი. ტერმინი „კვირია“ შემონახულია მსჯელოდ დოკუმენტებში, საგალობლის სახელად და მს სკლებიათა (ჯვარ-ხატოა) და საგალენიო დღეობათა

აღსანიშნავად, რომლებიც მაცხოვრის ან კურაცხოვლობის სახელზეა აგებული.

სვანეთის ტრადიციულ რწმენა-წარმოღვენათა სპექტრში დგომა კვირიას არსებობის ვარაუდის გამოოქმინებას ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობა ა. ონიანის ჩანაწერებს (არსებ ონიანი, „ლუშნუ ამბჯარ“), რომელშიც საუბარია კვირიას საგალობელზე: დიდმარხევის პირველ, ეწ. შავორშაბათს, ლაშებეთის თემის სოფელ ჟახუნდერში იმართული მურყვამობის დღესასწაული, სადაც „პირიად დერთა“-ს სიმღერა, ანუ საგალობელი“ სრულდებოდა. არსებ ონიანის მიერ აღწერილი რიტუალები აღრესაგაზაფხულო ციკლის ხალხური დღესასწაულია („ლიმურყვამალ“ – მურყვამობა//კოშკობა). ამ დღეობაზე (ლაშებეთის თემი, სოფელი ჟახუნდერი) სრულდებოდა რამდენიმე სხვადასხვა რიტუალი//თამაშობა//სიმღერა: „აღრეკილავ“, „მელიავ ტულეფიად“//ტელეფიად“, „პირიად“, ფერხული „ჭიშხაშ“ და სხვაკორონები სიმღერა. აღრეკილასა და მელიავ ტულეფიას //ტელეფიას რიტუალები შეიცავს არქაული კულტურიდან მოღინარე ზოგიერთ ელემენტს და მიუკუთხნება აღრესაგაზაფხულო, საკარნავალო ტიპის დღეობებს. ეს რიტუალები სრულდებოდა ყველიერის კვირაში. ყველიერში მოედ საქართველოში (და, ასევე, მსოფლიოს მრავალი ეთნოსის ტრადიციაში) საკარნავალო ელემენტებით გაჯერებული რიტუალები ტარდებოდა. „პირიასხონ“ დაკავშირებით არსებ ონიანი წერს: „არცერთი სასოფლო ლოცვა არ იქნება, რომ პირველად „პირიად“ არ თქვან. „პირიადაც“-ის თქმის დროს ყველანი პირს აღმოსავლეთისაკენ იზამდება და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე. ეს საგალობელი ლვითის დიდი საგვარეულებისა და მისი წარმოთქმის დროს ყველა ქუდმოხდილის და პირჯვარს იწერს. ეს საგალობელი მარტო მოხუცებულებსდა ახსოვთ... ამის შემდეგ ონიანისეული აღწერილობა მთავრდება და ივანე ჯავახიშვილი სვამპს კითხვას: „პირიადს შესახებ ცხობაც ამით თავდება, ონიანს სამწუხაოროდ არაფერი აქვს ნათქვამი, ან ამ საგალობელებს რა პირობებში და როგორ წარმოსთქვამენ, ან თვით საგალობლის სიტყვები რა ნაირია, ან ამ საგალობლის წარმოთქმას რა მოჰყვება ხოლმე, ან დასასრულ პირ

რიად რა ლეთაებად ეხატებათ სვანებს და რას შესთხოვებ  
მას? ამგვარად, არს. ონიანის ცნობა სწორედ უმთავრეს  
საკითხებზე სდუმს და ეს გარემოება მკვლევარის მდგო-  
მარებას მეტად აძლევებს” (ჯავახიშვილი 1979: 104-105).  
მკვლევრის მიერ დასმულ ამ კითხვებს პასუხი გაეცა  
ლეთაება კვირიას შესახებ არსებულ ვრცელი მსჯელობა-  
ში, რომელიც წარმოდგენილია ჯ. ონიანის სადისერტაციო  
ნაშრომში. ჯ. ონიანი აღწერს ბერიკაობის ზოგიერთ ლო-  
ქალურ სვანურ ნაირსახობას ჟაბეშისა (ზემო სვანეთი)  
და ლაშეთის (ქვემო სვანეთი) მაგალითზე: ყვალიერის  
ძეგბის დროს სოფელ ჟაბეშში იმართებოდა დღეობა “აღ-  
ბა-ლადრალი”, რაც სალიტერატურო ქართულით “აღების  
სიმღერა”-ს ნიშნავს. ჟაბეშელები თოვლის ორ კოშკს აშე-  
სებდნენ. ერთი კოშკი უფრო დიდი იყო და მისი აგება კვი-  
რისთვის უნდა დასრულებულიყო. თითბრის ბუნიკით და  
უკრალი ნაჭრებით მორთულ ჯოხს – “დროშას” – ამ კოშ-  
კში ჩაასობდნენ. პარასკევასა და შაბათს კოშკთან კვირიას  
იგალობრებდნენ. კვირას ყაენობის რიტუალი იმართებოდა.  
შესზე შემდეგი პერსონაჟები: დედოფალი, საქმისაი, ყაენი,  
უფოფელის მოახლეები და ა. შ. მონაწილეობდნენ. დღე-  
ობა მთავრდებოდა კოშკის დროშაზე წამოცმული ქუდის  
ნამოგდებით (ონიანი: 1969). ქვემო სვანეთში ამ დღეობას  
შერყვამობა-კვირიეობა ერქვა და იგი გრძელდებოდა ყვე-  
ლიერის ხუთშაბათიდან კვირამდე. დღეობა კვირიას საგა-  
ლობლის შესრულებით იწყებოდა. მას მედღესასწაულენი  
თუ გუნდად გაყოფილი ასრულებდნენ და შემდეგ ცდი-  
ლობდნენ თოვლის კოშკის გადაქცევას მოპირდაპირე მხა-  
რისაკენ” (ონიანი: 1969).

ჯ. ონიანის ნაშრომზე დაყრდნობით ი. სურგულაძე  
ქართველების აზრს, რომ „საინტერესო კველიერის სანახა-  
მდე სვანეთში, სადაც ამ დღესასწაულის არქაული ვერსიე-  
ბის შემონახული. აღსანიშნავია, რომ კველიერის მასკა-  
რალ-თამაშობანი სვანეთში დაფინანსირდება ქვირიას სახელზე  
საკუთრებოდა“... (სურგულაძე 2003: 107-108).

ა. ონიანისა და ჯ. ონიანის მიერ ჩაწერილი ეთნოგრა-  
ფიული მასალა იძლევა სხვაგვარი დასკვნის გამოტანის  
სულებასაც, რადგან მასალის დეტალური ანალიზი არ

ადასტურებს დვოთაგბა კვირიას სახელზე შესრულებული რიტუალების ან დღეობების არსებობას, მასალა ავლენს მხოლოდ საგალობელ “კვირიას” აღვდენის ტრადიციას სვანეთის ხალხურ დღესასწაულებში<sup>1</sup>. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში ფიქსირებული “კვირაუ/კვირიას” ეპითეტებსა და ფუნქციებს განსხვავებული ინტერპრეტაციას უძებნის ანდრო ლეკიაშვილი (ლეკიაშვილი 1985; ლეკიაშვილი 1986, ლეკიაშვილი 1987).

სვანეთში საწესო-სარიტუალო პრაქტიკაში შემონახულია საგალობლის რამდენიმე ვარიანტი: საგალობელის ერთი სახეობა დიდი საუფლო დღესასწაულების, სათემო-სატაძრო დღეობების (მაგალითად, ლაშოვერის ბარბარობისას), საწესო სუფრის დაწყების წინ, ასევე, ხალხური დერსასწაულების – ლიკურიელის, ბერიკაობა-ყევნობისა (მურვეამობა, აღბა-ლაღრალი...) და სხვა რიტუალების დროს სრულდება, მას პირობითად სახეიმო, სადღესასწაულო კვირია შეიძლება ეწოდოს; თავის მხრივ, ამ ვარიანტს კიდევ რამდენიმევარიაცია აქვს. „კვირიას“ შეორე სახეობა სამგლოვიაროა და დაკრძალვის დღის სამგლოვიარო რიტუალის თანმხლებია. ხოლო მესამე სახეობა – „კვირიოლა“ – იგალობება დარ-ავდრის გამომწვევი რიტუალების დროს. დიდი საუფლო დღესასწაულების დროს „კვირიას“ გალობდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით მუხლზე დაზიანდნენ, ქუდმოხდილი მგალობლები, სამგლოვიარო „კვირიას“ და „კვირიოლას“ ფეხზე დგომით ასრულებენ.

„კვირიას“ შესრულების წესი აღწერილია ეთნომუსიკოლოგთა მიერ: „არსებობს საწესო სიმღერები („ჯორული“, „ჯგრაგი“, „გა“, „კვირია“...), რომელთაც კულტის მსახურნი ასრულებენ... ამ სიმღერებს მხოლოდ ღრმად მოხუცები მდერიან... ამ საწესო სიმღერებს ასრულებენ

<sup>1</sup> დასავლეთ საქართველოს, აერთოდ, სვანეთის მასალა განხილულია მკვდევართა ჯგუფის მიერ და გამოთქმულია მოხაზუება, რომ „კვირია“ სვანეთის მაგალითზე მხოლოდ საგალობლის სახელია და წმინდა ეთნოგრაფიული მასალით, მსგავსი „დვოთაგბის“ ხსოვნა სვანეთის ყოფაში არ იძებნება (გუჯეჯიანი, ჩამგელიანი, ცინცაძე, ჭეიშვილი 2011).

მხოლოდ გარკვეული საქულტო რიტუალის დროს და სუფრის დასაწყისში, როგორც გარკვეულ სარწმუნოებრივ აქტებს” (ასლანიშვილი: 1954: 256); „სიმღერები, რომლებიც უძღვნებათ სვანური პანთეონის მთავარ დვოთაგბებს – კვირიას, ჯგრაგს, ლამარიას... – ამჟამად ქორეოგრაფიული ნაწილის გარეშე სრულდება. მუხლებზე დაზიანდნი, აღმოსავლეთისკენ პირშებუნებული, ქუდმოხდილი კაცები მდერიან. ცნობების თანახმად, საგალობლების შესრულების უფლება, ძველად, მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ წევრებს ჰქონდათ. კვირიას შესრულების წესი და დრო აღწერილი აქვს ბევრ ავტორს, რომლის შესახებაც აღნიშნულია, რომ სვანეთში არც ერთი რელიგიური დღესასწაული არ ტარდება ისე, რომ, იქ კვირიას საგალობლები არ შესრულებულიყოს. თვით საგალობლის სახელწოდებაც საფუძველს იძლევა, რომ ეს სიმღერა-გალობა და შეძინებები სვანებმა შექმნეს დვოთაგბა მკირიას სადიდებლად” (მამალაძე: 1972: 197). ვ. ახობაძემ კალის წმიდა კვირიას („ლაგურკა“) ეკლესიასთან ჩაწერა კვირიას საგალობელი (ორებმიანი): „მკირია მხოლოდ კვირიას ეკლესიას ექვთნის. მას ეკლესიდან დროშის (ხატის) გამოსულების დროს მდეროდნენ (თორმეტჯერ) და დროშის სიმღერითვე ჩაასვენებდნენ უკან“ (ახობაძე: 1957: 10). ვ. ახობაძის მასალასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ „კვირია“ არ იყო მხოლოდ „ლაგურკის“ დღეობებზე შესასრულებელი საგალობელი, მას, როგორც უკავით ითქვა, სვანეთის კველა საეკლესიო დღესასწაულზე გალობდნენ და შესაძლოა საუბარი მის მუსიკალურ ვარიაციებზეც<sup>1</sup>. ხო-

<sup>1</sup> 6. მაისურაძის დასკვნით, „სვანურ ეთნოგრაფიულ მასალაში შერადება მიიქცია დვოთაგბა კვირიასთადმი მიძღვნილი სიმღერის შესრულების წესმა. მას ორ ჯგუფად გაყოფილი მედღასასწაულები თრაირულად ასრულებენ. მაშასადამე, იგი ოდესაც საფერხულო წყობას შეიცვდა. „კვირიას“ მუსიკალური ტქმების არქიტექტონიკის სიძველე და ზემოხსენებული შესრულების წესი უცლებას გაძლევს ვიზუალურ, რომ იგი წარმართული ხანიდან მომდინარე საფერხულო სიმღერაა. ნიშანლობლივია, კვირიას ეტიმოლოგიური მსგავსება კერასთან, მკერთან (ჩაცარში გამომცხვარი პური), რაც ხაზს უსგამს კვი-

ლო, რაც შეეხება წმიდაა კვირიკეს მონასტერთან აღვლენილ საგალობელ „კვირიას“, ის არაფრით არ განსხვავდება სხვა ეკლესია-მონისატრების სატაძრო დღეობების დროს აღვლენილი „კვირიასაგან“.

საგალობელი სრულდებოდა სხვადასხვა ხალხური დღეობის მსელელობის პროცესშიც. მაგალითად, ვ. ბარდაველიძემ ლენჯერის თემში ჩაიწერა საგალობელ კვირიას შესრულების ერთი ლოკალური ვარიანტი: საგალობელი აღვლინებოდა ბარბარობის დღესასწაულზე სოფელ ლაშოთხევრში. „ლაშოთხევრის თარინგ ზელის მარეები უდესიანები და ჯაჯვანები ბარბარობას აღმართავდნენ. დიდი თოვლის კოშეს, რომელსაც შუაგულში ხეს დაატანდნენ და მის წვერზე ხის ჯვარს დაამაგრებდნენ. ბარბლაშ დოლით ყოველი ოჯახიდან მიემართებოდნენ ლემზირებით და არყით თარინგ ზელის ეკლესიაში და იქ ეკედრებოდნენ თარინგ ზელს სოფლის მშვიდობიანობას... გარს უკლიდნენ თოვლის კოშეს და კურიას მღეროდნენ“ (ბარდაველიძე 1939: 11). აქე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარდაველიძე მხოლოდ საგალობელ კურიას ახსენებს და არა დამოუკიდებელ კვირიას. მისი განმარტებით, „კურია ძელებური საგალობელი“ (ბარდაველიძე: 1939: 11).

ლენტეური მასალით, საგალობელი კვირია აუცილებლად ითქმოდა ერთ-ერთ დიდ დღესასწაულზე, რომელიც ადგგომიდან ექვსი კვირის თავზე აღინიშნებოდა. დღეობას ლენტეურ კილოზე „ხაწკვენალ“ პქვია და არსით ის ხატების გამოსვენების აღმნიშვნელი ტერმინია. დღეობა ფაყის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიასთან (ლამარია) სრულდებოდა (ამჟამადაც მასშტაბურად აღინიშნება). მლოცველებს მიჰქონდათ სეფისკვერები (ლემზირები), ეკლესიდან ხატებს გამოაბრძანებდნენ და ეკლესის გარშემო ლიტანიობას ასრულებდნენ. ამ დროს გალობრივ „კვირიას“ („ხვიდარალდ კვირიას“ – ვმდეროდით კვირიას“), ხატების გამოსვენების წინ უკრავდნენ საყვირს (სანყვირ), ორ მამაკაცს ეჭირა ხატი დანარჩენები კი „კვირიას“ ამბობდნენ (სპრ 1967: 35). ეს დღეობა წინ უძღოდა

რიას გენეტურ კავშირს ცეცხლთან“ (მაისურაძე: 1989: 37-38).

ფაყობის დიდ დღეობას, რომელიც მომდევნო კვირას აღინიშნება.

„კვირია“ სრულდებოდა კვირაცხოვლობის (უფლიშ) დღესასწაულზეც.

ვ. ბარდაველიძის მიხედვით, „კვირიას“ საგალობელი სრულდებოდა ლიფანალის საწესო ციკლის (მიცვალებულთა მოსაგონარი დღეების) დასასრულსაც: სულების „გაცილების“ შემდეგ სოფლის ახალგაზრდობა იკრიბებოდა და ლიკურიელის რიტუალი სრულდებოდა. ახალგაზრდებს საეკლესიო დროშა ან დიდი ჯვარი გამოქვინდათ ეკლესიდან, მეთაურს ანთებულ სანთოელს და ზარს დააჭერინებდნენ ხელში და კვირიას გალობით შემოუკლიდნენ მთელ სოფელს. ყოველი მოსახლის კართან ჯერ ზარს აახმიანებდნენ, შემდეგ საგალობელს იგალობებდნენ. „ჯერ გუნდის მეთაური მთელ საგალობელს იგალობებდა და შემდეგ დანარჩენი ბავშვები კურიას გარევეულ ნაწილს გალობდნენ. გალობის შემდეგ გუნდის მონაწილეებს ხილითა და სხვადასხვა საჭმელ-სასმელით, ჰურით, ხორცით ასაჩუქრებდნენ. ბავშვები ოჯახს დალოცავდნენ: „ადამიანი და საქონელი გამრავლებულიყავთ...“.

ბოლოს ეკლესიასთან შეიკრიბებოდნენ, სადაც ლოცვის დასასრულს საზემო ტრაქეზი იმართებოდა (ბარდაველიძე 1953: 289).

ვ. ბარდაველიძეს მოყვავს კვირიას ამ ვარიანტის ტექსტი: „ლამარია, ამ სახლს ხარი და ძროხა გაუმრავლე, უაცი გაამრავლე... დამე ნააზრევი, დღისით ნაქარი, ყველა სკიანი, ყველა ბარაქიანი გახადე, სირიაააან, კორიააა“ (ბარდაველიძე 1953: 289).

ლაშეური მასალით, ყველიერის შაბათ დღეს სოფელ ფასუნდერის „მურყვამობის“ დღეობაზე საგალობლის საუკითხესო შემსრულებლებად ახალშენებლები ითვლებოდნენ, უკირიას სიმღერა ძალუმად იცოდნენ ახალშენებლებმა, ნებსამების კუთხიდან. ეს კუთხე ძელია. მანამდე აქ ყოფილებს უცხოვერიათ. ამ სოფელს სხვეოდა დღეობის ერთი კვირით ადრე დაწევდა. ისინი ადღეობას იწყებდნენ კვირიას სიმღერით („კვირია ლილოალ“) და შემდეგ ერთი დღე და ღამე დრო მხიარულად გაჭავდათ...“ (ქრესტომათია 1978: 239).

თანამედროვე მასალითაც ლიკურიელის რიტუალი ლიფანბლის ციქლს მოჰყვება. ცნობილია, ტრადიციულად, ნათლისდების წინა დღეს ზემო სვანეთში თავთავიანთ ოჯახებს მცირე ხნით (მომყოლ ორშაბათამდე) „სტუმრობებ“ წინაპართა სულები („ადგომ“). მეორე დღეს – ნათლისდებას („განცხდას“) – ყოველ სოფელში ლოცვა იმართება და სადღესასწაულო სუფრა იშლება. ოჯახის წევრები „მობრძანებულ სულებს“ დამ-დამობით ზღაპრებს უყვაბიან, უმდერიან და უკრავენ ჭუნირზე. ორშაბათ დილით სულების „გაცილების“ რიტუალი სრულდება: ოჯახის უფროსი გადის სახლიდან ჭიშკრისკენ, გზადაგზა ჯამიდან თავლიან რეგეს აწვეთებს და ლოცულობს: „ქრისტე მაცხოვარო, შეიწყალე ჩენი მიცვალებულების სულები, იქ ამყოფე, სადაც ბამბად თოვდეს და რედე წვიმდეს...“. „სულთა წაბრძანების“ შემდეგ მოსახლეობა იკრიბება ეპლენიებთან. საზეიმო ლოცვის დროს და ტრაპეზის დაწყების წინ „პვირია“ აღველინება.

სამგლოვიარო „პვირია“, სრულდება გასვენების დღეს სამჯერ. საგალობლის ეს სახესხვაობა მსგავსებას ავლენს ზარის სარიტუალო დატვირთვასთან, რადგან ძველად „სვანეთში „ზარს“ მხოლოდ ტირილის მნიშვნელობა არ ჰქონია, იგი პიმნიც ყოფილა. იგი სრულდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა გარდაცვლილი იყო დრომა მოხუცი, რომელსაც არ განუცდია უძცროსი თავისიანების დაკარგება. ამ შემთხვევაში ზარს ამბობდა მისი გვარის ხალხი, მხოლოდ მოხუცები: გასვენებამდე, გამოსვენების დროს, სასაფლაოზე შესვლის და დასაფლავების დროს. ამჟამად ეს წესი დარღვეულია“ (ახობაძე: 1957: 21). ზარის შესრულების რიტუალის ზემოთ აღწერილი დეფინიცია, „პვირიას“ უფრო ესადაგება, რადგან ზარი წარმოითქმება ნებისმიერი გარდაცვლილის გასვენებაში, სადაც კი ზარის მოქმედები შეძლებენ შეკრებას, ხოლო პვირია მხოლოდ მორწმუნე მოხუცებულის გარდაცვალების შემთხვევაში აღევლინება, თანაც, ამ დროისათვის გარდაცვლილის ყველა შეილი ცოცხალი უნდა იყოს.

პვირიას ერთი ვარიანტი „პვირიოლას“ სახელითაა ცნობილი. არსებობს სვანეთში საგალობელი, რომელსაც

კვირიოლას ეძახიან (ეცერში). მას უმთავრესად ხშირი წების დროს ასრულებენ. ამ სიმღერით სამჯერ შემოუფლიდნენ ეკლესიას, შეწირულს მიართმევდნენ. მათ სჯერობათ, რომ ამის შემდეგ გამოიდარებდა (მამალაძე: 1972: 198; ჭანტურიშვილი: 1969). „პვირიას ეკედრებიან ამინდსაც ამინდის რიტუალის შესრულებისას აუცილებლად ითვლება კვირიას საგალობლის შესრულება; კვირიას კულტმსახურების სვანურ ვარიანტში ძალზე დიდი აღგილი ეჭირა სესხობრივი სიმბოლიების და ნაყოფიერების ეულტის ელფენტებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ კიდეც ამ დგთაების ბუნებას. სვანური კვირია განსაკუთრებული მოვლენაა ქართველთა რელიგიაში“ (სურგულაძე: 2003: 242-243).

ეთნოგრაფიული მასალით, სასურველი ამინდის მოვლინებას დგთაება კვირიას კი არ ეკედრებიან, არამედ ქრისტე მაცხოვარს და ამ რიტუალის დროს ასრულებენ საგალობელ ძვირიას. ეს ტრადიცია დღესაც მოქმედია, მაგალითად, ეცერის თემში. გვალვიანობის ან ხშირი წვიმებისას რამდენიმე მამაკაცი იცავს სამდღიან მარხვას და კვირა დილით ეცერის თემის სოფელ ბარშის წმიდა ბარბარეს ნაეკლესიარიდან იწყებენ რიტუალს – მსვლელობას. ჰირველად აქ ასრულებენ საგალობელ კვირიოლას, მეორედ – ლამარაშში, ყოვლადწმიდა დვთისმობლის ეკლესიისნაგრევთან, მესამედ – ეცერის თემის მთავარ ტაძართან – ფხეუტრერის მთავარანგელოზების ეკლესიასთან. საგალობლის წარმოთქმის წინ ეკედრებიან „პვირია-მაცხვარს“ სასურველი ამინდის გამოწვევას. რიტუალის ყველა მონაწილე, კითხვაზე, თუ ვის უგალობდნენ, ეცერული „კირიოლას“ შემსრულებლები გვასუხეობდნენ, რომ კირია-მაცხვარს უგალობდნენ.

ძირითადად ეს გახლავთ ის მასალა, რომლის საფუძველზეცვირია სვანეთის ერთ-ერთ დვთაებადა მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ ეთნოგრაფიული მასალით, უაქტობრივად, არსად დასტურდება ამ სახელის მქონე დვთაება, არც მისდამი მიძღვნილი დღეობა თუ რიტუალი – ყველა შემთხვევაში „პვირია“ მხოლოდ და მხოლოდ საბალობლის სახელია და ძევლადაც და ამჟამადაც მას გალობენ დიდ დღესასწაულებსა და მნიშვნელოვან სათემო

დღეობებზე. თავისთავად საგალობელი მიმართულია არა დაფინანსირებული „კვირიას“ მისამართით, არამედ ქრისტესადმი მიმდევნილი საგედრებელია დასაეკლესიო “კირიელეისონის” ხალხურ ნაირსახეობას წარმოადგენს.

სვანეთში შემონახული საგალობლის ყველა ვარიანტს საერთო აქვს წარმომავლობა და სვანეთის სახიმდგრო ფოლკლორისთვის დამახასიათებელი კომპლექსური მრავალხმიანობა, სვანური საერო-საგალობლებისთვის ხშირად ცვალებადი ზომა, ქართული სიმღერა-გალობისთვის ნიშნებული სამხმიანობა, ვერტიკალურად და ლინიალურად ქართული წყობა და მრავალი მარტივად თუ როულად შესამჩნევი საერთო მუსიკალური თვისება (გუჯეჯიანი... 2011).

ბუნებრივია, ამ საგალობლის მუსიკალური ძირი ისტორიის ადრეული ფენებიდან იღებს სათავეს. ცხადია, იგი სხვადასხვა ეპოქის კულტურულ პლასტებში არსებული მოტივია, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დღეგანდები სახით ჩამოყალიბდა, ჩვენს დრომდე ცოცხალი სახით მოაღწია და დღესაც რელიგიური ყოფის აუცილებელი ელემენტად გვევლინება.

სვანური „კვირიას“ პარალელურად, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით სიმღერებს: „კირიალესა“, „კრიალესო“, „კირია და ლესა“ და სხვ., რაც ბუნებრივია, კირიელების ხალხური ნაირსახეობებია. როგორც უკვე ითქვა, სვანური საგალობლის ტექსტშიც ფიგურურებს ტერმინები – კურია, კირია, კირიე, კვირიოლა... შესაძლოა, ყველა ეს ფუძე ბერძნული სიტყვიდან მომდინარე ტერმინს – უფლის დღის აღმნიშვნელ „კვირა“-ს დაუკავშირდეს, ისევე როგორც ეს ხდება კანონიკური, ქრისტიანული „კირიელებისთვას“-ის შემთხვევაში.

გამოთქმულია მოსახრება, რომ „ბერძნულმა ტერმინმა („კვირიელებისთვას“) ფონოლოგიურად ოდნავი ცვლილება განიცადა. მისი სახეცვლილი ვარიანტებია „კირიელებისთვას“, „კირია“, „კვირიოლა“, „უი“ დიფორმგი შეცვალა პალატალურმა ხმოვანმა „ი“, მოხდა „კვ“ კომპლექსის დელაბიალიზაცია (კვ-კ) და შესაბამისად, სვანურმა შემოგვინახა არქაული ვარიანტი, ხოლო სიტყვის ბერძნული დაბოლოება

შეცვალა კნინობით-ალერსობითი მაწარმოებლებით: „ოდ“, „ია“, თუმცა, თანხმოვნის საწყისი პოზიცია არ შეცვლილა“ (ჭავასელი 2011: 265).

საიდან შეიძლებოდა შემოსულიყო ბერძნული სიტყვა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში? ამის პასუხს ვპოულობთ გიორგი მერჩულესთან: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების. ხოლო „კვირიელებისთვას“ ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, ანუ „უფალო შეგვიწყალენ“ (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). სწორედ ახეა დღემდე, წირვაზე ერთხელ მაინც იგალობება „კირიელებისთვას“. ანუ, სიტყვა „კირიე“ არ იყო ქართველისათვის უცხო და საგვებით შესაძლებელია, შესულიყო ხალხურ საგალობლებშიც. საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია „ალილო“, რომელიც ებრაული „ალილუიას“ სახეცვლილი ვარიანტია და შინაარსობრივად არაფერი აქვს სერთო შობასთან, მაგრამ ყველა საშობაო სიმღერის რეფრენს წარმოადგენს (გუჯეჯიანი... 2011)..

მნელია, ვისაუბროთ „კვირიასა“ და, თუნდაც, „კირიალესას“ მელოდიურ, ან რამე სახის მუსიკალურ მსგავსებაშე, რადგან, არათუ, სხვადასხვაცუთხის სიმღერები, არამედ, საკუთრივ, სვანეთში ჩაწერილი ვარიანტებიც საქართველობლად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მრავალი ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ საწესო-სარიტუალო სიმღერებში ქართველ მთიელთა მიერ მოხმობილი კვირიასთან სწორედ ის დმერთი რომელსაც რეალურად აღიღებუნის ქრისტიანი ქართველები და უფლის სახელს – კირიე – მოიხსენიებენ იმ ენაზე, რომლიდანაც მოეფინა საქართველოს ნათელი ქრისტესი (გუჯეჯიანი... 2011). უფრო მეტიც, სწორედ ასე იწყება გასული საუკუნის ორმოცდათას წლებში ვ. ახობაძის მიერ ჩაწერილი კვირიას ერთერთი ნიმუში: „კირიე, კირიე, კირიე“ (ახობაძე: 1957).

რასაკვირველია, დღეისათვის ზემოთ აღწერილი რიტუალების სემანტიკური ველი დასუსტებულია, მაგრამ ისუსი, ცნობილია, რომ საქართველოს მთის ისტორიულუროგრაფიული მხარეები საერთოდ კონსერვატულობით

გამორჩეული მხარეებია და ეს უპრეცედენტო კონსერვატულობა განსაკუთრებით ოვალსაჩინო ქართველ მთიელთა რელიგიურ მსოფლადქმაშია. სვანეთის საზოგადოება დღუსაც რელიგიური საზოგადოებაა და მრწამსობრივი სიდროებისა და მოტივების მდგრადობა აქ ყოფით ნიუანსებშიც კი მედავნდება. შესაძლოა, საგადობლის მუსიკალური ძირი და მოტივი უძველესი დროიდან მომდინარეა. მაგრამ განსათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაქრისტიანების შემდეგ ყოველი იდეა ახალი – ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარე – არსის მატარებელი ხდება და ცხადია, რომ ხალხური დღეობების სიუჟეტების კონსტრუქციებსა და მრწამსშიც ხდება ცვლილებები, რომლის ვერტიკალიც, დაკვირვების შემთხვევაში, ოვალსაჩინოდ იგვთება. შესაბამისად, მკვლევარს აქვს სრული უფლება და შესაძლებლობა თანამედროვე რიტუალსა თუ დღეობაში არქაული ფესვების დანახვისა, მაგრამ როდესაც საუბარია რიტუალის მონაწილეთა მენტალობასა და რელიგიურ მსოფლადქმაზე, აქ, პირველ რიგში, სწორედ მათი სარწმუნოებრივი მრწამსი უნდა იყოს გათვალისწინებული და არა მკვლევრისეული ინტერპრეტაციები. დღეობათა მონაწილენი და მგალობელები კი მხოლოდ და მხოლოდ დმერთს, ქრისტიანულ დმერთს ადიდებენ და უგალობენ. ბუნებრივი და სასურველია, ეს მოტივი სამეცნიერო კვლევებშიც აისახოს. ობიექტურობა მოითხოვს, ამა თუ იმ დღეობისა და რელიგიური რიტუალის კვლევისას, გათვალისწინებულ იქნას ისტორიული ასპექტები და კულტურულ-სოციალური ტრანსფორმაციის საკითხები (გუჯეჯიანი... 2011).

ტერმინი „კვირა“, „კვირაჟ“, „კვირია“ იხსენიება ლოცვის უმრავლეს ტექსტებში აღმოსავლეთ საქართველოს მთის სარიტუალო პრაქტიკაში. ცნობილია, ვერა ბარდავჭლიდე ახდენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში ფიქსირებული სასულიერო შინაარსის ტექსტების კლასიფიცირებას და მათ პირობითად ორ ნაწილად ყოფს – ხუცობათა ტექსტებად და სასიმღეროებად: “ხუცობათა ტერმინქვეშ ჩენ ვგულისხმობთ იმ წარსათქმელებს, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების ხევისბერები, დეკანოზები, ხუცები (ანუ ხუცესები) და

ხელოსნები იტყოდნენ ხოლმე ღვთაებათა და წმინდანების საღოცავად, სავედრებლად და სადიდებლად” (ბარდავჭლიდე 1938: 5). ხუცობათა ტექსტებს ხევსურეთში “პირისქარი”, “მოვსესნება”, “კურთხევანი”, “სადიდებელთაი” ეწოდება, თუშეთში † “დახელოსნება”, “ჯვარული”, ფშავება და მთიელეთში – “დამწყალობება”//”დაჭელოსნება”, ხევში – “სადიდებო” (ბარდავჭლიდე 1938: 5).

ტერმინი „კვირაუ//კვირა//კვირია“ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სასულიერო შინაარსის ტექსტში. მას თან რამდენიმე კაითეტი ახლავს, ხოლო იურარქიულად ყველგან მამალმერთის შემდეგ იხსენიება: “შირიგებ დმერთსა და დიდს კვირაჟს გეხვეწებით, თქვენ უშედეთ თქვენს მეხვეწეთ, საწარმართო ანგელოზ დაყოლეთ”..., (ბარდავჭლიდე 1938: 12), “დიდება დმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა ჯულ ქრისტიანთა, მზესა, მზისმყოლ ანგელოზთა, დიდის კვირიასა, ხოს მაღლის მაკარებესა” (ბარდავჭლიდე 1938: 14), “მაღლი ღმერთო, დიდო კვირაო, მახვეწურთა სამეშვილ-სამწყალობელებიდა დიდისა-ცოტაისადა, კაცისა-საქონისადა, მოწყებ-ოთხფეხვისადა, ქუდოსან-მახდილოსნისადა მეშველი, მწყალობელიც იქნები, მწყალობდე შენი სახელის მაღლება” (ბარდავჭლიდე 1938: 15); “დიდება ძალ ხთისასა, სამართლო კვირაისასა, იმათთან ნაჯენებ ანგელოზთა” (ბარდავჭლიდე 1938: 16), “ამინ, დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, ფიდება დღეს დღესინდელთა ძალს ხთისას, ძალს კვირაისას” (ბარდავჭლიდე 1938: 17), “დიდებულო ღმერთო და კვირაო, წმინდა გიორგი ლაშარისაო...” (ბარდავჭლიდე 1938: 18, 22), “დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის...” (ბარდავჭლიდე 1938: 24) და სხვ.

„კვირიასადმი“ აღვლენილი ლოცვა-ვედრება შემონახულია სადიდებელთა (სადიდებო, ჯვარული) ტექსტებშიც: “წილება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა, მზისმყოლო ანგელოზთა. დიდება დიდ კვირასა მაღლის ხთის მოწყებას!” (ბარდავჭლიდე 1938: 26), “წინას ჭიქა-ბარძიმზე მიღალო ღმერთო, შენ გადიდას. მეორეს ჭიქა-ბარძიმზე მიღო კვირებ, შენ გადიდას!” (ბარდავჭლიდე 1938: 27), “მუ

ორე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირია მაღლიანო!” (ბარდაველიძე 1938: 28), “აეგ სანთელ-ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაა ხთის კარზე კარავიანო” (ბარდაველიძე 1938: 28), “მეორე ჭიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს, კვირიაჭ, ხთის მაკარვე” (ბარდაველიძე 1938: 29), “მაგ ჭიქა-ბარძიმზედა გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაო ძალო-ხთისაო, ხთის კარზე მაარულო საბამ-კარავიანო. — გწყალობდეს-თა” (ბარდაველიძე 1938: 31), “დიდება შენდა, კვირაო კარავიანო, ღვთის და მეფის კარზედ მდგომელო, სიმრთლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამომტანებლო ხმელზე ხორციელთათვის” (ბარდაველიძე 1938: 34), “ღმერთო, გაუმარჯვე ღმერთსა კვირაისაო” (მაკალათია 1983: 216), “პირველად ღმერთი ვაჯენორ, ის უფრო დიდებულია, მემრე ვადიდოთ კვირაჭ, კვირაე კარაღვთისაი” (ბარდაველიძე 1938: 37) და სხვ.

ვაჟა-ფშაველას “ეთნოგრაფიულ წერილებში” მოყვანილია ლექსი იახსარზე, რომელშიც “კვირა”-ც იხსენიება:

“ღთის კარზე შავიყარენით  
ღთიშვილნ სამოცდაცხრანიო;  
ქვემოთ, ბოლოში ჩამოვჯე  
მე, ხატი იახსარით.  
გადმოდგეს სასწორ-ჩარექი,  
კვირაჭ, გვიჭირე თვალიო...”

იქვე ვაჟა-ფშაველა ტერმინ “კვირას” განმარტებას ურთავს: “კვირა ძლიერი ანგელოზი ყოფილა, ფშავლების წარმოდგენით, და იმის სადიდებლად, მოსახლეებლად არის დადგბული კვირა-დღე უქმად” (ვაჟა-ფშაველა 1986: 589).

ეპითეტები, რომლებიც “კვირიას” ერთვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — “კვირაცხოველი”, “კვირა-დღისშვილი”, “კვირია კარავიანი”, “ხმელომოურავი”, “ღვთისა და კაცთა შუამდგომელი”, “ღვთის იასაული” და “კვირია მაცხოვარი” — დაწვრილებით განიხილა ანდროლეკია მაგვილმა და გამოავლინა ამ სახელთა ქრისტიანული სწავლებიდან და პრაქტიკიდან მომდინარეობა. კველევარი მხარს უჭერს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, “კვირიას” კვირა დღის სახელიდან წარმოშობის შესახებ. თეონიმ

“კვირაცხოველს”, ბუნებრივია, ხსნის კვირაცხოვლობის ღღესასწაულის არსით. ცნობილია, რომ კვირაცხოვლის სახელობის ბევრი ეკლესიაა შემონახული საქართველოში (ქართლ-კახეთში, რაჭაში, იმერეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში) და იქ კვირაცხოვლობის ღღესასწაული იმართება. “კვირელთისშვილი”, რომელიც ხშირად განმეორებადი ეპითეტია ხევში, მკვლევრის აზრით, ბიბლიური ტრადიციიდან მომდინარე გააზრებაა მაცხოვრის ხატებისა (ლეკიაშვილი 1987: 167-170). “კვირია კარავიანი”//“ღვთის კარზე კარავიანი”//“ღვთის მოკარვე” აიხსნება “კარვის” გამლესიასთან დაკავშირებით: “დიდო კვირაუვ, ძალიანო, ხმელზე კარავის გარმამდგმელო” (ლეკიაშვილი 1987: 170). “ხმელომოურავი” — ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, მაცხოვარი მამა ღმერთთან ერთად განაგებს სამყაროს (ხმელომოურავი). “ღვთისა და კაცის შუამდგომელი” — ცნობილია, ქრისტე კაცოათვის იშვა და ევნო, ის არის ღვთის წინაშე კაცოა მოდგმის მეოხი და შუამდგომელი. “ღვთის იასაული” — “თუ გავიხსენებთ, რომ ქრისტიანული წარმოდგენებით, იქსო ქრისტე მამა ღმერთის მოციქულია და მისი ნების აღმასრულებელი, ცხადი გახდება, რომ “ღვთის იასაული” იქსო ქრისტეს აღგილობრივი მეტსახულია” (ლეკიაშვილი 1987: 172).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის გამოწვდილვოთ ანალიზის საფუძველზე გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ყაჩქობრივი ინფორმაციით არც აღმოსავლეთ და არც დასახლეთ საქართველოში არსად ჩანს ღვთაება კვირიას უშლტი, კვირია, კვირაე, კირაე ტერმინით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები მაცხოვარს იხსენიებენ, ასევე, სვასეულში არსებული საგალობელი „კვირია“ (ყველა მისი ვარიაცია) და დასავლეთ საქართველოს ყოფაში შემონახული „კირიელებისონის“ ვარიანტები (კირიალესა, კირია და ლუქსა, კირიე...) საეკლესიო „კირიელებისონის“ ხალხური ვარიანტებია და ღვთისადმი აღვლენილი საგალობლებია. სალექსიო სწავლებით მაცხოვრის მხედვრულ სახედ ხშირად მზე მოაიზრება. კვირა — უფლის ღღეა, ის ქრისტიანისამდელი ქართული რწმენა-წარმოდგენებითაც მზისადმი უკი მიძღნილი (ჯავახიშვილი 1979: 116), თეოლოგიური ლი-

ტერატურა მაცხოვრის ხატებას ხშირად მზესთან აიგივებს: ქრისტეს „მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ თქვა წინასწარმეტყველმან: „და გამოგიმორწყინდეს თქვენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მზეი იგი სიმართლისათ, რომელსა აქეს კურნებაი ქვეშე ფრთხოა მისთა“. რამეთუ იგი არს, რომელი პფარაგს და განატფობს“ (საბანისძე 1987: 449-450).

„პვირიას“ ღვთაებად გამოცხადების მიზეზი, ვფიქრობთ, იყო XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი კვლევის ეკოლუციონისტური მეთოდი, როდესაც ყოფაში მოქმედი რომელიმე დღეობა ან რიტუალი, მიიჩნეოდა გადმონაშთად, რომლის მიხედვითაც კეთდებოდა დასკვნები განვითარების უფრო ადრეული საფეხურების შესახებ. ამ მეთოდით, საკვლევი მოვლენის რეკონსტრუქცია და ჰიპოთეტურად მთელი კულტურული ეპოქების ან სოციო-კულტურული სტადიების აღდგენა ხდებოდა. სავარაუდოდ, ასე წარიმართა ამ კონკრეტული სეგმენტის კვლევაც.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

- არაყიშვილი 1950 – დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, თბ., 1950.
- ასლანიშვილი 1954 – შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954.
- ახობაძე 1957 – ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1957.
- ბარდაველიძე 1938 – ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, – მსე, ნაკვ. I, ტფ., 1938.
- ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.
- გვახარია 1962 – ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962.

წოცირიძე 1987 – გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987.

ჩუჯეჯიანი... 2011 – რ. გუჯეჯიანი, მ. ჩამგელიანი, დ. ცინკაძე, გ. ჭეიშვილი, „კვირია“ სვანეთის ტრადიცულ ყოფაში, – სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011.

ქაუა-ფშაველა 1986 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986.

თათარაძე 1976 – ა. თათარაძე, ძველი ქართული (სვანური) ფერხულები, თბ., 1976.

ლექიაშვილი 1987 – ა. ლექიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თეონიმიდან: დვთაება კვირიას სახელები და ეპიოგებები, – მსე, XXIII, თბ., 1987.

ლექიაშვილი 1986 – ა. ლექიაშვილი, კვირია – მაცხოვარი, მნათობი, №11, თბ., 1986.

ლექიაშვილი 1985 – ა. ლექიაშვილი, ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშობების ინტერპრეტაციისათვის, – მაცხე ისტორიის ... სერია, №1, თბ., 1985.

მაისურაძე 1989 – ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.

მაკალათია 1930 – ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930.

მამალაძე 1972 – თ. მამალაძე, სვანური საწესო სიმღერების სტრუქტურა, – მსე, XVI-XVII, თბ., 1972.

ონიანი 1969 – ჯ. ონიანი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (სვანური მურყვამობა-კვირიათბა), სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1969.

საბანისძე 1987 – იოვანე საბანისძე, პაბოს წამება, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987.

საქ 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეური კილო, თბ., 1967.

სურგულაძე 2003 – ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.

ქრესტომათია 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 21, თბ., 1978.

ქანტურიშვილი 1969 – ს. ჭანტურიშვილი, შრომის სიმღერების კვლევის საკითხისათვის სვანეთში, – საქარ-

თველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVII – B ,  
თბ., 1969.

გვარა 2011 წ. გ. ჭავასელი, ქართულ ხალხურ დღეობა-  
თა საწეო-სარიტუალო ტერმინოლოგია (კვირიკობა),  
– საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწო-  
დებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პუმა-  
ნიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის)  
სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები  
(2011 წლის 6-7 ივნისი), თბ., 2011.

ჯავახიშვილი 1950 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავ-  
კასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-  
ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ჯავახიშვილი 1979 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის  
ისტორია, წიგნი, I, თხზულებანი თორმეტ ტომად,  
ტ. I, თბ., 1979.

### Rozeta Gujejiani

#### “Kviria” in Traditional Being of Svaneti

The term Kviria in the traditional being of Svaneti means the chant. There are some chants with this name. They are taking their origins from the early times and till today are the united part of pagan Christian holidays. Nowadays they are carried out only with the Christian idea, but the scholars are considering them as hymns devoted to the pagan divinity – Kviria. The revision of the historical and ethnographic data is not proving such idea. On our opinion the reason of such consideration was the evolutionist method characteristic to the end of the XIX c and the beginning of the XX-ies, according to which each ritual or holiday was considered as a survival and the decision was drawn out about the earlier stages of development. According to this method the reconstruction of the research object and hypothetically of the whole cultural epochs or socio-cultural stages was fulfilled.

In the West Georgia there can be met songs: “Kirialesa”,

“Kirialeso”, which are pagan variation of “Kirieleison”. We discuss that “Kviria” is also the Georgian version of Greek theonym (“Kitie” - God) and its appearance in Georgian Folk Music is not atypical. After the conversion to Christianity in each service there is song “Kirieleison”, thus the word “Kirie” was usual for Georgians and it would be natural to find it in the ritual songs. Thus Kviria mentioned in the ritual songs of Georgian mountaineers is the same God of Christian Georgians.

## ხათუნა ოსელიანი

### დაკრძალვასთან დაკავშირებული ერთი რიტუალის შესახებ სვანეთში

დაკრძალვასა და ზოგადად, გლოვასთან დაკავშირებული რიტუალები შედარებით ნელა განიცდის ტრანსფორმაციას; წეს-ჩვეულებათა ამ სფეროში უფრო მეტად არის შემონახული და დალექილი ისეთი ელემენტები, რომლებიც უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ ძირითას ინფორმაციას შეიცვალება; მათი შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი შეხედულება პქონდათ ჩვენს წინაპრებს სამყაროზე, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრებისა და მათი ერთიანობის შესახებ.

XX საუკუნის I ნახევარში, ენაომეცნიერების მიერ ბალსხემო სვანეთში ჩაწერილ ტექსტებში დაფიქსირებულია ერთი საინტერესო რიტუალი, რომელიც გარდებოდა დაკრძალვისას: “დაკრძალვის დღეს, გარდაცვლილის ოჯახში მისული თანასოფლებები თან ძაღლებს გაიყოლებდნენ. მიცვალებულის გამოსვენებამდე შეარჩევდნენ ერთ მამაკაცს, რომელსაც თავზე მოახვევდნენ წითელ ყაბალას ისე, რომ მარჯვენა მხარიც ამ ყაბალასთ პქონდა და დაფარული. მას კალთას გაუვსებდნენ დაკრძალვის დღისთვის სპეციალურად გამომცხვარი პურით, რომელიც ოთხად იყო დატეხილი. ეს კაცი სოფლის ძაღლებს გაიყოლებდა, გზადაგზა პურს უყრიდა და ასე მიუძღვებოდა პროცესიას სასაფლაომდე (სვანური ენის ქრესტომათია: 1978: 77). ეს რიტუალი გარდებოდა როგორც გარდაცვლილი მამაკაცის, ისე ქალის დაკრძალვისას. ამ რიტუალს დაუფრო ზუსტად პურს, რომელსაც ძაღლებს აჭმევდნენ “ლეიდუნი” ერქვა.

აღნიშნული რიტუალი ორი დეტალის გამოა საინტერესო: რატომ მონაწილეობენ ძაღლები დაკრძალვის ცერემონიალში და რატომ არის წითელი ყაბალასთ შემსილი ძაღლების დამპურებელი მამაკაცი.

ერთი შეხედვით, ეს რიტუალი სრულ მსგავსებას

ჰქონის ბერძნულ მითოლოგიასთან, რომლის მიხედვით ძაღლების ძაღლი – ქვესკნელის საზარელი გუშაგი იცავს, რომელმაც უნდა გაატაროს საიქიოში გარდაცვლილთა სულები. ძაღლების დაპურება სიმბოლურად შემთხვება ჩაგვეთვალა საიქიოს დარაჯი ძაღლის მომადლიური რიტუალი, რათა მას დაუბრკოლებლად გაეტარებინა საიქიოს ერტბში გარდაცვლილის სული, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს რიტუალი შეიძლება კიდევ დამატებითი ასპექტების შემთხვევის იყოს.

ძაღლი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მითოლოგიას ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია, იგი სხვადასხვა ხალხში განაგებს მიღმა სამყაროს, უკავშირდება შესასტის მითს, ითვლება ადამიანების მეგზურად საიქიო ცხოვრიშიში: ზოგიერთი ხალხი ძაღლს მსხვერპლად სწირავს ადამიანის გამოჯანმრთელების მიზნით; იგი ითვლება მკურნალად, ზოგიერთ კულტურაში მიჩნეულია, რომ ძაღლის ენას სამკურნალო თვისებები გააჩნია (ჰანნა), ანუ ძაღლის სახე მითოლოგიაში მრავალი სამყენებელითაც წარმოქმნილი. ძაღლი ამავე დროს, ფაქტობრივ გაიგივებულია მგელთან. ეს საკითხი მკვლევართა მიერ დიდი ხანია დამტკიცებულია, თუმცა, ინტერესმოკლები არ იქნება აღინიშნოს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია პირდაპირი სახითაა შემონახული სვანურ მითოლოგიაში. სვანების წარმოდგენით მგლები წმ. გიორგის ძაღლის წმ. წარმოშობილებად ითვლებიან: “ძეელად თურმე მგლები არ ყოფილან, ისინი ჯგრაგის (წმ. გიორგი) ძაღლებისგან გამრავლებულან. ეს თურმე ასე მომხდარა: როცა წმ. გიორგი ღმერთი გამხდარა და ღმერთებთან წასულა, თავისი ძაღლი დაუტოვებია და უთქამს: “ვჲ, საბრალო წერშა! შენ ვერ გამომყენები და აქ დარჩენა მოგიწევს, მაგრამ ამის შემდეგ ჩემი ხალხის საქონლის დამცველი იქნებით შენ და შენი მოდგმა”. ამის შემდეგ ძაღლი მგლად ჩადაქცეულა და გამრავლებულაო” (ქრესტომათია: 1978: 90-91). მგლები სვანეთში პირდაპირ სახელდებულნი არიან, როგორც “წმ. გიორგის ძაღლები”. მგლის ხახვა სიზმარში, სვანების შეხედულებით, ნიშნავს, რომ წმ. გიორგი ღოცების მოითხოვს.

ქართულ მითოლოგიაში ძაღლს/მგელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხევსურების წარმოდგენით ის მთავარი – მორიგე ღვთაების ნადირია, რომელსაც მიუსევდა ხევსურს დასასჯელად, თუ ამას დაიმსახურებდა, ეს დასჯა მორიგე ღმერთის დავალებით და კვირიას უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ქრისტიანობის დამკიდრების შემდეგ ძაღლს/მგელს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი უკვე ქრისტიანული წმინდანის – გიორგის მფლობელობაში გადავიდა. მას ხალხი ისევ გამორჩეულ ნადირად მიიჩნევდა. სვანების შეხედულებით მისი მოკვლა არ შეიძლებოდა მაშინაც კი, როცა ის საქონელს ჭამდა. თუ მოხედებოდა ისე, რომ მონადირეს მგელი მაიც შემოაკვდებოდა, ამ შემთხვევაში ტარდებოდა მგლის დატირების რიტუალი: “მგელს მონადირე სოფლის მოედასზე დაასვენებდა და შემდეგი სიტყვებით დაიტირებდა: “ოღონდ შენ არ მომეკალი და მმა შემომკვდომოდა, ოღონდ შენ არ მომეკალი და შვილი შემომკვდომოდა” და ა.შ.” (საღლიანი: 1998) მგელს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ხალხურ მედიცინაში. ბეჭდას ხალხი წმ. გიორგის მოვლენილ სასჯელად თვლიდა, ასეთ ავადმყოფზე იტყოდნენ: “მგლის ხორცით არის გამაძღარიო” ანუ წმ. გიორგი განარისხაო; ამიტომ მის განსაკურნავად მგლის ან ძაღლის გამოსახულებიან დანას ხმარობდნენ, სიზმარში ძაღლის ან მგლის ნახვა იმის ნიშანი იყო, რომ წმ. გიორგის საღოცავში უნდა წასულიყვნენ (ქრესტომათია 1978: 91-92).

ვინაიდან ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს მთლიანობაში ძაღლის/მგლის კულტის შესწავლა, ჩვენ არ განვიხილავთ მასთან დაკავშირებულ სრულ სამეცნიერო და მითოლოგიურ მასალას, ეს ჩვენი მომავალი კვლევის საგანია, მას განვიხილავთ მხოლოდ ამ კონკრეტული რიტუალიდან გამომდინარე.

ამრიგად, ძაღლი/მგელი ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების მორიგე ღმერთის ნადირია, უზენაესი ღვთაება ქვეყნის შემოქმედია, იგი განაგებს სამყაროს, როგორც სააქაოს ისე საიქიოს. სვანური მითოლოგიური ქართული მადლინიერებას, არამედ იყო მიმართული უნდა იყოს ზოგადად მთავარი, სამყაროს წამტებელი ღვთაებისადმი.

ინტერესო ინფორმაციას იძლევა. აქმაღლი/მგელი წმ. გიორგის ნადირია. წმ. გიორგი სვანურად გამოითქმის როგორც “ჯგრააგ”. როგორც ამ საკითხზე თავის ღროზე ნიკო მარმა აღნიშნა, ლინგვისტური თვალსაზრისით სახელები “გიორგი” და “ჯგრააგი” აბსოლუტურად სხვადასხვაა, ანუ ჯგრააგი არ არის გიორგის “გადასვანურებული” ურომა. ჩვენი აზრით, ასევე სხვადასხვაა ეს ორი კულტი – წმ. გიორგის შეერწყა სვანების უმთავრესი ღვთაება ჯგრააგი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სვანური წარმართული პანთეონის უმთავრეს, შემოქმედ ღვთაებად. სწორედ მისი ნადირია ძაღლი/მგელი, რომელიც შემდეგ წმ. გიორგის მფლობელობაში გადავიდა.

სვანური ეთნოგრაფიული მასალით მგელი შემოქმედ ღმერთთან სხვაგვარადაც არის დაკავშირებული: “ღმერთმა როცა ადამი და ევა შექმნა, ისინი კიდობანში ჩასვა და უთხრა, რომ მის მოსვლამდე არავისთვის მოესმინაო, დარაჯად კი მგელი დაუყენა”; ძაღლები, როგორც მაღალი უფალი ღმერთის ორი მწევარი, მოხენიებულია ამირანის წმით-ერთ სვანურ ვერსიაში (ნიუარაძე: 1962: 141, 158).

ამრიგად, ძაღლი/მგელი ქართული მითოლოგიის თანახმად, მთავარი ღვთაების ნადირია, მისი გავლენა “ორთავ ქვეყანაში” დიდია და იგი ცალსახად არ უკავშირდება მხოლოდ საიქიოს და სიკვდილს. შესაბამისად, აღნიშნული რიტუალი არ უნდა გულისხმობდეს კონკრეტულად მხოლოდ საიქიოს მცველი ძაღლის მომადლიერებას, არამედ იყო მიმართული უნდა იყოს ზოგადად მთავარი, სამყაროს წამტებელი ღვთაებისადმი.

ახლა განვიხილოთ, თუ რატომ იყო წითელი ფერის ებალახით მოსილი ამ რიტუალის ჩამტარებელი მამაკაცი.

ფერთა სიმბოლიკას, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა უძველესი ღროიდანვე. ფერებით წამოხატული იყო გარემომცველი და საკრალური სამყარო, აღამიანის ცოდნა ამ სამყაროს შესახებ; თითოეულ ფერს თევისი კონკრეტული შინაარსი და დანიშნულება გააჩნდა. ფერების ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, სიმბოლური მნიშვნელობით ძირითადად სამი – თეთრი, წითელი და სიმი ფერი გამოიყენებოდა. ამ ფერებით იღებებოდა სარი-

ტუალო ნივთები, გამოისახებოდა საკრალური შინაარსის მქონე ორნამენტები და სიმბოლოები. ჩვენთვის საინტერესო წითელი ფერი სიცოცხლის ფერი იყო, ამავე დროს იგი სისხლის ფერიც იყო. ამასთან, წითელი სიკვდილთანაც იყო დაკავშირებული და ამიტომ აქტიურად გამოიყენებოდა დაკრძალვის რიტუალებში (ხიდაშელი: 2008).

ბუდიზმში წითელი ფერი იმ რიტუალის ჩატარებისას გამოიყენებოდა, რომელსაც უნდა გაეძევებინა (ცუდი გაჭლენა. ეგვიპტეში ბოროტის მოქმედ ღმერთებს წითელი ფერის ცხოველებს სწირავდნენ. ებრაელებში წითელი მოხანინიებელი, სამსხვერპლო სისხლის ნიშანი იყო. ქრისტიანობაში წითელი თავდადებული სიყვარულის, ამქვეყნიური ცხოვრების მოწამეობრივი დასრულების და მკვდრეობის ადგინების გამომხატველია. მონღლების შეხედულებით წითელი ფერით სამყაროს სამხრეთი მხარე აღინიშნებოდა. რომაულ-ბიზანტიური გავლენით ევროპაში წითელი ფერის სამოსელი მეფეთა სამოსელი იყო. იქ წითელი ფერი ომის ფერადაც ითვლებოდა, გერმანელები ბრძოლისთვის მზად ყოფნის ნიშანად ფარებს წითლად დებავდნენ. წითელ ფერს განსაჯუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურებში, კერძოდ დაკრძალვის წესში. მკვდრის განსასვენებელი ჭურჭელი, ხისა თუ ქვისა, შიგნით წითლად იყო შეღებილი, წითლად იღებებოდა გარდაცვლილის ტანსაცმელი და სხეული. მკვდარს წითელი ფერით უნდა მინიჭებოდა სიხარული და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ უნდა გადასულიყო შავ ქვეყანაში, საიდანაც ის მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო – რაც წითელია (სისხლი, სიცოცხლე) ის შავად (სიკვდილი) უნდა ქცეულიყო, ხოლო რაც შავია ის ისევ წითელი, ცოცხალი უნდა გახდეს (ნოზაძე: 1954: 8-16).

ჩვენს რიტუალთან დაკავშირებით წითელი ფერის სწორედ ასეთი მნიშვნელობაა საინტერესო. როგორც ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებით დასტურდება, სვანეთში წითელი ფერი დაკრძალვის რიტუალში გამოიყენებოდა და ამავე დროს სამგლოვიარო ფერიც იყო ლექსში “ძეთქილი”, რომელიც მკვდევართა მიერ ერთ-ერთ უძველეს ფოლკლორულ ნიმუშად არის მიჩნეული, დასა-

ლექსად განწირული ბეთქილი თავის ცოლს უთვლის, რომ ”წოლად შეიღებოს ლეხაქი” (სვანური პოეზია: 1939: 284). შიხორბელთა თქმით, “ძველად თურმე წითელ თავსაფრებს უფრავდნენ შავის ნაცვლად, ასევე წითელ ქუდებს იხურევდნენ მამაკაცები გლოვის ნიშნად”. თუ სანათესაოში ან სამუხობლოში რამე ლხინი იყო, მგლოვიარე სტუმარი მასისაცები წითელ ქუდებს მოიხილდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ლხინი ჩვეულებრივად წარმართულიყო (ქრესტონია: 1978: 44).

სვანეთში წითელი ფერის სამგლოვიარო დანიშნულების შესახებ მიუთითებენ სხვა მკვდევარებიც (იხ. ავტორები: დ. გორგაძე, ც. ბეზარაშვილი).

წითელ ფერს, ისევე როგორც სხვა დანარჩენს დუალისტური მნიშვნელობა გააჩნია. როგორც გამოჩნდა ის არის სიხარულის, სიცოცხლის და გლოვის გამომხატველი. ვეფხისტყაოსანში წითელი ფერი მწუხარებას და სევდებას გამოხატავს (ნოზაძე: 1954: 17). ქრისტეს აღდგომასთან უძვავშირებით, კერცხის წითლად შეღებვა კი კვდომის წარმატების და დიადი აღდგომის სომბოლობა.

ჩვენი აზრით, ასეთი ორმაგი დატვირთვა გააჩნია წითელ ფერს სვანეთშიც. იგი ძირითადად არის სამგლოვიარო ფერი, რომელიც შემდგომ შავით შეიცვალა. ამავე უწოდების, ის სიცოცხლის და სისხლის სიმბოლოცაა. ერთ-ერთმა მთხოვნელმა სვანეთში საგმაოდ ლაქონური და ნათელი პასუხი გამცა შეკითხვაზე, თუ რატომ შეიცვალა სამგლოვიარო წითელი შავით: “სისხლისუერი იყო და მძიე იყო ამ ფერით გლოვაო” (იოსელიანი: 2004).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ ასეთი მნიშვნელობის მქონეა წითელი ყაბალახი ზემოთ აღწერილი რიტუალის დროს, რომლითაც შემოსილია რიტუალის ჩამტარებელი მამაკაცი. თუმცა, შეიძლება სხვა ასპექტის ფანახვაც. ნოზაძის ცნობით ბაბილონური ხანის დვითხმეტესაურნი ლოცვის დროს თეთრი სამოსელით იმოსებოდნენ, ხოლო განმტკიცებული მსხვერპლ შეწირვის დროს კი – წითლად (ნოზაძე: 1954: 12).

ჩანს, რომ აღნიშნული რიტუალი კომპლექსური სახისაა და მსხვერპლ შეწირვის გარკვეულ ფორმას წარმო-

ადგენს – ძაღლების დაპურება სპეციალურად დაკრძალვისთვის გამომცხვარი პურებით, რომელსაც ასრულებს წითლად შემოსილი მამაკაცი. არ არის გამორიცხული, უფრო ველეს ხანაში მას სხვა ფორმაც პქონოდა.

ამრიგად, აღწერილი რიტუალი “ლეიიდუნი” მიცვალეულის სულის იმქვეუნად მშვიდობიანად გადასვლას ემსახურება, რაც ძაღლების, როგორც უზენაესი ღვთაების ნადირთა, მომადლიერებას ნიმნავს და არა მხოლოდ ხაიქონს დარაჯი ძაღლისა. ეს რიტუალი ტარდება წითელი ხამოსით, რაც გლოვის, და ამავე დროს აღდგომის, გაცოტელების სიმბოლოს წარმოადგენს.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

ნიუარაძე: ბ. ნიუარაძე, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთი, ტ. I, ობ., 1962.

საღლიანი: მ. საღლიანი, სვანური ტექსტები, ხელნაწერი, 1998.

ქრესტომათია: სვანური ენის ქრესტომათია, ობ., 1978.

სვანური პოეზია: სვანური პოეზია, ობ., 1939.

ნოზაძე: ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის განკითხვანი, ვეფხისტყაოსნის ფერთამებელები, ბუენოს აირესი, 1954.

ხიდაშელი: გ. ხიდაშელი, ვერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის აღრესამიწაომოქმედო კულტურებში, “ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები”, I, ობ., 2008.

ჰანნა: ბარბარა ჰანნა, კატა, ძაღლი და ცხენი (ლექციები), კურსი), თარგმანი ნ. ღამბაშიძისა (ხელნაწერი).

იოსელიანი: ხ. იოსელიანი, ეთნოგრაფიული დღიური, 2004.

Khatuna Ioseliani

#### About a Ritual Connected With Burial in Svaneti

In the texts recorded by linguists in Balszemo Svaneti in the I half of the 19<sup>th</sup> century one can find an interesting ritual connected with burial. In one historical narrative we read: “In the day of burial the dwellers of the village while going to the house of a dead person were taking dogs with themselves. Before carrying-out a dead person from the house a certain man used to be chosen. A red kabalakhi (a kind of national Georgian headdress traditional for the West Georgia) was tied round the chosen man's head, right shoulder and his lap was filled with the pieces of bread. The man used to lead the village dogs, through the pieces of bread and fid them on his way to the cemetery and thus accompanying the dead. The name of the ritual was “Leidun”.

Dog has a significant place in the Georgian mythology. According to svanetian materials it is connected with St. George and is considered as his animal. That is why it is forbidden to kill him.

At first sight we may think that the mentioned ritual is for gaining dog's favour; favour of the guardian of the other world. In our opinion the ritual has another meaning as well. Dog is believed as an animal of St. George and St. George in the mythology of this region in our opinion has also the functions of the pagan deity “Jrag”, that should have been the supreme deity of pagan pantheon in Svaneti. That is why feeding of the dogs may mean not only gaining favour of the other world's guardian but of the supreme deity as well.

As for red colour ethnographical material shows that it was mourning colour in Svaneti. Red colour is closely connected with dead souls and the other world not only in Balszemo Svaneti but in other gorges of Svaneti as well. Red colour is a symbol of death and resurrection. The use of the mentioned colour in the ritual is a symbol of death as well as resurrection.

## ირმა კვაშილავა

### გასთირჯი (წმინდა გიორგი) ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში

საუკუნეთა განმავლობაში ხალხი თავის მხატვრულ და ქსოვტიკურ გემოგნებას ზეპირსიტყვიერების საშუალებით გამოავლენდა. საერთოდ, ფოლკლორი მისი შემქმნელი ხალხის ერთგვარი მხატვრული ბიოგრაფია, რომელიც მათ ზნება და ადათს, შინაგან კულტურას და ეროვნულ კოლორიგს, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ინდივიდუალურ „მე“-ს, ქვეცნობიერად, იდუმალად, ფანტაზიის სამოსელში წარმოგვიდგენს. ფოლკლორის სიმღიღრის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ხალხის ისტორიული გამოცდილებაა. „ოსი ხალხის მშოოთვარე წარსული აღსავსება არნახული კატაკლიზმებით, აღზევებისა და დაცემის საოცარი კონტრასტებით. სამხრეთ რუსეთის უძველესნო ტრამალებზე მომთაბარე სკვითებისა და ალანების მძლავრი ტომების შთამომავალთ ქარცვეცხლიანმა საუკუნეებმა უანდერებეს მრავალი ვაჟკაცური ტრადიცია, ზნე და ჩვეულება, რამაც მაღალი იდეებით გამსჭვალა პირველ ყოვლისა მისი ფოლკლორი“ (ცხოვრებოვა: 1974: 385).

ამ კულტურული განმეულიდან ოსი ხალხისათვის ყველაზე ძვირფასი ეპოსია „ნართები“, რომლის ძირითადი ნაწილი ორი ათას წელზე მეტი წელისაა. „უფრო ზუსტად ნართული ეპოსი სათავეს იღებს ძვ.წ.-მდე მესამე ათას წლეულიდან, ინდო-ირანული ერთობის ეპოქაში, ხოლო მისი შევსება და შემოქმედებითი განვითარება ახ.წ.-ის მეორე ათასწლეულის შუა წლებამდე გრძელდებოდა“ (ლებედინსკი: 2001: VIII).

სპეციალისტთა აზრით, „ნართების პირველი ციკლი ბი, ჯერ კიდევ უძველეს დროს, ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ჩაისახა და ეპოსი იქმნებოდა ახ.წ.-ის XIII-XIV საუკუნეებდე, როცა მისი შემოქმედი ოსი ხალხი მონგოლთა ურდოებისგან საბოლოოდ დამარცხდა“ (ცხოვრებოვა: 1974: 386).

თავისი მაღალი იდეებითა და მხატვრული ღირსებით

სოფლიოს საუკუნეთებო ეპოსებს გატოლებული „ნართები“-ს რელიგიური მოტივებიდან ნიშანდობლივია, ნართებისა და წმირთების წინააღმდეგობრივი ურთიერთობა. ნართების წმირთები უბრალო და უშუალონი იყვნენ, რომლებიც ნართებთან მეგობრობდნენ. მაგ.: ნართი ალიმბეკი – გასთირჯი და ვაცილასთან, აცა – აფსატთან მეგობრობდა. ნართი კამ და აფსატი მმადნაფიცები იყვნენ. ზეციურმა საფამ ვასთირჯის ვაჟი აღსაზრდელად აიყვანა და ა.შ.

ნართების დამოკიდებულება ღმერთებთან ასახულია ოქმულებაში „როგორ დააჯილდოვეს ზეცაში მცხოვრებლებმა სოსლანი“. ოქმულების მიხედვით, არც ერთ ღვთაებას ნართები (სოსლანის სახით) უყურადღებოდ არ დაუტყვებია. კერძოდ, აფსატიმ სოსლანს თავისი საქონლის საწილი აჩვენა, ვასთირჯიმ – შესანიშნავი ხმალი, ქურდალებონმა – კავი და ა.შ. (ლიბედინსკი: 1948: 12).

ამგვარად, ღვთაებებმა ნართებს ის სიკეთე მიანიჭეს, რომელიც მათ გამგებლობაში შედიოდა. სხვა ოქმულების სიხედვით, ვაცილა ნართებს სასწაულებრივი აქანდაზით (რომელიც თავისით ივსება მარცვლეულით) და ხმლით აჯილდოებს; თუთირი – თვითმსროლელი მშვილდით, ვასთირჯი დოლის ცხენით და სალამურით ასაჩუქრებს (ჩიბირივი 1984: 68).

ნართებისა და ღმერთების მეგობრობა, რომელიც დასთუსავება, დამოყვრებაში გადაიზარდა, მარადიული არ იქმოჩნდა. როდესაც ნართებმა თავიანთი მიწიერი მტრები დამარცხეს, შემდეგ ბრძოლა გამოუცხადეს თვით ღმერთებს. მათ ისინი თავანას აღარ სცემდნენ და სახელსაც არ ასხენებდნენ. სახლს მაღალი კარი შეაბეს, რომ შესეყიდვასევლისას მოხრა არ დასჭირებოდათ და ეს ღმერთებს მათდამი თავანისცემად, თავის დაკვრად არ მიუწოდო. მათი გამწვავებული ურთიერთობა ოსურ ზღაპარში (ნართების აღსასრული) გამოიკვეთა, სადაც თითქოს წმირთმა ნართებს შეუთვალა: – „დაგამარცხოთ, დედაბუბანად ამოგწყვიტოთ, თუ ცუდი ნაშიერი დაგიტოვოთო. ნართებმა აღნიშნულ პირობას გმირი ურუზმაგის გონიერებით უპასუხეს: – ცუდი ნაშიერის ყოლას უშვილდირდება შენება ჯობია. რას ვაქნევთ მარად სიცოცხლეს? არ

გვინდა მარადიული სიცოცხლე. დაე, სამარადისო დიდ მოგვცესო. განრისხებულმა ღმერთმა ნართებს ახლა კი თირჯი მიუგზავნა, რომელმაც ისინი დასწყევლა: თქვე დღიური ნაშრომი ერთ ტომარაზე მეტი არასოდეს გამოს ლიკოსო. გალენავდნენ ნართები რამდენიმე ბულულ ქედა მხოლოდ ერთი ტომარა მარცვალი გამოდიოდა, მაგრა ნართები განა უჭირული იყვნენ! დღეში მხოლოდ ერთ ხელურს ლენავდნენ და ყოველი ხელური თითო ტომარ მარცვალს იძლეოდა, ბულული კი – ათ ტომარას. ამის ბად, ძველებურად ძღომისად ჭამდნენ. ღმერთი მიუხერა მათ ეშმაკობას. დასწყევლა ისინი და მის შემდეგ მათი კი ნა დღისით მწვანედ ბიბინებდა, დამით კი – მოსამკულებებოდა” (იათაშვილი: 2007: 93).

თქმულებების მიხედვით, ვასთირჯი ძირითადად ნართების მეგობარი და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოდებულურა. თავდაპირველად ეშმაკები (ქაჯები) ნართებთან მეგობრობდნენ. ნართი სოხლანის „მკვდრების სამყაროში“ მოგზაურობისას, მათ იგი კარგად მიიღეს. ეშმაკების მეფე ცოლად თავისი ერთ-ერთი ასულიც კი შესთავაზა... მაგრა შემდეგ იჩეუბეს და ნართების მეგობარმა ვასთირჯიმ ეს მაკები გაანადგურა (ჩიბიროვი: 1985: 47).

ნართების ეპოსში სიუჟეტურად ცალკე დგას თქმულება ვასთირჯისა და უცხენირ ნართი მარგუშის (მარგუში/მარგუზი) შესახებ, რომელიც პირველად ჯ. შანაურმა 1870 წელს გამოაქვეყნა (შანაური: 1870: 18). აღნიშნული თქმულება შევსებული სახით შევიდა 2001 წელს გამოცემულ თურ ნართულ თქმულებებში, რომლის მთავარი მოტივია ვასთირჯის უფროსი და უმცროსი ცოლების დაფინანსება, რომელი უფრო მამაცი და სახელოვანია, ნართი მარგუში თუ ვასთირჯი. ნართი მარგუშის არავინ არ იცნობს, არც მიწაზე და არც ზეცაში. არც ვასთირჯიმ იცის რამე მის შესახებ. ვასთირჯის სახელს კი ყველა პატიო სანი და წესიერი ადამიანი იფიცება. მეგობარი მეგობარს მისი სახელით ეფიცება, რომელიც ერთდროულად მიწაზეც ცხოვრობს და ზეცაში ბინადრობს. აღნიშნულ თქმულებაში მეტად საინტერესოა რამდენიმე დეტალი, რომელიც ვასთირჯის სახისმეტყველებას წმინდა გიორგისთან

თქმულებას, კერძოდ, მარგუში გადაწყვეტს ვასთირჯის მოუხმოს. დარწმუნებულია გულისხმიერი ვასთირჯი, საშველად ელვის სისწრაფით გამოცხადდება, ისე როგორც გაჭირვებული ადამიანის დაძახებაზე წმინდა უმაღვე იქ ჩნდება. სწორედ მოყასის საშველად უშეიქი მზადყოფნისა და მსწრაფლ შემსხმელობის გამო, სა ხალხი „პიროვლიანს“ უწოდებს. თქმულების მიხედვით, ვასთირჯი მკვდრეთით აღადგენს მარგუშის მიერ უნივერსულ ცოლსა და შეილს, რაც ქრისტიანული მხედრის ძლევამოსილების იდენტურია. კანონიქურ ურთლმადიდებლურ ღოცებში წმინდა დიდმოწამე გიორგის მიმართავენ: „გიხაროდენ, რამეთუ უფალმან ძალი უკირველი ცყო შენზედა, გიხაროდენ, რამეთუ უფალმან მიერ აღადგინა მკვდარი საფლავისგან“ (დაუჯდომაში: 2003: 71).

თქმულების აღნიშნული ვერსიის მიხედვით, ზეცაში ხასი მზეთუნახავი და ცხოვრობდა, რომელთაგან ერთი ურთლმადიდებლურ ცოლი იყო, მეორეზე ვაცილა იყო დაქორწინებული და მესამეზე – ვასთირჯი. ე.ი. მიწიერი ადამიანი მარგუში დამერთებთან ქვისლის სტატუსით იყო დამოკვრებული (ლიბედინსკი: 2001: 465).

ამგვარად, ნართულ ეპოსში ყველაზე საინტერესო იწო სხვადასხვა ეპოქის (წარმართული და ქრისტიანიზმული) დმერთების ბრძოლა. „ნართების ბრძოლის არაერთი უმთხვევაა აღწერილი წარმართულ დმერთებთან: დმერთებულებულ ქურდალაგონთან, ტყის ნადირის მფარველ დმერთებულთან და სხვა. ნართებისათვის ყველა ესენი „თავისი ხალხია“ (შინაურებია). ნართები ებრძვიან მხოლოდ ქრისტიანიზმულ ზეცაში მცხოვრებთ: ვაცილებს (წმ. ელია), ვასთირჯის (წმ. გიორგი), ზადებს (ანგელოზებს), თონონს (წმ. ოიანეს)“ (ცხოვრებოვა: 1988: 23).

ოსთა ზეპირსიტყვიერებაში ვასთირჯი მიწისა და ცის ბინადარია. ნართულ თქმულებაში „სხართი და სხართაგი“, ვასთირჯი მის მომატყუბელ ქალს შემდეგნაირად ემუქრება: ამ ქვეყნად მეტად აღარ შემსვედროდე, მაგრამ იმ ქვეყნად სად დამემალებიო (აბავი: 1939: 17).

უღირსი საქციელის შემთხვევაში ყოვლად მწყალობული

ლი ვასთირჯი ანუ წმინდა გიორგი სახელმაც არ აყოფნებს. გადმოცემების მიხედვით, ადამიანებს იგი გლახაკის სახით ეცხადება. ვ. მილერის მიერ ჩაწერილ ლეგენდაში, მოხუცი გლახაკის სახით მოვლინებული წმინდანი მინდორში მომუშავე მქებს ნატვრას აუხდებს. ერთი წლის შემდეგ, გამდიდრებული მქების მოსანახულებლად გამოცხადებული ვასთირჯი, როდესაც ისინი დაინანებენ გლახაკისთვის ხელის გამართვას, მათ ადგილზე აქვავებს. გამონაკლისია უმცროსი მმა, რომელიც გლახაქს გულთბილად მიიღებს და ცხვრის ხორცით გაუმასპინძლდება. მოგვანებით, როდესაც გაირკვევა, რომ მათ დაუძლეურებულ სტუმარს განსაკურნებლად ჩვილი ბავშვის სისხლი სჭირდება, ცოლ-ქმარი გადაწყვეტს, საკუთარი შვილის სტუმრისთვის ზვარაკად შეწირვას, რომელსაც ცხადია, წმინდა გიორგი უვნებლად გადაარჩენს (მილერი: 1882: 156-157) თქმულებას თანხვედრის წერტილები აქვს ბიბლიურ სიუჟეტთან.

იმ ოთხი წმინდანიდან, რომელსაც ოსები დიდ პატიქს სცემენ, ყველას თავიანთ სამსხვერპლო ცხოველს სწირვენ. წმ. ილიას (ვაჩილას) დაუკლავენ თხას, თუთირს – ხარს, ფალვარას – ლორს და ვასთირჯის – ცხვარს. „ლორის თავზე წმინდა გიორგის ლოცვა ლვთაების შეკრაცხვოფაა” (ჩეკიძე: 1935: 72).

გიორგობის (ოს. ჯიორგუბა) დღესასწაულზე, რომელიც ძვ. სტილით ნოემბრის შვიდში ან ათში იმართებოდა ყველი თხერი თჯახი თავის მოვალეობად მიიჩნევდნ სულ მცირე ერთი ბატქანი მაინც დაეკლა და სათანადო საჭმელ-სასმელი მოემზადებინა. გიორგობა ზოგან ერთ კვირას, ან სამ დღეს გრძელდებოდა. „შეძლებული თხი სამ დღეს სამ ცხვარს დაპკლავდა წმინდანის პატივსაცემად” (ქართველი ოსებში: 1890: 2).

ზეცაში ბინადართაგან ვასთირჯი ყველაზე ხშირად სტუმრობს დედამიწას იმისთვის, რომ გაიგოს, ეხმარების თუ არა ადამიანები ერთმანეთს გაჭირვებაში. მოკვდავთ შეცდომებითა და შეცოდებებით განაწევნებული გაქვავებით სჯის მათ. კერძოდ, თაგაურის ხეობაში, კახთიშარის აღმართზე, ქვების გროვას უკავშირებენ გადმოცემას, თუ

როგორ გააქვავა ვასთირჯიმ მდიდარი მასპინძელი ცურკო- ფი და მისი ოჯახის წევრები, რომლებმაც იგი სტუმრად იმ მიიღეს (ჩიბიროვი: 1982: 315).

ანალოგიური ხასიათისაა თქმულება შეცხარეზე, რომელმაც განგებ გამოიხმო ვასთირჯი, თითქოს ნადირი ყარას დაესხაო. საშველად გამოცხადებულმა წმინდანმა წაქავებით დასაჯა წინდაუხედავი მეცხვარე თავის ფარათან ერთად. ხალხური გადმოცემა ლეგენდის აღილად თრთოზალას მთის წვერზე მრავალ თეორ ქვასა და ერთ უწრო დიდ შავ ქვაზე მიანიშნებს, რომელიც თითქოს მეცხვარესა და მის ცხვრებზე იღუმალ მეტყველებენ (ლიანები: 1886: 10). აღსანიშნავია, რომ თქმულებებს აქვს ხოლმე რეალობის და უტყუარობის პრეტენზია. კონკრეტული ადგილების მითითება იმ აზრს ამყარებს, თითქოს ნამუშელად მომხდარა მოთხოვნილი ამბავი. ქ. სიხარულიდე სამართლიანად შენიშნავს, რომ მითოსთან და ლეგენდასთან ერთად, თქმულებას ძველი საზოგადოებისათვის ზეპირი ისტორიის ფუნქცია ეკისრებოდა (იათაშვილი: 2007: 16).

ვასკერკი – ვასგერგის (დიგორ. დიალექტით, ვასთირჯი – ირონ. დიალექტით) დიგორული თქმულება გადმოგვცემს თუ როგორ იცავდა ვასკერკი ხარისხში მარილის საბადოებს. მისი არ ყოფნით ისარგებლა დაბლობის აზეულოზმა და მარილი მოპარა. „не имея возможности наказать похитителя, Уаскерки пришёл в ярость, разsek мечём каменную скалу и пронзить её копьем. От удара меча образовалась трещина, от удара копья пещера, которые показываются и теперь. На этих местах совершается ежегодное празднество в честь Уаскерки (მილერი: 1882: 242).

საერთოდ, ადგილების შერჩევა საწესო რიტუალების წასამართათ თხებისთვის დამახასიათებელი იყო. წმინდა წილორგი თხოთა ცნობიერებაში აბსოლუტურ სიწმინდეს წარმოდგენს. ქალი თავს უდირსად თვლის წმინდანის სახელი ახენოს და მხოლოდ ქარაგმულად მიმართავენ – „ლაგო ძუარ” ანუ „მამაკაცების მფარველი”. უფრო მეტიც, „ქალებს უფლება არ პქონდათ წმინდა გიორგის პატივსაცემად გამართულ დღეობაზე მონაწილეობა მიეღოთ” (ტოქარევი: 1988: 549).

დღიუბის ტრადიციულ ტექსტში, საღვთოს გადახდის სას, ოსი უხუცესი ლუდითა და ხაბიზგინით ხელში ჟეკ ვედრება ლმერთა ლმერთს – მაღალ ხცაუს. მეორე ამ გილზე დგას ვასთირჯი, ვაჩილა თუთირთან ერთად. „ვასთირჯო, თუთირო და ვაჩილლავ, თქვენი იმედით ვსულ დგმულობთ!“ (ჩოჩიშვილი: 1883: 2). მხოლოდ ვასთირჯის ერგო პატივი ლოცვებში მისი სახელი ხიცაუ//„ხცაუ“ უზენაესი ლმერთის გვერდით მოეხსენებიათ. კერძოდ, „ბაკურთხოს ლმერთმა და ვასთირჯიმო“ (ჩიბიროვი: 1984: 57) რასაკვირველია, ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებში. წმინდა გიორგი საპატიო აღგილზე დგას. ვერხისას დროს შემდეგნაირად ილოცებოდნენ: „პირველად ლმერთი ვახსენოთ, / მემრე ბატონი ჩვენიო/, ვახსენოთ წმინდა გიორგი // ქალებიაზე მდგარიო“ (კიკნაძე: 1992: 5).

ზოგიერთ ქართულ თქმულებებში წმინდა გიორგი ღმერთადაა სახელდებული. „ხევსურებისა და ფშაველების ხევისძერები ღოცვის დროს, წმინდა გიორგის ღმერთად იხსენიებენ. სვანებიც გიორგის ღმერთის მსგავსად თავ ვანს ხცემენ და ღმერთზე ძლიერადაც მიაჩნიათ” (გაბიძე შვილი: 1992: 6-7).

ამგვარად, წმინდა გიორგი ითვლება ადამიანის მფარველად, მეტადრე გაჭირვების დროს, ადამიანის ყოულებების ბოროტების და უბედურებისაგან მხენელად. იგი ღმერთს გვერდით უზის და სულ იმის ცდაშია, კაცს რამე სიკეთე უყოს. ამიტომ უთქვამს ბრძენ კაცს: „წმინდა გორგი ვისაც სწყალობს, ღმერთიც იმას სწყალობსო“ (კორიტიშვილი: 2005: 572).

ცხადია, ქართულმა სინამდვილემ მნიშვნელოვანი  
როლი ითამაშა წმინდა გიორგის კულტის ჩამოყალიბებას  
და ფართოდ გავრცელებაში კავკასიაში. თუმცა მისი კულ-  
ტი და სახწაულმოქმედებათა ამსახველი ლიტერატურა  
მრავალ ენაზეა დამკვიდრებული ქრისტიანულ სამყაროში.  
მაგ.: წმინდა გიორგი თავისი ცნობილი აღრიბუტით, რო-  
გორიცაა მახვილი, საშველად მოხმობილია მგლის სოჭ-  
ხურ შელოცვაში: „რვა თოთით, ორი ხელისხულით, სარქ-  
სის ცხენის ფაფარით /მოსეს კვერთხით, წმინდა გიორგის  
მახვილით/, წმინდა გიორგის რწმენით, /ღვთისმშობლის

შინდა რძით/ შეკარ, შეიძყარ იგი” (კალანდაძე: 1959: 28). წისტიანული წმინდა გიორგის კვალი აღიღეულ ზეპირსიც ეკუთხებაშიც აღმოჩნდა. მაგ.: ლოთაება აუშერჯი „აუშერჯე” აუს გერგ – მეომართა და მხედართა მფარველი ლოთაებაა აღიღეულებში. დაუშჯერჯი (ადიღ.) წარმართული ლოთაებაა, მონადირეთა და მოლაშქრეთა მფარველი. ისე, რომ წმინდა გიორგის შესახებ არსებულმა ქრისტიანულმა ლეგენდებმა მაჭადიან მოიელთა ზეპირსიტყვიერებისებ მოახდინეს გავლენა” (ახვლედიანი: 1993: 102). რაც შეეხება წმინდა გიორგის ოსურ ფორმას – ვასგერგი (დიკორ. დიალექტ), ვ. აბაევს შესაძლებლად მიაჩინა, რომ ოსურმა ენამ იგი სვანურის მეშვეობით შეითვისა. „არც ჩერძნულ – ბისანგიურს, არც ქართულ გიორგის არ შევძლო მოეცა ოსურში გერგი. ქართული გიორგისაგან მოსალოდნელი იყო გირგაუ და არა გერგი (აბაევი: 1949: 301).

თეორ ცხენზე ამხედრებული და თეორნაბდიანი, ასრაღასხმული ვასთირჯი მკვლევართა მიერ დადასტურებულ წმინდა გიორგის ეთანაბრება, რომლის ეპითეტებია: „თოროსანი // თეროსანი (სამეგრელო) და თეოროსან შქე- ლიკო // შქელის თეოროსანი” სვანეთი (აბაკალია: 1985: 150).

ოსთა ხალხური შემოქმედებიდან ცალკე განხილვას იწახურებს ვასთირჯი // ვასგერგისათვის მიძღვნილი სა- ხოტბო სავედრებელი სიმღერები. ოქმულება-ლეგენდებით, სიმღერა-ლექსებით, ზღაპრებით, ანდაზებით განსაკუთრე- ბით მდიდარია ოსური ენა. „ოსური ფოლკლორი ძეგლების უშეიათი სიმღიდრით, მრავალფეროვნებითა და შინაარსის რეალობით გამოირჩევა“ (აგიაშვილი: 1970: 5). ოსები სიმ- ღირებით ადიდებენ სახელოვან წინაპრებს, მათ საომარ უსირულ ეპიზოდებს, წმინდანებს და სხვა. სიმღერებში სა- ხალილოთო ღმერთის – ვასთირჯის ეპითეტებია „ოქროს- ურთიანი“, „მუდამ მაღლა მყოფი“, „მართალი ვასთირჯი“ და ა.შ. მამაკაცთა და მგზავრთა მფარველ ღვთაებას ძირი- თხოვად მჟღიდობიან და კეთილ მგზავრობას შესთხოვებ: ცერез высокий перевал сделай наш путь прямым (т. е. счастли- ым), Высокий Уасгерги Верхнего Гулара (დაგუროვი: 1927: 131).

ანალოგიური ხასიათისაა ვასტირჯის სარიტუალი  
სიმღერა, რომელსაც პატარძლის სახლიდან გაცილებისას

ასრულებდნენ. საწესხვეულებო და საკულტო სიმღერებში იშვიათია წმინდანებისადმი მიმართვა, სადაც არ ფიგურირებდეს ვასთირჯი.

„მინდვრის მფარველს კუგალობოთ,  
ყანას მოგვცემს უხვმარცვლიანს,  
ბორხვარალდარს\* კუგალობოთ,  
მინდორს მოგვცემს ბარაქიანს.  
წმინდა ვასთირჯს კუგალობოთ –  
ის გაავლებს ლამაზ ხნულს,  
ნართ სათანას კუგალობოთ –  
გამოგვიცხობს ხაჭაპურს” (იათაშვილი: 2007: 751).

სტუმარ-მასპინძელს და მთელი სამწყსოს მფარველობას ვასთირჯის ავედრებენ.

„სტუმარსაც შენ მიხედვ, მასპინძელსაც ვასთირჯი / მუდამ მაღლა მყოფო, წინ მომავალმა, უკან მავალნი შეგვიწყალე, უკან ყოფნისას, წმინდაო ვასთირჯი, შენ ფრთით დაგვიფარე”. (ძაგუროვი: 1927: 132).

მოსავლის ადება-დაბინავებისას ხალხს დახმარებას კვლავ ვასთირჯი უწევს: „უეტვის უხვი მოსავალი მოვიდა / ვასთირჯი და ფალვარა დადიან, ფიქრობენ, თუ ხალხს როგორ დაეხმარონ. გადაწყვიტეს გააკეთონ გუთანი, გააკეთეს ის თუთირის კვირაში. და უდელიც ამ კვირაში გამართეს. ხელნაც მაშინ გაამზადეს ხატებმა, იმ კვირაში გამოჭედეს სახნისიც”...

ოსურ ზეპირსიტყვიერებაში წმინდა გიორგი თითქმის ყოველთვის დადებითი პერსონაჟია, რომლისთვის უჩვეულო არა ადამიანისადმი ზრუნვა და ქომაგობა. სატრფიალო ლირიკაშიც ვასთირჯი სათანადო ადგილზე დგას კერძოდ:

- გველეშაპად გადვიქცევი, ირგვლივ ჟავლაფერს გავწვდები,
- ვასთირჯის ისრად ვიქცევი, მაგ ენაზე დაგერჭობი,
- საბნის ნემსად გადვიქცევი, დედა უბეში დამშა-

\* ბორხვარალდარ – მარცვლეული ნათესების მფარველი დათავება ოსურ წარმართულ პანთეონში.

ლექს... (იათაშვილი: 2007: 763-764).

გვერდს ვერ ავუკლით ოსური ზეპირსიტყვიერების უსანიშნავ ნიმუშს – დალოცვის თავისებურ ტექსტს:

Утренние ангелы и вечерние Уацеллата,  
А посреди них был Уасгерги.  
Какая благодать была у них,  
пусть такая благодать будет  
и в этом собрании и в этом доме!

(ძაგუროვი: 1927: 129)

ოსურ ფოლკლორში ზღაპრის ჟუანრთა ნაწარმოები უქმატურად მდიდარი და მრავალფეროვანია. ქართულ სამარტინოსან ტიპოლოგიური და სიუჟეტის ვარიაციების მსახურება შეპირობებულია ადრინდელი უნივერსალური რწმენითა და შეხედულებებით. ცხადია, ოსთა ზღაპრულ ეტოს საკუთარი ნაციონალური კოლორიტი და სპეციფიკა ჩამოავალია. „ეპოსთან შედარებით ზღაპრში ძნელია ისტორიული სინამდვილის ასახვაზე ლაპარაკი, მაგრამ ხალხის ეროვნული ხასიათი, მისი სულის თვითმყოფადობა ზოგადოდ ზღაპრებშიც ვლინდება” (ცხოვრებოვა: 1974: 386).

ოსური ზღაპრების უმრავლესობის მთავარ გმირად ერთიბი ადამიანი გვევლინება, რომლის მცველ-მფარველი სახელევი თემის მთავარი პერსონაჟია. „მელა და ვასთირჯი”-ს ზღაპრის დასაწყისი ჩვენი გმირის დახასიათებით უკვება: „გასთირჯი ადამიანების დმერთი იყო და დარიბებს ხასიათიცა და გზაშიც ეხმარებოდა. მას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, რომელიც სულ ხალხში დაჭყავდა, ადამიანი შეისახოსო, რადგანაც თვითონაც ძალიან უჟვარდა ხალხი” (ცხოვრებოვა: 1974: 141). ოსთა წარმოდგენით, ვასთირჯი უკრძალ დმერთობა – ხცაუს გეერდითაა და შესაბამის მიწისა და ცის შუამავლად გვევლინება (ცალაგოვი: 1993: 17). ზღაპარში „რატომ არის ვასთირჯი მამაკაცთა ექვერთი”, აღწერილია თუ როგორ დაეხმარა ვასთირჯი დართი ქაცს, რომელსაც ტალახში მარხილი გაუტყდა. განუერნა მისი მომაკვდავი ვაჟი; როგორ მოკლა ნიანგი, რომელსაც წყლის ფასად ყოველწლიურად ქალიშვილს ხარებს აძლევდნენ. ამის შემდეგ გახდა ვასთირჯი დმერთის მანასშორი და ხალხი მის სახელს ლოცვულობდა: „ოქროდ

იქნა კაცების სალოცავო, დარიბთ დამხმარე ხარ, შენ სახელი შთამომავლობის იმედად დარჩეს” (ცხოვრებოვა: 1972: 147-149).

ერთ-ერთ ოსურ ზღაპარში („დმერთისა და ვასთიზის კამათი”), ვასთირჯი პრინციპულად ეურჩება ლმერთს მათი კამათი იმით მთავრდება, რომ ვასთირჯი ზეციდან ძირს ჩამოფრინდება და მიწიერ ადამიანებთან დაიდებს ბინას (ცხოვრებოვა: 1972: 145-146). გავიხსენოთ მრავალმხრივ საინტერესო ქართული ლეგენდა „ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი”. ლეგენდის მიხედვით, ისინი ერთად მიდიან პური მოშივდებათ და ცხვრის სათხოვნებლად მეცხვარებს მიადგებიან. ეს უკანასკნელი ორივეს უარით გაისტუმრებს, ხოლო წმინდა გიორგის შეხთავაზებს – მთელი ფარა წაიყვანეო.

სადაც აღარ არის მკვლევარის მოსაზრება, რომ ლეგენდა შექმნილია იმ საზოგადოების მიერ, რომელიც „ამ ცნობს ქრისტეს საქუთარ დვთაებად: მას ჰყავს სხვა დვთაება, ესაა წარმართი წმინდა გიორგი” (დლორნები: 1948: 264).

საყურადღებოა ოსური ზღაპარი „მღვდელი და მოლა”, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დასაჯა ვასთიზიმ ორი რელიგიის მსახური დაუფიქრებელი პასუხისმგებელი და სანაცვლოდ გონიერი დარიბი ადამიანი დააჯილდოუ (ბრიტაევი: 1951: 50-52).

განხილული ხალხური ზეპირსიტყვიერების მდიდარი მასალა უსათუოდ მიგვანიშნებს წმინდა გიორგის ურალისშემძლეობის არა ერთ გამოვლინებაზე. ძირითადად სოციალურად დაბალი იერარქიის გარემოში მოქმედებს (კოდაევი: 1903: 139).

წმინდა გიორგის კულტისადმი უპირატესობის მინიჭება და მისი სიღრმისეული გაცნობიერება, ქართული კულტურის ზეგავლენის მიმანიშნებელია. უფრო ზუსტად, ზეპირსიტყვიერი მასალების განხილვა ადასტურებს, რომ მის შემქმნელ ხალხებს „აერთიანებს უნიკალური მახასიათებელი – კავკასიელობა. იგი ერთ გეოგრაფიულ არეალში მეზობლობით არ ამოიწურება და გულისხმობს, მსგავსი იდეალების, ტრადიციების და ზნეობრივი მრწამსის არსებობას, რომელიც საერთო მსოფლმხედველობრივი წარ-

შოდგენებიდან მომდინარეობს“ (სიხარულიძე; 2007: 16). კავკასიაში შემოსახლებულმა ოსებმა აქ თავისებური მატერიალური და სოციალური კულტურის ტიპი შექმნებს „Тип хохти и не одинаковый для всех, – он имеет множество вариаций – но очень своеобразный по сравнению с южными и северными соседями Кавказа“ (დიუმეზილი; 1976: 8).

კულტურული-ისტორიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, ხაუთორივ ეროვნულ მარაგს დიდად თუ მცირედ ყოველთვის ერთვის გარედან შემოქრილი სიუკეტები და თემები, შემთვარული სახეები და გამომსახულებითი ხერხები, რომელიც ფოლკლორულ შემოქმედებას ამდიდრებს. ოსი საკლევრები წმინდა გიორგის თაყვანისცემის ფესვებს შორეულ წარსულში ეძიებენ. ისინი ვარაუდობენ, რომ „მუმრებისა და მგზავრების მფარველი ღვთაება მხოლოდ იმ ხალხებში იქნებოდა პოულარული, რომლებსაც მომთაბარე ცხოვრების წესი ჰქონდა“ (კოდაევი; 1903: 34), ან კიდევ წმ. გიორგიმ „Унаследовал черты того аланского бога войны, которому Аланы поклонялись в образе меча“ (აბაევი; 1960: 12).

ამგვარად, ვასთირჯი ანუ წმინდა გიორგი არის ოსთა ზეპირსიტყვიერების მთავარი პერსონაჟი, რომელიც ძლიერი ღვთაებაა და ითვლება მეომრების, მოგზაურების, ზოგადად მამაკაცების მფარველად. იგი აგრეთვე ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მკურნალი, მორალის მკაცრი ლამცველი, ულმობელი მსაჯული და სხვა ფუნქციების მატარებელია. შესაბამისად, მისი სახე რთული ბუნებისაა. სან აითვისა როგორც წინაქრისტიანული, ისე ქრისტიანული ღვთაების ნიშან-თვისებები.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

- აბაევი: 1939: Абаев В. Из Осетинского эпоса, М.; 1939.  
აბაევი: 1960: Абаев В. Дохристианская религия Алан, М., 1960  
აბაევი: 1949: Абаев В. Осетинский язык и фольклор, I М., 1949.  
აბაელიძა: 1985: Абаев Г. ქრისტიანული წმინდანები და

- Сағлუр-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გორგი), მაცნე (ისტორიის... სერია) №3, 1985.
- აგიაშვილი: 1970: აგიაშვილი ნ., ბესთაუთი, გ. კალაძე ქოსური ხალხური პოეზია თბ; 1970.
- ახვლედიანი: 1993: ახვლედიანი გ., წმინდა გიორგი ქართულ ფოლკლორში, ქურ. „რელიგია“, №10-11, 1993.
- ბრიტაევი: 1951: Бритаев С., Казбеков К., Осетинские народные сказки, М., 1951.
- გაბიძაშვილი: 1992: გაბიძაშვილი ე. (შემდგ.-გამომც.), წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ; 1992.
- დანელია: 1991: დანელია კ., ცანავა ა. (გამომც.) ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბ; 1991.
- დაუჯდომელი: 2003: დაუჯდომელი საგალობლების კრებული, თბ., 2003.
- დიუმეზილი: 1976: Дюмезиль Ж, Осетинский эпос и мифология, М., 1976.
- იათაშვილი: 2007: იათაშვილი შ. (რედ.) კავკასიური ზღაპრები და თქმულებები, თბ, 2007.
- კიქნაძე: 1992: კიქნაძე ზ., მახაური ტ. (შემდგ.), ქართული ხალხური პოეზია, თბ; 1992.
- კოტეტიშვილი: 2005: კოტეტიშვილი ნ. ხორნაული ნ. ხორნაული გ. (შემდგ.), მზიანი რწმენის საუფლო, თბ; 2005.
- კალანდაძე: 1959: კალანდაძე გ. (მთარგმნ.), კავკასიური ხალხური პოეზია, თბ; 1959.
- კოძაევი: 1903: Кодзаев Ал. Осетины и Осетия, Владикавказ, 1903.
- ლიახველი: 1886: ლიახველი გ. ოსური ლეგენდები, ქურ. „მწერმანი“, №21, 1885.
- ლიბედინსკი: 2001: Либединский Ю. (перев.), Осетинские народные сказания, М, Владикавказ, 2001.
- ლიბედინსკი: 1948: Либединский Ю. (перев.), Осетинские народные сказания, Дзауджикау, 1948.
- მილერი: 1882: Миллер Вс. Осетинские этюды, ч.1.Тиф; 1882.
- ტოკარევი: 1988: Токарево ს. (მთ. რედ.), Мифы народов мира

- т. II, М., 1988.
- ქართველი ოსებში: 1890: ქართველი ოსებში, ზოგიერთი ზე-ჩვეულება ბარის ოსებისა, გაზ. „ივერია“, 1890, 6 ნოემბერი, №236.
- ქლონტი: 1988: დლონტი ალ. ქართული ზღაპრები და ლეგენდები, თბ; 1948.
- შანაევი: 1870: Шанаев Дж. Осетинские народные сказания, сборник сведений о кавказских горцах, Тиф; вып. III, 1870.
- შიბიროვი: 1984: Чибиров Л. Древнейшие пласти духовной культуры Осетин, Цхинвали, 1984.
- შიბიროვი: 1982: Чибиров Л. (сост.), Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, кн. II, Цхинвали, 1982.
- შოშიშვილი: 1883: ხოშიშვილი გ. დღესასწაულები ოსეთში, გაზ. „დროება“, №258, 1883.
- შეეიძე: 1935: ჩეეიძე ბ. (პ/რედ.), ოსური მწერლობა, კრ. I, თბ., 1935.
- ულაგოვი: 1893: Цаллагов А. Селение Гизель, сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XVI, 1893.
- ულვრებოვა: 1988: ცხოვრებოვა გ. (მთარგმნ.), ნართები, ცხინვალი, 1988.
- ულვრებოვა: 1974: ცხოვრებოვა გ. (მთარგმნ.) ოსური ზღაპრები, ცხინვალი, 1974.
- ულვრებოვა: 1972: ცხოვრებოვა გ. (მთ..) ოსური ზღაპრები და ლეგენდები, ცხინვალი, 1972.
- უსური: 1927: Дзагуров Гр. Памятники народного творчества Осетин, вып. II, Владикавказ, 1927
- უმბუაშვილი: 1989: ხორგუაშვილი გ. (რედ.), ნამცვრევი, თბ., 1989.

**Irma Kvashilava**

### **Vastirji (Saint George) in Osetian Folklore**

Religious beliefs and views of Osetian people are characterized with widespread cult of Saint George respectively reflected in Osetian folklore (myths, legends, tails, songs).

Saint George on his white horse (Vastirji in Osetian) is a symbol of justice and victory, permanent protector and patron of people in need; there is emphasized his primary nature and power. Such view with respect of the cult by the Osetians accords to the folklore of Georgian mountain population (Pshav-Khevsureti, Svaneti), who respected Saint George as a god. Similarity of the plots and motives shows that Georgian culture had significant impact on the peoples of Caucasian Mountains.

The article considers the nature of Saint George, his functions, area, attributes and other aspects of his activities.

**ზურაბ კიკნაძე**

### **აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი**

**პაგანიზმი და პაგანიზაცია**

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადო-ეთნოსოციალურ-რელიგიური რაობა სრულიად უცნობია მათთვის საისტორიო წეაროებისთვის, როცა ისინი სისხლ-ხელის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებას კი მხოლოდ ის შეუძლია თქვას, რომ ისინი არქაულ საზოგადოებათა გადმონაშთებია, თუმცა ისტორიულ დროში მათთვის ადგილის მიჩნა პრობლემა იქნია. სინამდვილე კი ის არის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოები დღემდე ცოცხალი ორგანიზებით და ძნელდება იმის გარკვევა, თუ მათი სახით რომელი კორპუსის არქაიზმს გულისხმობს თანამედროვე ეთნო-ტრადიცია... შესაძლებელია კი, როგორც ლევი-სტროსი სვამი იყოს, გარჩეული იქნას ნამდვილი არქაიზმი ფსევდოარქოზისგან, როცა არ გვაქვს შესაძარებელი მასალა? მისი თქმით, ეთნოგრაფმა თუ ეთნოლოგმა, რომელიც კორპუსი და თანამედროვე საზოგადოებებს სწავლობს, არ უნდა დაივიწყოს, რომ ვიდრე ეს საზოგადოებები ასეთნი ეთნოგრაფნენ, როგორნიც დღეს ჩანან ჩვენს წინაშე, მათ სახელმძღვანელო დროის განმავლობაში უნდა ეარსებათ, მაშა-ხელმძღვანელობა, უნდა შეცვლილიყვნენ. ის ნიშნები, თუნდაც მთელი სტრუქტურა, რომელიც დღეს არქაიზმს გვაგონებს, უფილი შესაძლებელია მეორეული წარმოშობის იყოს. ანუ ის, რაც დღეს არქაული გვაჩვენებს თავს, შესაძლოა, რაოდი ნამდვილი არქაული ფორმის ცვლილების, გარდა ის შედეგი იყოს. საქმე გვაქვს ისტორიულ შედეგთან, კი გვხერს მასში საწყის ვითარებას ვხედავდეთ. როგორ წარმოვიდგინოთ, რომ არქაული ურთიერთობები, არქაული წყობა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ზურგით სისტანეს დღემდე ცოცხალმა ადამიანებმა და დღემდე უხუცეს მისი ზიდვა. არქაიზმთან ერთად ეთნოგრაფები ამ საზოგადოებებში წარმართობას ხედავენ. არქაიზმი და

*khati*, addressed to a *khtishvili*<sup>1</sup>, who is a Christian saint or angel, is adorned with colorful epithets and pseudonyms and cloaked in mystery.

Almost every *jvari* of Pshav-Khevsureti, Mtialet-Gudamakari, Khevi and Tusheti are referred to by proper epithets. Every epithet contains a certain narrative (saying). These epithets briefly describe the functional properties of *jvar-khati*. However, not all narratives about the known epithets have survived. In classical times, these epithets with their mystic and religious content must have been well known for the serfdom<sup>2</sup>.

The deviation from the canonical liturgy occurring after the isolation of the highland and lowland led to so called 'Vestiges of paganism' in the cult-ritual texts.

Our studies and investigations have revealed three sedimentary layers of 'paganism':

- (1) a mix of the fragments taken out of the Christian liturgical texts and Holy Writ (Gospel), which are the texts of *kurtkhevani* and have a sacral meaning in the serfdom's consciousness. This is an easily detectable layer.
- (2) *mokhsenebani* (solicitations) and *piriskari* (private talks) originated as a result of highly paganized church prayers, which are a component of *khutsoba* (clerical text). This second layer can be identified and revealed through the comparative study of the ecclesiastic texts and the folklore; and
- (3) a saint of every community (serfdom) is adorned with colourful epithets and pseudonyms. This is a much deeper layer, which is more difficult, yet not impossible to identify.

<sup>1</sup> Khtishvili: a guarding saint or angel.

<sup>2</sup> Serfdom, the same as *sakmo* in Georgian, which is traditional community of Georgian mountain dwellers.

## ნინო მინდაძე

პიროვნების შინაგანი კონფლიქტი და რჩეულობის  
ტრადიციული ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს  
მთიანეთში

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო და უფრო  
დიდ ადგილს იკავებს სხვადასხვაგვარი კონფლიქტის: პი-  
როვნელი, სოციალური, რელიგიური... კვლევა. ცნობილია,  
რომ მნიშვნელოვანი ადგილი უაგია კონფლიქტს ადამია-  
ნის ცხოვრებაში. ადამიანი თავადკონფლიქტური არსება. იგი  
მუდმივად დგას არჩევანის წინაშე. ქრისტიანული  
თვალსაზრისითაც, ლმერთმა ადამიანს თავისუფლება მია-  
ნიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მისცა თავისუფალი არ-  
ჩევანის უფლება. ადამიანის შინაგან სამყაროში ყოველ-  
ობის ხდება დაპირისპირება, რომელიც ხშირად საქმაოდ  
იძაბება და კონფლიქტურ სიტუაციას წარმოშობს, რაც  
ხშირად ადამიანის ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის  
დარღვევის მიზეზი ხდება. ადამიანის ნორმალური ფსიქი-  
კური მდგომარეობის დარღვევა, ნორმიდან გადახვევა კი  
სხვადასხვა ფსოქოპათოლოგიის სახით ვლინდება. კონ-  
ფლიქტს, რომელსაც ადამიანის შინაგან სამყაროში აქვს  
ადგილი, თანამედროვე მეცნიერებაში პიროვნების შინა-  
განი კონფლიქტის სახელით მოიხსენიებენ. საინტერესოა,  
რომ ძველ ქართულ მედიცინაშიც ადამიანი კონფლიქტურ  
არსებად არის წარმოდგენილი, რომლის სხეულში მუდმი-  
ვად ერთმანეთს ებრძევის კეთილი და ბოროტი – ჯანმრთე-  
ლობა და დაავადება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს  
XIII საუკუნის ერთ სამედიცინო ხელნაწერში მოცემული  
ადამიანის სხეულის ალეგორიული განმარტება: „ტანი  
(სხეული 6.3.) კაცისა ქალაქსა პგავს და ბუნებად ტანისა და  
ხელმწიფე არს, ჭირი და მანკი ვითა მტერი არს, რომელი  
ქალაქსა შემოვიდეს საოხრებლად, და წამალი ბუნებისა და  
აბჯარი წომისა (ომისა 6. 3.) დღესა, და აქიმი კარგი, ვითა  
შეაბჯრე ჩაუქი და მეცნიერი; მეცომარი და გულონი ხამს,  
რომელ ჰომისა საქმე იცოდეს, შებმისა და ჭირისა დღესა  
შეურთაგან მშვიდობით დაიცვას ხელმწიფერ (წიგნი სააქ-

მოი: 1936: 9). აქ ტანი – ადამიანის სხეული შედარებული ქალაქს, ხოლო ტანის ბუნება კი. სხეულის ნორმალური მდგრამარეობა ხელმწიფებს, რომელსაც თავს ესხმის მტერი კი. დაავადება და ყალიბდება კონფლიქტი, რომლის მოტვარება წამლით შეიარაღებულ ექიმს – „მეაბჯრესრ „მეომარსრ ევალება. ადამიანის სხეულში არსებული დაპირისპირების საფუძველზე აიხსნებოდა დაავადებაც. ცნობილია, რომ შეა საუკუნეების ქართული სამედიცინო ხელნაწერების თეორიული საფუძველი პირკრატეს პუმორალური პათოლოგიის მოძღვანელის მოძღვრება, რომლის მიხედვით დაავადების სხეულში არსებული 4 მაცოცხლებელი სითხის წონასწორობის დარღვევის შედეგია. როგორც ვთქვით, დაპირისპირება ხდება ადამიანის ფსიქიკაშიც.

ამჯერად, ფსიქიკური დაავადების სპეციფიკური სახე გვაინტერესებს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ რელიგიურ ინსტიტუტებთანაა და კავშირებული. შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნული დაავადების პიროვნების შიგნით, მის ფსიქიკაში არსებული კონფლიქტით ახსნა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უკელაზე სრულყოფილად კი ფშავ-ხევსურეთში, ამ უკანასკნელ ხანებამდე მოქმედებდა რჩეულობის ინსტიტუტი. ეს ერთ-ერთი უძველესი და უნივერსალური ინსტიტუტი, გულისხმობს ურთიერთობის დამყარებას და დამიანებებს შორის.

არსი ამ ინსტიტუტისა უკელა რელიგიურ სისტემაში ერთი და იგივეა – ადამიანის კავშირი ზეციურ ძალებთან მათთან ურთიერთობის დამყარება ღმერთის, ღვთაების, რჩეულის მიერ. მაგრამ სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებაში იგი განსხვავებული ფორმით იყო წარმოდგენილი. ადრეულ რელიგიურ სისტემებში რჩეულობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტრანსი, რომელიც ვლინდება ღვთაების რჩეულის წინასწარმეტყველების პროცესის დროს. ხშირად სპეციფიკურ ფსიქოპათოლოგიურ გადასრას ადგილი აქვს რჩეულის მოვალეობის აღსრულებამდე ღვთაების სამსახურში ჩაღომადე. ეს გადახრა ამა თუ იმ პიროვნების ღვთაების „ხელდებისრ ღვთაების მიერ არჩევის ნიშნად ითვლება და მთელ რიგ მეცნიერთა მიერ ის-

ტერიულ ფსიქოზად არის მიჩნეული. რჩეულობის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც არის დაღასტურებული, წარმოდგენილია ქადაგობის სახით. პირველი ცნობა ფშაველი ქადაგის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის – „წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და დაღადებს მრავალსა მაგიერ წმიდისა გიორგისა, და რასა იგი იტყვს, სონავთ და ჯერ იჩენებ უმეტეს ჭეშმარიტებისასათ (ბატონიშვილი ვახუშტი: 1979: 533).

ქადაგობის პროცესი დეტალურად აქვს აღწერილი ვაჟა-ფშაველას (ვაჟა-ფშაველა: 1937: 131-132).

ქადაგობის ინსტიტუტი შეისწავლა თ. ოჩიაურმა. მინიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული გ. შარაშიძის, ზ. კიკნაძის და სხვათა მიერ. თ. ოჩიაურის განმარტებით „ქადაგი იმ პიროვნების აღსანიშნავად იხმარება, რომელიც ხალხის წარმოდგენით, ღვთაების ნება-სურვილს აუწყებს მათ. მისი ენით ლაპარაკობს, ხალხსა და ღვთაებას შორის მოციქულობს (ოჩიაური: 1954: 4). გ. შარაშიძის განმარტებით: ქადაგი „შეცყრილი, შთაგონებული პირია, რომელიც შუამავალია ღვთაებასა და ადამიანებს შორის სამყაროში, მოქმედებს ზემოდან ქვემოთ, ზეციური სამყაროან ამქვეცნიურ სამყაროში (Charachidze: 1968: თავი III). ქადაგის ძირითად მოვალეობას, როგორც თ. ოჩიაური გვაუწყებს, შეადგენდა: „ხალხსა და ხეთისშვილს შორის შუამავლობა, მომავლის წინასწარმეტყველება (ავადმყოფობა, სიკედილიანობა, ლაშქრობა, ჭრა-ჭრილობა, ამინდის სიავეჯარებე, მოსავლიანობა და სხვ). იგი ამცნობდა ყმებს, თურა სწყინს „ხეთიშვილსრ რას თხოულობს მათგან და რით შეუძლია მისი გულის მონადირებარ (ოჩიაური: 1954: 15). როგორც ვახუშტი გვაუწყებს, ქადაგი ქადაგობის დროს ცნობიერებადაკარგულია – ხელქმნილია და იგი წმინდა გიორგის სახელით ლაპარაკობს. ასეთივე მდგომარეობაში ღვთაების ენით ქადაგებდა ქადაგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უკანასკნელ ხანებამდე. მთიელთა განმარტებით, მასში სახლდებოდა ღვთაება, ღვთისშვილი და იგი ღვთაების ენით ლაპარაკობდა. რასაც ასახავს ქადაგის ურთ-ერთი სინონიმი „მეენერ როდესაც ქადაგი ქადაგობას

მორჩება, იგი ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება და აღარაფერი ახსოვს (ოჩიაური: 1954).

თანამედროვე სამეცნიერო მონაცემების მიხედვით ქადაგობა ხდებოდა ტრანსის მდგომარეობაში. შემდეგ კი ქადაგი უბრუნდებოდა ჩვეულ, სრულიად ნორმალურ მდგომარეობას. გარკვეულ ფსიქიურ გადახრას პქონდა აღილი ქადაგად დადგომის წინა პერიოდშიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქადაგობა, ისევე როგორც ხევისბრობა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მემკვიდრეობით ინსტიტუტის წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ხატის სამსახური ქადაგსა და ხუცესს „გვარში მოუდიოდა“ მის არჩევას მანიც სალოცავის „ხატისრ „ხელდებარ „მაკვლევარ უძღვდა. „ქადაგად გახდომა პიროვნების ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. ხალხის თვალსაზრისით, მას თვით დავთისშვილი ამოირჩევდა. ამორჩევას ამ პირის რაიმე დადებითი თვისება დაედგებოდა საფუძვლად, ისეთი თვისება, რომელიც დავთისშვილს მისადმი სიმპათიით განაწყობდა, დავთის რიდით და მოკრძალებით გამოირჩეოდა ან თუ მისი წინაპრები ჯვარის კარზე ყოფილან ქადაგად ან ხუცესად ანდა ისე შენიშნავდა ხალხში, მოქმონებოდა და თვალს დაადგამდარ (ოჩიაური: 1954: 15). ე.ი. დავთაება თავდაპირელად რჩეულს აუწევდა თავის სურვილს და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხდებოდა ეს პიროვნება სალოცავის მსახური. ამ დროის მანძილზე მომავალი ქადაგი ხშირად ავადდება, უმეტესწილად ნევროფსიქიური დამვადებებით. ალ. ოჩიაური შემდეგნაირად წარმოგვიდგნს ქადაგად დადგომის წინა პროცესს – „ხევისბრად მიზსვლებს, ხატი ბავშვობიდანვე ამიზეზებდა, ხან ავად ხდებოდა, ან გააქადაგებდა და ხატივე ავალებდა მას სიწმინდეს, უმკითხავებდნენ მკითხავები, ძევლი ხევისბერები, ზოგი მათგანი გაკრიუანგდებოდა (გაჯიუტდებოდა ნ.მ.) და არ მივიდოდა ხევისბრად. მერე გახდებოდა ავად და მეტი გზა არ ექნებოდა, უნდა გაეგონა მკითხავ-ხევისბერისათვის და მისულიყო ხატშირ (ოჩიაური ალ.: 1947: 56). „გარკვეულ ასაკამდე (15-20 წ.) მომავალი მეენე ხშირ შემთხვევაში შედარებით სუსტ ფორმებში გამოავლენს ხატის დაჭრილობის ნიშნებს, ხოლო აღნიშნულ ასაკში მისი ავალ-

შეფორბა მეტი სიმწვავით მჟღავნდება. ამ დრომდე დავთისშვილი წვრთნის მას, ასწავლის, ესაუბრება, ამცნობს თავის სურვილის შესახებ, ხოლო, როდესაც ეს პირი გონებრივად და სქესობრივად მწიფდება, როცა მას უკვე შეუძლია ხალხისა და ჯვარის სამსახური, დაბეჯითებით მოითხოვს, რათა იგი მისი მეენე გახდეს. დაჭრილი ამ დროს დავთისშვილთან გართულია, ესაუბრება ხატებს, ემუდარება განთავისუფლების შესახებ, არ სურს მის ნებას დაჭუქეს, მაგრამ ყოველგვარ ურჩობას მეტი ზიანი მოაქვს. ხატი „აღაბუშებსრ (აგიუბს) დაჭრილს. ხან წყალში ჩასახომად „გასწევსრ ხან თავის მოსაქლავად იარაღს ბადებინებს ხელში. დაჭრილი კვირის, ბოდავს, ტირის, შაგრამ ამოდ, დავთისშვილი მანამდე არ მოეშვება, სანაც არ დაიყოლიებსრ (ოჩიაური: 1941: 17).

ქადაგად დადგომის წინა პროცესი შეიძლება რამდენიმე ეტაპად გავიაზროთ: პირველი ეტაპი მსუბუქი ხასიათის დაავადებით გამოიხატებოდა – მოუსვენარი ძილი, ჩვენებები... თუ ამ ეტაპზე რჩეული ხატის ნებას არ დაჭუქებოდა და ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა, იგი მოიყლთა წარმოდგენით, დაისჯებოდა დავთაების მიერ. დავთაება მას ემუქრებოდა, აშინებდა და ამ გზით ცდილობდა მის დამორჩილებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, უკვე XIX საუკუნის ბოლოდან ჯვარისყმობის ტრადიციული ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხახეცვლილია. იგი, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით ხრულყოფილად ფშავ-ხევსურეთში შემორჩა. ისიც აღსანიშნავია, რომ ქადაგი ხალოცავის უზენაესი მსახურის, ხუცესის ფუნქციასაც ითავსებდა, ქადაგი იმავდროულად ხუცესი, ხევისბერიც იყო, მაგრამ ყველა ხუცესს არ ქონდა ქადაგობის უნარი. ხუცესისთვის ქადაგობა განსაკუთრებულ უნარს წარმოადგენდა. როგორც ქადაგი, ისე ხუცესი, სალოცავის უზენაესი მსახური თანამეთებულის უაღრესი პატივისცემით სარგებლობდა: „ხუცესი (ხევისბერი) უწმინდეს არსებად ითვლებოდა, ქალები მის სახელს ვერ წარმოთქვამდნენ. იმათ მის საცხოვრებელ ბინაში შესვლაც ეკრძალებოდათ. მოიპოვება არამცირე მაგა-

ლითები ხუცეს-ხევისბერის გაღმერთებისა მისი სიკვდილის შემდეგ. მისი საფლავი საკულტო ადგილი ხდებოდა, საღაც საჯვარო დღეობებს მართავდნენ (ბარდაველიძე 1952: 627). იგივე შეიძლება ითქვას ქადაგის შესახებ, მით უმეტეს, რომ აქ საქმაოდ ხშირად სალოცავის უზენაესი მსახური თავხევისბერი, ხუცესი ქადაგის ფუნქციასაც ითავსებდა. ამგარად, ქადაგის როლი მთიელთა სოციალურ სისტემაში მნიშვნელოვანი იყო, მისი სოციალური სტატუსი კი მაღალი. მიუხედავად ამისა, მთიელები მას უბედურ უიღბლო კაცად თვლიდნენ – „ფშაველის აზრით, კაცი თავისი იდალი ანუ მფარველი ანგელოზი თან დაკყვება... ხევისბერი თუმცა ხატის მახლობელი პირია და ხალხის გან პატივცემული, მაგრამ კარგი იღბლის მქონედ, „დაჭლათიანთ ბედნიერ კაცად ის მაინც არ ითვლება, უშავლებში ხევისბერი და მოწმინდარი ხატის ტუსაღები და მონები არიან. იდალი კი კაცს, რომ ამოირჩევს, თავის თვის ხევისბერად და მოწმინდარად ვერ დაამონავებს, რადგან მისი წინააღმდეგი და კაცის მოსარჩევე ამ შემთხვევაში კაცის იდალია. ფშაველის აზრით, უკელა ხევისბერი, ქადაგ-მკითხავი და საზოგადოდ დამონავებული კაცი უიღბლოა და თავისუფალ ხალხზე ნაკლებ ბერიერით (ხიზანაშვილი: 1889: №183). ვაჟა-ფშაველას გადმოცემითაც – „მკითხავი (იგულისხმება ქადაგი) ტუსაღალ ჰყავდა დაჭერილი ხატსრ (ვაჟა-ფშაველა: 1937). იგივეს აღნიშვნავს აღ. ოჩიაური: „მგელათ პაპა ამაყი ყოფილა და ბატონის უსამართლობას გამოქცევია, მოსულა თავადი და მოუთხოვია ისევ დაბრუნება, მაგრამ მგელათ პაპა (ვი) უარზე დამდგარა და ბატონს აღარ გაჟოლია. ამ დროს „დამასტურიორ მათურხევს ყოფილა დაბრძანებული, დამას „დამასტურო, მარიამ წმინდა დედოფალი, მგელათ პაპა – ყმა, ბატონს რომ არ გაჟოლია, ბატონი დამასტურის ნიშთან მისულა მათურხევს და შეუძახებნავ; დალოცილო დამასტურო, მარიამ წმინდა დედოფალი, ეს ჩემი ყმა გამორჩეულდა და ვეღარ დავიყმე, შენთვის შემომიწირავს, შენ დაიყმე და იმსახურე შენის სახელის მაღლსა და დიდებას დაუშორჩილე ჩემი ურჩი ყმა, ამის შემდეგ ხევისბრობა და მასტურში მოუდის მგელათა, აუცილებლივ ერთ-ერთი მათ-

განი აქ ხევისბერი უნდა იყოს და მკითხაობც (ქადაგობაც ნ.მ.) მოუდის (ოჩიაური აღ.: 1939: 314-315). სალოცავის უზენაეს მსახურს ხუცესს და ქადაგსაც, ხატის მონას, ტუსაღნა და დაჭერილს უწოდებენ. ზურაბ კიკნაძე ღვთაებისა და მისი რჩეულის ურთიერთობის – „დაბუშობის“ შესახებ წერს: „დაბუშობის, როგორც განსაცდელის, გავლა აუცილებელი წესია საკრალური თანამდებობის დასაკავებლად ჯვარის კარზე, მაგრამ ისიც აუცილებელ წესად არის ქცეული, თითქმის რიტუალად, რომ ადამიანი გაურბოდეს თანამდებობას ჯვარის კარზე, რადგან ის მბიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობად მიაჩნია; რადგან მას მოუხდება ჯვართან და მის კვრივებთან სიახლოვე, რაც შესაძლებელია მისი დაღუპვის მიზეზი შეიქმნას, თუ საკმარისად წმინდად არ შეინახა თავი; თუ არ იწმინდა, „მირეული“ მიუახლოვდა სიწმინდეს, მას უეჭველი განადგურება შეოლის, გაიგონებოთ ხუცესად დაღვომაზე უარის თქმის მიზეზად, – ვიცოდი, წმინდას ვერ შევძლებდი, ამიტომაც უუძლიანდებოდი ჯვარს...“ ჯვრის მიერ ნიშანში ამოღებული მზად არის გადაიტანოს ჯვარის რისხვა, ვიდრე დაკვექს მის ნებას და დაუდეგს მსახურად. განსაცდელი... მხოლოდ მოწიფულობის ხღურბლზე როდი ელის ადამიანებს; ის ჩვეულებრივ ამ ასაკში იჩენს თავს, მაგრამ ჯვარი, თუ მას სჭირდება, არ დაგიდევს ასაკს ადამიანისას, რომელიც მან რჩეულად გამოაცხადა. პოტენციურად ადამიანი, ჯვარის ყმა, ნებისმიერ ასაკში უნდა ელოდეს ჯვარის ძახილს, მის ჩენას; ხშირად ჯვარი სულიერთან ერთად ფიზიკური ავადობის სახითაც იჩენს თავს ადამიანში, ყმა ხვდება ბატონის ნიშანს, მაგრამ ურჩობს, მისთვის „სიკულილი და ხევისბრობა ბეღენა არის“ (კიკნაძე: 1985: 251). დეთაებასა და მის რჩეულს შორის ბრძოლა საქმაოდ მძიმე ფორმით ვლინდებოდა, რაც გამოიხატებოდა დაავადების გამძაფრებით – ბოდვით, ისტერიული მოვლენებით. აღილი ჰქონდა ფსიქოზის სხვადასხვა სახის გამოვლინებას, რომლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა რიგი ფაქტორებისა, პირველ რიგში ის სოციალური გარემო, რომელშიც მთიელები ცხოვრობდნენ. მთიელთა ტრადიციული რელიგია, რჩეულობის ინსტიტუტან დაკავშირებულ რწმენაში მოუდის მგელათა, აუცილებლივ ერთ-ერთი მათ-

ნაწარმოდგენათა ადგილობრივი სისტემა, რომლის საფუძვლის გვთაების რჩეულის ცნობიერებაში ყალიბდებოდა დაპირისპირება. მოვალეობასა და სურვილს შორის. ღვთაების სამსახურში ჩადგომა, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სერიოზულ, საპასუხისმგებლო მოვალეობას წარმოადგენდა. ქადაგი სხვა მეთემკუნძულისგან განსხვავებით მეტად იყო დამოკიდებული სალოცავზე და გალდებული მის წინაშე. სწორედ, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა მას ხატის ტუსაღად, უიღბლო ადამიანად აღიქვამდა.. ამრიგად, ამ პერიოდში ზემოსხენებული კონფლიქტი კიდევ უფრო მწვავდებოდა. ერთი მხრივ, იყო პიროვნების სურვილი, მოტივირებული თავისუფლების შენარჩუნებით და შიშით მომავლის წინაშე, მეორე მხრივ, კი მოვალეობის გრძნობა. ყალიბდებოდა შინაგანი კონფლიქტი – მიზეზი ფსიქიკური დაავადებისა. ზემოთქმულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ როდესაც პიროვნების შინაგანი კონფლიქტი გვარდებოდა, რჩეული სალოცავს ნებდებოდა. ე. მაშნი, როდესაც ის აკეთებდა არჩევანს. არჩევანი კი, როგორც წესი, ღვთაების სურვილის დამორჩილება იყო. „ქადაგად ან ხეცესად „დაჭრილის“ ურჩობა ჯვარის მიმართ, ამბოხი ხორციელისა თავისი ბატონის წინააღმდეგ და შემდეგ ჭიდილი რო, ერთმანეთისადმი შეუწონადი ნებისა აუცილებელი მომენტია ჯვარის მსახურად დადგომის დრამატულ სიუჟეტში, ნამდვილ დრამაში, რომელიც საბოლოოდ ხორციელის დამარცხებით მთავრდება“ (კიკნაძე: 1985: 262-263). რჩეული „მარცხდებოდა“, იგი ხდებოდა ღვთაების მონაკონფლიქტი გვარდებოდა და დაავადებაც ქრებოდა. ქადაგად გამხდარი რჩეული უკვე ჯანმრთელი იყოდა დაავადება მხოლოდ იმ შემთხვევაში იხენდა თავს თუ ქადაგი მისთვის განკუთხნილ წესებს დაარღვევდა. ამ დაავადების გამომწვევი კი უკვე სხვა მიზეზი იყო, რომელსაც ამჯერად არ შევეხებით.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე ვ. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №10, 1952.

ბატონიშვილი ვახეშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., 1973.

ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1937.

კიკნაძე ზ., ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ. 1985.

მინდაძე ნ. ქადაგობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987.

ოჩიაური ალ., რელიგია ფშავში (ხელნაწერი), 1947.

ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ. 1954.

ოჩიაური ალ., რელიგია ფშავში (ხელნაწერი), 1939.

Charachidze G., Le System Religieuse de la Georgie Painne, Paris, 1968.

წიგნი სააქიმო, ტფ., 1936.

ხიზანაშვილი დ., ფშავეთი და ფშავლები, გაზ. ივერია, 1889, №183.

**Nino Mindadze**

**Inner Conflict of a Person and the Traditional Institution of the Selectness in the Mountainous Part of the Eastern Georgia**

It is known that a human being is a conflicting creature. He/she is carrying in himself/herself resistance, always standing in front of a choice, that often causes inner conflict. Inner conflict of a person is sometimes revealed as a mental disease. We think that such type of a

mental disease is connected with one traditional religious institution – with prophecy.

In the Mountainous Part of the Eastern Georgia the prophet is the intermediary between the divinity and human society and is considered a chosen one (selected) of a deity. Laboring for a deity was a very serious and responsible duty. Unlike the other tribesmen the prophet was more depended on an deity and was responsible before it. The local population considered him as a prisoner of the deity and as unlucky person. The selected person always had the fear towards his duty. For some definite period of time he even didn't obey the wish of deity.

There was a resistance between the deity and the person. In reality it was a resistance between a wish of a person and his sense of duty, thus the inner conflict was forming, that might become the cause of his mental disease with which the chosen one was suffering before becoming the prophet, i.e. before the obedience to the will of deity and was responsible before it. The local population considered him as a prisoner of the deity and as unlucky person. The selected person always had the fear towards his duty. For some definite period of time he even didn't obey the wish of deity. There was a resistance between the deity and the person. In reality it was a resistance between a wish of a person and his sense of duty, thus the inner conflict was forming, that might become the cause of his mental disease with which the chosen one was suffering before becoming the prophet, i.e. before the obedience to the will of deity. Laboring for a deity was a very serious and responsible duty. Unlike the other tribesmen the prophet was more depended on an icon and was responsible before it. The local population considered him as a prisoner of the deity and as unlucky person. The selected person always had the fear towards his duty. For some definite period of time he even didn't obey the wish of deity. There was a resistance between the deity and the person. In reality it was a resistance between a wish of a person and his sense of duty, thus the inner conflict was forming, that might become the cause of his mental disease with which the chosen one was suffering before becoming the prophet, i.e. before the obedience to the will of deity.

## მერაბ მიქელაძე

### ურანგული სოციალური ანთროპოლოგია ტოტემიზმის შესახებ

სიტყვა „ტოტემიზმი“ პირველად გვხვდება ჯ. ლონგის წიგნში, რომელიც 1791 წელს ლონდონში გამოქვეყნდა. ცურმერსანტი ჯეიმს ლონგი ჰყვებოდა ოჯიბვეს ტომის მონადირის მონათხრობს, რომელმაც შემთხვევით მოკლადათვი, რის გამოც მეორე დათვემა მას მკალელობაზე პასუხი მოსთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ მონადირის მობოდიშება დათვემა მიიღო, ემონადირე მაიც შეწუხებული დარჩენილა და ასე უთქვაშს: “ბედმა მიმუხოლა, ჩემი ტოტემი გამიბრაზდა, ამიერიდან ნადირობის უფლება აღარ მაქსო” (Barnard and Spencer: 2002: 550).

ლონგის მონათხრობიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტოტემიზმი ცნობილი იყო, როგორც მხოლოდ ამერიკული ინსტიტუტი. 1841 წელს კი, მსგავსი წეს-ჩვეულებების არსებობა ავსტრალიაშიც დადასტურდა. ამის შემდეგ, მეცნიერება ზოგადი ხასიათის მქონე, ჩამოყალიბებული სისტემის წინაშე დადგა. მაკლენანი იყო პირველი, ეინც ტოტემიზმი დაუკავშირა ზოგადად კაცობრიობის ისტორიას. მკვლევარმა იგი მიიჩნია სათავედ ფიტოლატრიული და ზოოლატრიული ყველა კულტისა, რაც კი ძველი ხალხების ყოფაში შეინიშნება. მისი აზრით: რო არსებობს ადამიანის მოდგმა, რომელსაც რწმენის ეს პრიმიტიული ეტაპი არ აქონდეს გავლილი” (Barnard and Spencer: 2002: 550). მიუხედავად მაკლენანის ამ განცხადებისა, მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე, ტოტემიზმი, როგორც უძველესი სოციალურ-რელიგიური სტრუქტურა, მეტ-ნაკლებად სისტემური სახით გვხვდება მხოლოდ ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკაში, შესაბამისად მისი, როგორც სისტემის განზოგადებისგან, მეცნიერები დღემდე თავს იკავებენ.

სიტყვა ტოტემიზმი წარმოიშვა ჩრდილო ამერიკის დიდი ტბების რეგიონში, აღგონების ენიდან. გამოთქმა მოტემან, რომელიც დაახლოებით ნიშნავს – “ჩემი ნათე-

study one of the Australian tribes according to the Structuralist method. He concluded that animal life is represented by social connections analogical to the life of human societies. With a view to this, Levi-Strauss concludes that totemism generates notions and connections which can be explored by theoretical reasoning and observation.

Taking into consideration Georgia's reality, Vera Bardavelidze notes the presence of totemism in Svaneti's "ashangelo/shashan-gelo" ritual, which implied the collective killing of the wolf and which was also accompanied by the ceremony of redemption of sins. According to M. Chikovani, mourning of the animals killed by hunters and thereby public regret for the committed sins can also be a form of totemism. Such phenomena (hunting of tigers and consequent mourning and regret) is known to be practiced in Kakheti and Svaneti. As Durkheim commented, periodic killing and eating of the totem represented a significant part of the totemic religion. By eating the totem, clan members underlined their resemblance to the god. Possibly this argument can explain the Ilori St. George fest: the sacrificed bull was cut into small pieces of beef and distributed among the villagers, then each family kept its share with special care and consumed the meat only in case of illness, believing that such meat was the best remedy.

Signs typical for totemism are embodied in the mytho-religious systems and beliefs in magic in various countries of the world.

## ლელა ნებიერიძე

### „შეშინებულის“ მკურნალობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები იმერეთში

იმერეთში ხშირად გვხვდებოდა შეშინებით გამოწვეული პათოლოგიები, შეშინებისგან ბავშვები ავად-მყოფობა შეიძლებოდა შეკროდა. დაწყებოდა კანკალი, მოსხლტებოდა, ფეხებში ძალა დაეკარგებოდა, ცივი ოფლის დაასხამდა, შეიძლება დაბრმავებულიყო, დაყრუებულიყო და დამუნჯებულიყო; თ. სახოკიას მიხედვით, შეშინებულის სინონიმებია: გულის გადაქანება, დაფრთხობა, შეწუხება. ისინი შეშინების სხვადასხვა სახეს გამოხატავდნენ, ხოლო გულამოვარდნილი – ძალზე შეშინებულს (სახოკია: 1973: 3). რამდენადაც მძლავრია შეშინება, მით უფრო სავალალო შედეგი შეიძლება გამოიწვიოს. იმერეთში ბავშვები რომ ძალა გამოეცლებოდა, უკრს დაკარგავდა და არ შესწევდა უნარი, აეხსნა რა შეემთხვა, დაასკვნიდნენ, რომ შეშინებული იყო. ზოგჯერ იმდენად ძლიერი იყო შეშინება, რომ ბავშვები ენა ებმებოდა, ზოგჯერ ვეღარცლაპარაკობდა, შიშისგან დამუნჯების მაგალითი კარგად არის გადმოცემული 6. ლომოურის მოთხოვნაში „ქაჯანა“. ამ მოთხოვნაში აღწერილია ის შეგრძნება, რასაც განიცდის შეშინებული ბავშვი; „ქაჯანა წამოხტა, უნდოდა დაეჭვირა, პირი გააღო, მაგრამ ყელიდამ სუსტი ხავილის მეტი აღარ ამოუყიდარა, მაინც გადმოტრიალდა უკან, გამოსდგარამდენიმე ნაბიჯი და უცებ მოწყვეტილი ყვავილიყით, უბრძნობლად დაეცა დედამიწაზე“ (ლომოური: 1882: 212). გაფითრება, უნებლიერ პირის დაღები გალურჯება, კანკალი, თვალების გაფართოება (დაჭყატვა), ფერის, გრძნობის დაკარგვა – ეს არის სიმპტომები, რაც ახასიათებს შეშინებულს. შეშინებულის მკურნალად ითვლებოდა შემლოცველი, მისი მკურნალობის დროს ძირითადად მაგიურ-რულიგიურ საშუალებებს მიმართავდნენ.

მოთხოვნაში გადმოცემით, თავდაპირველად უნდა გაეგოთ, რისგან იყო ავადმყოფი შეშინებული, რისთვისაც გააცხელებდნენ კალას ან ტყვიას და ცივ წყალში ჩაას-

ჩემი ოქროს ხანჯლით ჩაგადგამ  
იუდა, ქვაბში, შეგინოებ ცეცხლსა,  
ზევით ქარს მოგცემ, ქვევით – ნიავსა.“

შელოცვაში ჩანს, რომ შემაშინებელს ემუქრებოდა მთავარანგელოზი მიქაელ-გაბრიელი და ამარცხებს კიდური მათ. მთხოვბელთა გადმოცემით, შავები არიან ქაჯები, აურ სულები, რომლებიც დაემტებენ თავს ესხმიან და სხების შეყრით ცდილობენ დაიმორჩილონ. მიქაელ-გაბრიელ მთავარანგელოზი კი ხმლით ხელში უსწორდება მათ და მუქარით დევნის ავადმყოფობას (ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხალხური რწმენა-წარმოდგენებით მიქაელ-გაბრიელი ხშირად ერთ არსად, ერთ არსებად არის წარმოდგენილი) (აბაკელია: 1991: 26) საინტერესოა ისიც, რომ ავადმყოფობასთან ბრძოლის იარაღი ყველაზე ხშირად შავტარიანი დანაა. შემლოცველი მოუხმობს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს, როგორც შუბოსან და ხმლით შეიარაღებულ შხედრებს და წმინდა გიორგის (ხაჭაპურიძე: 2005: 60). შეშინებულის შელოცვის ზოგიერთ ეპიზოდში ისმის ერთგვარი კითხვები:

„დედამ შეგაშინა? მამამ შეგაშინა?

დადლმა შეგაშინა? ხარმა შეგაშინა?“

ან იქნებ კვირის რომელიმე დღეს არის შეშინებული, კითხვას თან ახლავს ბრძანებაც:

„ორშაბათს შეშინებული ხარ?

გამოდი, გამოეცალე!

სამშაბათს შეშინებული ხარ?

გამოდი, გამოეცალე.

„\_\_\_\_\_“

კვირას შეშინებული ხარ?

მართლა შეშინებული ხარ!

გამოდი, გამოეცალე“.

ხშირად შელოცვა მთავრდება ასეთი ფრაზით:

„რამაც შეგაშინა,

იმან მოგარჩინოს“.

ეს შელოცვა და „ქაჯანა“-ს დასასრული მკაფიო მაგალითია იმისა, რომ შეშინებული შეიძლება ისევ იმას ეხ-

სნა, მოერჩინა, „რამაც შეაშინა“, ანუ ისევ განმეორებითი შეშინებით დაბრუნებოდა პირვანდელი მდგომარეობა. მთხოვბელების გადმოცემით, ბავშვს თუ ძაღლი შეაშინდა, მას მიიყვანდნენ ძალათან, ძაღლს ბავშვის დასანახად გაუბრაზდებოდნენ. პატარას თავიდან შეეშინდებოდა და შემდეგ გადაუკლიდა შიშის გრძნობა. ზოგჯერ შეშინებულის შელოცვა შემდეგნაირად ხდებოდა: „შელოცვისას საჭირო იყო ცხრა „საზღვრის“ ღობის ჩხირი, ცხრა წყაროს წყალი, გასროლილი ტყვია (ლულაში გავლილი) და ცხრა გვარის ქალი, აქედან ერთი შემლოცველი იყო, დანარჩენები კი თანაშემლოცველნი. დააწევენდნენ ავადმყოფს, დაადებდნენ მაკრატელს და კვირისთავს, გულზე დაადებდნენ თევზს, რომელშიც ცხრა წყაროს წყალი ესხა, შიგ ადუღებულ ტყვიას ჩასხამდნენ. ტყვია მიემსგავსებოდა იმას, რისგანაც ან ვისგანაც იყო ეს პირი შეშინებული (შელოცვის შემდეგ ავადმყოფს ერთი დღე მაინც ეს ტყვიის ფიგურა უნდა შეენახა, რადგან ცხრა გვარის ქალის ნაწოცი იყო), თანაც შეულოცავდნენ:

„თეთრი ქორი ქანდარასა,

ქათამი საბუდარასა,

გულო, ხადექ ალაგასა,

ფერი-ფერთან, ძვალი-ძვალთან,

რბილი-რბილთან,

აგუგულდი, გულო,

ჩაგუგულდი, გულო.“

უნდა აღინიშნოს, რომ შეშინებულის სამკურნალო რიტუალები დღემდე შემორჩა იმერეთის მოსახლეობის ყოფას, რასაც, უპირველეს ყოვლისა, მათი დადებითი ფსიქო-თერაპიული ეფექტი განაპირობებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული გ. ლომთათიძის მიერ ჩაწერილი მასალა და ამ მასალის მიხეული ინტერპრეტაცია. გ. ლომთათიძემ შეშინებულის სამკურნალო რიტუალის განხილვის შემდეგ მეტად საინტერესო აღგუმენტციით დასაბუთა ამ რიტუალის დადებითი ფსიქოთერაპიული ზემოქმედება: „გულს საბედისწერო მდგომარეობაში აგდებს აგრეთვე შიში, უცარი შეშინება, შეშინების ნიადაგზე

გულს ემართება კ.წ. ფრიალი (არეული ცემა) და აჩქარებული ძგერა. ორივე შემთხვევაში გული ამოვარდნილია კალაპოტიდან. თუ ასეთ დროს გულს დროზე ვერ უშველეს, მისი მახლობელი შედეგი არის დაღუპვა. ასეთი აჯამყოფის დასახმარებლად, ანუ შეშინებული გულისძგრის გამოსასწორებლად, ხალხს შეუქმნია ქცევის ისეთი ფორმა, რომელიც თავისი ლირსებით არ შეიძლება მსოფლიო გაბატონებულ ჩარჩოებში მოთავსდეს, იმას აქაც განსაკუთრებული აღილი ესაჭიროება. ეს ზომა – გულის ნორმალურ მდგომარეობაში ჩამყენებელი ზომა – არის შელოცვა. შეშინებულს ასე ულოცვადნენ: ავადმყოფს გულს გაუსხიან, დაბალზე დააჯენენ. შემლოცველი (იგი დახულოვნებულია და ისიც ხანშიშესული), მკერდზე (გულთან) გაშლილ ხელს დადებს გარდიგარმო. ეს ხელის შეხება ხდება უსათუოდ რიტმულად (და იმის თანახმად, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ საღი გულისცემა), შელოცვის ტექსტი ასეთია:

„გულო, შინა, შინა, გულო რამ შეგაშინა,  
გულო, ძალდმა შეგაშინა, გულო, კაცმა შეგაშინა,  
გულო, ცეხნმა შეგაშინა, გულო, ხარმა შეგაშინა,  
გულო, წყალმა შეგაშინა, გულო, მებმა შეგაშინა.  
გულო, ღორმა შეგაშინა“

– და ჩამოთვლის შემაშინებელ ბეკრ რამეს.

„მოი, გულო, შინა, ჩაი შენსა ბუდესა,  
შეგიკერავ საგულესა (კოცნა გულზე),  
ამევიდა მზეი, დაჯდა გული! (კოცნა)  
ამევიდა მზეი, დაჯდა გული! (კოცნა).“

მთელი ეს ცერემონიალი გამეორდება სამჯერ.

შემლოცველი ხელით ეხება მკერდს და ფარავს გულს;

ხელის შეხება (აღება და ისევ დადება) ხდება რიტმულად;

ყოველი სტრიქონის დასაწყისი არის რიტმული;

ყოველი სტრიქონის ბოლო არის რიტმული;

ყველაფერი ეს ქმნის კალამბურობას;

კოცნა მკერდზე ხდება რიტმულად;

ჩამოთვლილია თითქმის ყველაფერი, რასაც კი შეი-

ლებოდა გამოეწვია შეშინება (ეს კი შთამაგონებელია);

შემლოცველს ეს სიტყვები გაზეპირებული აქვს და, მაშასადამე, კითხულობს გაბედვით. ამ გაბედვაში არის ექსტაზიც. ეს ექსტაზი ეპიდემიურად გადადის შეშინებულ სხეულზე;

კოცნას ამ დროს (ისიც მკერდზე) აქვს დედაშვილური, ან დაძმური სიტყბოვება;

ბოლოს შთამაგონებელი შეგონება – „ამევიდა მზეი და დაჯდა გული“;

შემლოცველი შეპყრობილია მხსნელი, ავტორიტეტული თავმოყვარეობითა და თავმომწონებით. ეს გარემოება თავიდან მასზე შთამაგონებლად მოქმედებს, ამ დროს შემლოცველის შთაგონება კი უშუალოდ გადადის სხეულზე და იგი ეზიარება მას.

აი, ის ძალა, რაც ამ შელოცვაშია, მთელი ეს ცერემონიალი, რასაც შელოცვა ჰქვია, გულზე მოქმედებს და მას უკარისხებს და უბრუნებს დარღვევულ რიტმს“ (სრულად იხ. მინდაძე: 2000).

შელოცვების დადებით ზემოქმედებას აძლიერებდა თვით შემლოცველის პიროვნული თვისებები, გარდა იმისა, რომ შემლოცველი ძირითადად ასაკოვანი ქალი იყო, მთხოვნელთა გადმოცემით, მშვიდი ხასიათი და კეთილი წევ ჰქონდა, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში, მას ფსიქოთერაპიული ზემოქმედების გარკვეული უნარიც გააჩნდა. „ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში შემლოცველთა შერჩევის ერთი ფართოდ გავრცელებული წესი. ამ წესის თანახმად, შემლოცველისათვის შელოცვის სწავლება არ შეიძლება, შელოცვა უნდა „მოპარულიყო“ ე.ი. დაინტერესებულ პირს ეს შელოცვა უნდა ესწავლა არა სპეციალურად, არამედ „ყურის მოკვრით“, შემთხვევითი მოსმენით. არ არის გამორიცხული, რომ ეს წესი გარკვეულ დონეზე, ხელს უწყობდა ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც აინტერესებდათ ეს საქმე და, როგორც ჩანს, ფსიქოთერაპიული ზემოქმედების უნარიც გააჩნდათ (მინდაძე: 2000).

დამოწმებული ლიტერატურა:

- თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1973.  
 6. ლომოური, ქაჯანა, 1982.

**Абакелия, Н., Миф и ритуал в западной Грузии.**  
 ხაჭაპურიძე, მაგიურ-რელიგიური მურნალობის ისტორია  
 დან (იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედ-  
 ვით, საქანდიდატო დისერტაცია, 2005).  
 6. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა  
 (საღოქტორო დისერტაცია), თბ., 2000.

Lela Nebieridze

## The Rites of Healing the “Scared” in Imereti

In the article there is considered the pathologies caused by the scare. In Imereti till today are conducting the rituals against scare and in the article there is drawn the decision that the reason is the psychotherapeutic effects of those rituals.

პირიმზე რურუა

ლირებულებები და აღზრდისტრადიციული სისტემა  
(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული  
მასალის მაგალითზე)

ხალხის წარსულის სრული და ნათელი სურათის აღ-  
საღგენად, აწმყოს გასააზრებლად და მომავლის გეზის გან-  
საზღვრისათვის, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უდიდე-  
სი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური დაჭურვითი კულტუ-  
რის შესწავლას. კულტურული მემკვიდრეობა ყოველთვის  
ორ მომენტს გულისხმობს: იმას, რასაც აწმყო წარსულიდან  
მზა ფორმით იდებს და იმას, რასაც მემკვიდრეობით მიღ-  
ბულიდან აწმყო ქმნის, ე.ი. სახეს უცვლის და ახალ განზო-  
მილებაში წარმოადგენს (კოდუა, 2001: 145).

საქართველოს კველა კუთხე გამოირჩევა თავისთავა-  
დობით, სპეციფიკური კულტურული ნიშან-თვისებებით,  
თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვით კველაზე განსხვავებული  
და თავისებური ნიუანსი, რომელიც ფიქსირდება ტრადიცი-  
ულ-ჭოფაში, კიდევ უფრო სრულ სურათს ქმნის ერთიანი  
ხოგადქართული ეთნო-კულტურული სივრცის აღსაქმე-  
ლად. ეთნოსის უნივერსალობა ვლინდება კულტურაში  
(ხოგადი გაგებით), ტრადიციებში. კველა ეთნოსი, კველა  
ერი არსებობს მანამ, სანამ ინარჩუნებს თვითმყოფადობას,  
კულტურულ იდენტურობას (Шилакадзе: 2007).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარისა და ლა-  
ზეთის) განხილვა ზოგადქართულ სივრცეში, აჭარული და  
ლაზური ეთნოგრაფიული ოუ ფოლკლორული მონაცემების  
კვლევა, მათი შედარებითი ანალიზი მეტად საინტერე-  
სოა და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებასაც  
იძლევა. ლაზეთი და აჭარა ერთ ისტორიულ არეალში  
მდებარეობდა, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარე-  
ბის საერთო ხაზი გააჩნდა და მტერიც საერთო ჰყავდა. ეს  
ორი კუთხი ისლამის გავლენას განიცდიდა დიდი ხნის  
მანძილზე. ჩვენ შესადარებლად ავირჩიეთ აჭარის მაღალ-  
მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი და საინტერესო მარი-

## ნინო ჩირგაძე

### ჯანმრთელობის დაცვის ხალხური ტრადიციები კახეთში

ჯანმრთელობის დაცვის ტრადიციული სისტემა ხალხურნალო პრაქტიკასა და პროფილაქტიკურ დონისძიებების აუროიანებს. ამასთან, ტრადიციული ცხოვრების წესი უკუკლთვის მიმართული იყო ადამიანის ჯანმრთელობისკენ, რაც თავს იჩენდა, როგორც საცხოვრებელი ადგილის შეზღვაში, ისე კვების, ქორწინების სისტემაში, რელიგიურ წეს-ჩვეულებებში და სხვ.

კახელები ცდილობდნენ საცხოვრებელი სახლები მაღლობ ადილებში აეშენებინათ, სადაც კარგი პარტი, ბეჭრი წყალი, ჭაობიანი ადგილები კი ნაკლები იყო.

დადასტურდა სანიტარიისა და ჰიგიენის საინტერესო ხალხური ტრადიციები. უფრთხილდებოდნენ სასმელი წყალის წყლის დაბინძურებას. წყაროს წყალზე სარეცხს არ გარეცხავდნენ, არც საქონელს დაალევინებდნენ წყალს.

კახეთის მოსახლეობა ძველად ძირითადად ბუნებრივი მასალისგან (სელის, მატყლის...) დამზადებული ტანისაცმლით იმოსებოდა, რაც ასევე ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა.

ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიციული კვების წესს, რაც გულისხმობის ნატურალური პროცესებისგან დამზადებულ საკვებს. იკვებებოდნენ დღეში სამჯერ, იცავდნენ მარხვას, ხორცს ნაკლებად ჭამდნენ და უფრო მეტად მცვნარეულ და რძის პროცესებს ეტანებოდნენ.

მცენარეულისგან ამზადებდნენ დოლოს [Rumex alpinus], ჭინჭარის [Urtica urens], დანდურის [Portulaca oleracea], ბალბის [Malva silvestris], ღოღნოშოს [Prunus insititia], გოგრის [Cucurbita], ხორბლის, ასევე რძის, მაწვნის შეჭამანდებს.

შეჭამანდები სამკურნალოდაც გამოიყენებოდა და მაღდის მომგვრელიც იყო. გადმოცემით, ღოღნოშოს შეჭა-

მანდს სადეზინფექციო და შემკვრელი თვისებები გააჩნია და საუკეთესოდ ითვლება სისხით - დიზენტირით დაავალებულისთვის. მაწვნის შეჭამანდი კარგი იყო კუჭ-ნაწლავისთვის, ხორბლისა კი ბავშვებისთვის სასარგებლოდ და მაღდის მომგვრელად ითვლებოდა. რძესთან ერთად საკვებად იყენებდნენ რძის პროცესებს: მაწონს, კარაქს, მოუხდელ ყველს და სხვ. (მინდაძე, ჩირგაძე: 2005: 8-9).

უნდა აღინიშნოს ჯანმრთელობისთვის დვინის მნიშვნელობის შესახებაც. ცნობილია, რომ საკვლევ რეგიონში უკრძნის ბევრი ჯიში იყო გავრცელებული. მცირე რაოდენობით ღვინო, კახელი კაცის რაციონში ყოველთვის შედიოდა. როგორც ერთი უცხოელი მოგზაური აღინიშნავს 『კახური ღვინო ითვლება არაჩემულებრივ ჯანმრთელად და მომაღონიურებლადაც, არასდროს არ იწვევს სიცხეს (ციუბას)... ნიკრისის ქარსაც კურნავს (ვაგნერი: 2002: 53). გადმოცემით, უწინ უკრძანებს არ წამდაგდნენ, არც გოგირდი იყო. ეხლანდელი ღვინო კაცხა თუ არ აკუწავს, არ არგებს, წინანდელი ღვინო კი ზეთივით იყო.

ზემოაღწერილი რაციონალური კვება, მარხვის დაცვა და კახური ღვინო კახელთა ჯანსაღი ცხოვრების წესს განაპირობებდა.

კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხებში მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშვის გაჩენამდე ბევრად ადრე, მომავალი მშობლების შეუდლებამდე იწყებოდა. ახალგაზრდების დაქორწინების წინ ხდებოდა მათი საგვარეულოს შემოწმება-გამოკითხვა. რომელიმე მხარის გვარში გენეტიკური დაავადების დადგენას, ხშირ შემთხვევაში, ქორწინების ჩაშლა მოსდევდა. კარგი ჯიშ-ჯილაგიანი ქალის მოყვანით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვაჟის ოჯახი. ქალის გაეითხვის დროს პირველ რიგში კითხულობდნენ მისი დედის ჯიშსა და ჯილაგიანობას, კი ქალის ხაზით წინაპრების ჯანმრთელობის შესახებ აგროვებდნენ ცნობებს. მართალია, მამის მხარესაც გაიკითხავდნენ, მაგრამ არა ისე დაწვრილებით, როგორც დედის მხარეს. აღნიშნულის გამომხატველი უნდა იყოს კახეთში არსებული ხალხური გამოთქმაც ღერძი იხილვა ქალი იყიდვ (იველაშვილი: 1999: 38-39).

მნიშვნელოვანი მასალა გამოვლინდა კახეთში ქართველობის დაცვის ხაზითაც. განსაკუთრებული აღინიშნოს ახალგათხოვილ ქალზე ზრუნვის, უფრისის სა და მშობიარობის შემდეგ დაცული წესების უცხოურობა.

უკავშირი ქალს კარძალებოდა მძიმე შრომა, მარილიანი, ცხიმიანი საჭმელი. ურჩევდნენ ეჭამა მუქალა ული საკედი, რძის ნაწარმი. უშლიდნენ კურდღლის ცის ჭამას – ბაგში ტუჩებში მოკლე გამოვარ, ხორცს – ბაგში კამეჩივით ათი თვე რომ არ უტარდე და მაწონი კი ბევრი უნდა ეჭამა ბაგში თუთო უნდა და სხვ.

აღნიშნული, მთხოობელთა გადმოცემით იოლ არობასა და ჯანსაღი ბაგშის დაბადებას უწყობდა ჩემი (ჩირგაძე: 1998: 11).

ორსული ქალის მოვლის, ჩვენ მიერ დამოუმებული ზოგიერთი ხალხური წესი მსგავსია დველ სამედიცინური წიგნებში აღწერილი წესებისა. იადიგარ დაუდის მიხედვით, უკავშირი ქალს ბევრი ჭამისგან თავი უნდა შეასრულოს: და ორსულმან დედაქაცხან ბევრი საჭმელი არ უხსრულდება და ცოტას საჭმელსა უნდა სჭამდებ (იადიგარ დაუდი: 1985: 120). გარდა ამისა, ორსული უნდა ყოფილიყო მოსვენებული, მძიმე საგნები არ უნდა აეწია, არ უნდა მიუღო გასახსნელი და ამოსადებინებელი საშუალებანი უნდა ამის ნიშნებსა უკან ასრე უნდა, ეს დედაქაცხ მოხედით იყოს. არას ასწოოს, არა მიიჭირვოს რა და არც გასახსნელი და არც სარწყეველი წამალი სუას... (იადიგარ დაუდი: 1985: 119).

კახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მშობიარობის შემდეგ მელოგინე უწმინდურად ითვლებოდა. ამიტომ იგი ორმოცი დღე მეტნაკლებად იზოლირებული იყო. ტრადიციული წესის მიხედვით, ქალი 40 დღე ლოგინში იწვა – მელოგინე იყო. მაგრამ სოფლის მოსახლეობაში ზოგჯერ ეს წესი ირდვეოდა, ქალს ოჯახის მოვლის გამო ადგომა უწევდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას უფრთხილდებოდნენ და ბევრი რამ კარძალებოდა. ცდილობნენ ამ პერიოდში ქალი არ გაციებულიყო, მძიმე ფიზიკურ შრომას არიდებდნენ, არც საჭმელს გააკეთებინებდნენ, იკრძა-

ლებოდა ცოლ-ქმრული ურთიერთობაც და სხვ. ეს აკრძალვები მაგიურ-რელიგიური ფორმითაც იყო წარმოდგენილი, მაგრამ, იმავდროულად, ქალს მძიმე ფიზიკურ შრომას აცილებდა, გაციებისა და ინფიცირებისაგან იცავდა.

ძველ სამედიცინო ხელნაწერში ვხვდებით შემდეგი ხესის ცნობას: ...**შესაყარი ხნეულება** ისე ჩქარა არავის შეულება, როგორც მშობიარება და ისე საშიში არავისთვის მრის, როგორც იმათთვის (კარაბადინი: 34).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კახეთში ქალი მშობიარობდა ადგილობრივი მეანის – ბებია ქალის დახმარებით, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობდა თავის სპეციალობას. ეს კი პირველ რიგში ხელს უწყობდა მშობიარობის დროს მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებას.

დაბადებისთანავე ბებია ბაგშეს თავს ხილაბანდით შეუკრავდა – დიდი თავი რომ არ ჰქონდა. ჭიპსაც ის გადაუქრიდა. სწრაფად მოშუშების მიზნით, ნაიარევ ჭიპზე დაღვჭილ ნიგოზსა და პურის ცოშს დაბადებდა, შემდეგ ხელს კარგად დაიბანდა და ახალ მშობილს ყელში თითს მაგრად ამოუსვამდა – ყელს ამოუსელდა, მომავალში ნუშისებრი ჯირკვლების ყუყუბის, ჩირქოვანი გართულების თავიდან ასაცილებლად.

ხალდაბადებულ ბაგშეს თავდაპირველად რამდენიმე კვირა ხოჭიჭად შეკრავდნენ, მაგრადაც გადაკრავდნენ და დედის ფეხებთან მოათავსებდნენ. ხოჭიჭან-ხაბა ორბელიანის განარტებით, ხოჭიჭი არის მცირე აკვანი (ორბელიანი: 1993). ხოჭიჭი წარმოადგენდა მოსახერხებელ ბაგშის საწოლს, რომლის ადგილად გადაადგილება და დედის საწოლში მოთავსებაც შეიძლებოდა. ხოჭიჭი ბაგში წელგამართული იწვა და საიმედო იყო დამაგრებული.

ხოჭიჭიდან ბაგშეს აკვანში გადაიყვანდნენ. აკვანის ლუიბი სპეციალური მშრალი ურო ბალახით იყო გატენილი. ზოგჯერ მატყლის ლეიბსაც ხმარობდნენ. ბალახის ლეიბი უფრო ჯინსაღად ითვლებოდა. ბაგში არ ჩახურდებოდა, სისველებაც იწვევდა და ჩვილი ნაკლებად წუხდებოდა.

საინტერესოა ჩვილის მოვლის ტრადიციები. გადმოცემით, ბაგშეს დედა დაბადებისთანავე მისცემდა ძუძუს.

ცნობილია, რომ მშობიარობის შემდეგ ქალს ძუძუში ხსენი ჩაუდგებოდა. მიაჩნდათ, რომ ბავშვს დაბადებისთანავე უნდა მოეწოვა დედის ძუძუში ჩამდგარი ხსენი, რაც ადგილობრივთა გადმოცემით, ახალშობილის კუჭ-ნაწლავის სისაღეს განაპირობებდა.

დედას თუ რძე არ ექნებოდა, ბავშვს თხის ან ძრონის რძეს მისცემდნენ. ამასთან, თხის რძე უფრო სასარგებლოდ ითვლებოდა. **თხის რძე ქალის რძის ბადალიათ იტყოდნენ.**

დედის რძე ბავშვს ერთი წელი მაინც უნდა მოეწოვა. ზოგჯერ 2-3 წლამდე აწოვებდნენ. დამატებითი საკვები კი ჩვილს 3-4 თვიდან ეძლეოდა – ხორბლის ფქვილის თხელი ფაფა, მაწონი, ლობიოს ნახარში... 4-5 თვიდან კი საკვების თითქმის ყველა სახეობას გაასინჯებდნენ. ზოგჯერ სუსტ, ფერმკრთალ ბავშვს ცოტა წითელ ღვინოში ჩალბობილ პურსაც აძლევდნენ – **ძალას მისცემსო.**

ადგილობრივთა გადმოცემით, ბავშვის დაბადების შემდეგ ორმოცი დღის მანძილზე, ე.ი. ქალის ლოგინობის პერიოდში, სანამ ქალი და ბავშვი გაინათლებოდა, ძალიან ერიდებოდნენ ახლაშობილის საღამო ხანს, მზის ჩასვლის შემდეგ გარეთ გაყვანას, თითქოს მას უფრო მეტად ერჩოდნენ ავი სულები და შეიძლებოდა ავად გამხდარიყო, დასუსტდებოდა, დაკარგავდა მაღას, ჭირვეულობდა, სიცხე აეწეოდა და სხვ.

აი, რას წერს ამ წესების შესახებ გერმანელი ექიმი რაინეგსი: **მათი აზრით, სულებს ყველაზე უფრო მშობიარობის შემდეგ მელოგინებთან და ახალშობილთან უყვართ ყოფნა და დიდი ზიანის მოგანა... (რაინეგსი: 2001: 172).**

კახეთში ავი სულებისგან დასაცავად სხვადასხვა მაგიურ საშუალებებს მიმართავდნენ. ძირითადად **დახრმოლებას** – კულმუხოს [Inula helenium] ფეხვებს და ასკილის გონჯას (ასკილის დეფორმირებულ ნაყოფს) კრამიტზე დაყრიდნენ, დაწვავდნენ და ბავშვს გარშემო უხრილებდნენ, რაც ხალხის რწმენით ბავშვს ავი სულებისგან იცავდა (ჩირგაძე: 1998: 23).

ადგილობრივ მოსახლეობაში დადასტურებული ბეჭრი წესი თუ ქმედება, რომელსაც მაგიურ-რელიგიური გა-

აზრება პქონდა საფუძვლად, ფსიქოთერაპიული ეფექტით გამოირჩეოდა და ადამიანის სულიერ სისაღეს ემსახურებოდა. როგორც ვხედავთ, კახეთში ტრადიციული ცხოვრების წესი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მისი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების სიჯანსაღისკენ იყო მიმართული. ეს წესები შეეხებოდა სამოსახლოს შერჩევას, კვებას, ქორწინებას, მშობიარობასა თუ ჩვილის მოვლას, მარხვას და სხვა; ტრადიციული წესები ზოგჯერ საკრალური ფორმით იყო წარმოდგენილი და ასევე ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა, განაპირობებდა ადამიანის სულიერ და ფოზიკურ სიჯანსაღეს და პარმონიას.

ჯანსაღი თაობის აღზრდის სურვილით და ქალის ჯანმრთელობაზე ზრუნვით იყო განაპირობებული ბეჭრი ის წესი თუ აკრძალვა, რომელსაც იცავდნენ კახელები. მაგ.. შეუღლების წინ ახალგაზრდების საგვარეულოს ჯანმრთელობის შემოწმება, გენეტიკურ დაავადებათაგან თავის დაზღვევის მიზნით, ფეხმძიმობის დროს ქალისა და შემდგომ ჩვილი ბავშვის მოვლის ტრადიციები – ფეხმძიმობის დროს და მშობიარობის შემდეგ 40 დღის მანძილზე მძიმე ფიზიკური შრომის შესდუდვა, უხერხული მოძრაობის არიდება, კვების მსუბუქი რაციონი... რაც ამ პერიოდში ქალის დაზოგვის, ასევე გაციებისა და ინფიცირების აცილებისკენ იყო მიმართული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დედის რძით ჩვილის კვებისმნიშვნელობა, რაც ჯანმრთელი ბავშვის გაზრდის პირობად ითვლებოდა როგორც ხალხურ, ისე ძველ ქართულ ოფიციალურ მედიცინაში. პედიატრიის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ასევე ჩვენ მიერ დამოწმებული დამატებითი კვების მიცემა ჩვილისთვის.

ადგილობრივი მოსახლეობა ზოგიერთ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით ატარებდა აგრეთვე სხვადასხვა მაგიურ ქმედებას, რაც ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით საგსებით მოზანშეწონილია.

დაბოლოს, კახეთში დადასტურებული ჯანმრთელობის დაცვის რიგი ხალხური ტრადიციები ეფექტური და გამართლებული იყო თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც.

## დამოწმებული ლიტერატურა:

- მინდაქე, ჩირგაძე 2005: მინდაქე ნ., ჩირგაძე ნ., ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები, კახეთი, ობ., 2005.
- ვაგნერი 2002: ვაგნერი მ., საქართველოს შესახებ, გერმანულიდან ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, ობ., 2002.
- იველაშვილი 1999: იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, ობ., 1999.
- ჩირგაძე 1998: ჩირგაძე ნ., კახეთის ეთნოგრაფიული დღიური, II, 1998.
- იადიგარ დაუდი, ობ., 1985.
- კარაბადინი: იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ხელნაწერი, გ.136, ფ. 96r.
- რაინგესი 2001: რაინგესი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან ტექსტი თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, ობ., 2001.

**Nino Chirgadze**

## Folk Tradition of Healthcare in Kakheti

Traditional life style in Kakheti served to protection of human health, health of physical and mental life. In some cases these regulations implied taking into consideration of the traditional rules, starting from selection of the place for house, diet, marriage, etc.; in the other ones – the fast system, which, as well, served to protection of health and was presented in the sacral form. All these conditioned the harmony of physical and mental health of the human.

Many rules or prohibitions, to which the Kakhetians followed, were based on the desire of upbringing of the healthy generation and

health of women. E.g. examination of health of the families of young people before their marriage, for the purpose of avoiding of the genetic diseases; traditions of care of the pregnant women and

newborns – restriction of heavy physical labor at a time of pregnancy and 40 days after childbirth, avoiding of the abrupt movements, light diet ...It should be noted that breast-feeding was regarded as the guarantee for upbringing of the healthy child both, in the folk medicine and Georgian formal medicine.

Finally, whole set of folk healthcare traditions proven in Kakheti, similar to the remedies for numberof the diseases, are effective and justified, from the viewpoint of modern medicine.

### The Next World in the Religious Conceptions of the Mountaineers of West and East Georgia (Comparative Analysis)

The ancient perception of the universe embraces two points for many of the peoples of the world: one is the constitution, and the second – the comprehension of its existence, i. e. the form and the content. The former consists in its horizontal and vertical planning, while the latter in the division as the wide world and the next world. The mountainous part of Georgia is an interesting region from this perspective. In the region there are unique and at times radically different views on the location of the next world, deities and their helpers, relations between the dead and the alive.

The analysis of the materials related to the issue, preserved in the ethnographic materials of Georgian and German scholars leads us to the following conclusions:

- The mountainous of Georgia deeply believed in the existence of a connection between the wide world and the next world
- Relations between the wide world and the next world are determined by a complicated hierarchical system
- There is a difference between the images of the next world preserved in the mountainous parts of West Georgia and those preserved in East Georgia.
- We can assume that the religious sincrecity characteristic of the mountainous regions of Georgia, which revealed in the materials, should correspond to the gradual transformation of the religious thought associated with the next world, the earlier stage of which is depicted in a Khevsurian understanding of the next world, and hence should represent one of the ancient Georgian archetypes.

### ქეთევან ხუციშვილი

სივრცისა და მატერიალური ობიექტების  
საკრალურობის კონსტრუქცია  
(შეიხ ისა-ეფენდის საფლავის მაგალითზე)

სივრცე კულტურის განზომილებას წარმოადგენს და მისი ორგანიზების ფორმებში კულტურის მახასიათებლები იკითხება. მატერიალური არტეფაქტები კი ნებისმიერი კულტურის შემადგენელი არსებითი ნაწილებია. ოუ ერთი მხრივ, კლასიკური ეთნოლოგიური ნაშრომებიდან მოყოლებული თითქმის ყოველ პალეოში გახვდება სივრცის ემიკური აღქმების ანალიზი სხვადასხვა ფორმით, მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, მატერიალური კულტურის კვლევა ეთნოლოგიური მეცნიერების საფუძვლადაც კი განიხილება.

კულტურის საყრდენ ელემენტებს ტერმინები, მნიშვნელობები, ღირებულებები და ნორმები წარმოადგნს. მატერიალური არტეფაქტები და ობიექტები ტერმინებით იდენტიფირდება, მათში გარკვეული მნიშვნელობებია ჩადებული, ისინი ღირებულებებს მოიცავენ ან წარმოადგნენ და ნორმების ჩამოყალიბება-დაცვაში მონაწილეობენ. მათი მნიშვნელობა იმის გამოც იზრდება, რომ ისინი ღირებულებებისა და მნიშვნელობების ხელშესახები მატარებლები არიან, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები გამოხატავენ, ადგენენ და განვრმობითობას უნარჩუნებენ თავიან იდენტობას. არტეფაქტების გაცვლითი ღირებულების კვლევამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები და ოქორიულ-მეთოდოლოგიური მიღღომები შესძინა ანთროპოლოგიას ბრონისლავ მალინოვსკის კულას, მარსელ მოსის სახუქრისა და სხვ. სახით. მატერიალური არტეფაქტები ადამიანთა და საზოგადოებათა ურთიერთობაში შუამავლის ფუნქციას ასრულებენ. ისინი დამატებით მნიშვნელობას იძენენ სოციალური კუთვნილებისა და ეკონომიკური ღირებულებების თვალსაზრისით. მათთან მიმართებაში და მათი გამოყენებით იგება ან ირდევება სხვადასხვა ტიპის სოციალური კავშირები. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი ინტერაქციის წყარო, საბაზი და აგენტები ხდებიან. მატერიალური კულტურა სოციალურობის კუ-

ძო სახეების დემარქატორადაც გვევლინება. მატერიალური ობიექტებს აქვთ მნემონური ფუნქციაც. მათ აქვთ უნარი შეითავსონ, გამოხატონ და მობილიზება გაუკეთონ ემოციური მოთხოვნილებებს. რიგ შემთხვევებში, ისინი დაპირისპირების მიხეზად იქცევიან ხოლმე. რადგან მატერიალური არტეფიქტების შეფისება, მათვის ახალი კონტექსტისა და აღმოლის მინიჭება, აღვილად ხდება, დგება ლოკალიზაციისა და საკუთრების პრობლემა. ამ მხრივ, ზოგიერთი ობიექტი საქმოდ არასტაბილური ან წინააღმდეგობრივი ბუნებისაა.

მატერიალური ობიექტები და არტეფიქტები მონაშოლეობს პოლიტიკურ-რელიგიური გრძნობების სტრუქტურებაშიც. ისინი ინდივიდუალური ან კოლექტიური მახსოფრობის რეზერვუარებად იქცევიან და დიდ მნიშვნელობის იძნენ ცალკეული პიროვნებისა თუ ჯგუფის თვითგამორჩევის პროცესში. ობიექტის განადგურებით, მახსოვრობის განადგურებაც და შესაბამისად, იდენტობის ცვლილება( შეიძლება. მატერიალური არტეფიქტი მნიშვნელობისგან დაცლილია, თუ მისი წარსულის შესახებ ცოდნა არ არსებობს. შესაბამისად, თვალსაჩინო ხდება მატერიალურისა და არამატერიალურის მჭიდრო მიმართებები.

ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევის საგანის თავისთავად მატერიალური ნივთები არ წარმოადგენს, არამედ ისინი საინტერესოა მათი ადამიანებთან მიმართების გამო. ეთნოლოგისთვის საგანი არ არსებობს (მხოლოდ ფიზიკურად) მისი ადამიანებისათვის მნიშვნელობის გარეშე. საგნის შესწავლისას მხედველობაშია მისადგენ ყველა ის ადამიანიც, რომელთაც აქვთ უნარი, უფლება ან მოვალეობა აწარმოონ, განაგონ ან გამოიყენონ ეს ობიექტი. ასე რომ, ეთნოლოგისთვის/ანთროპოლოგისთვის მნიშვნელოვანია ნივთი, თავისი სოციალური არსებობით. საქსებით მართებულად მიუთითებდა ს. ტოკარევი, რომ მატერიალური კულტურის კვლევა მიმართული უნდა იყოს არა იმდენად ნივთის ადამიანთან, ან ადამიანის ნივთთან დამოკიდებულების შესწავლისკენ, არამედ იმ ურთიერთობის შესწავლისკენ, რომელიც ადამიანთა შორის არსებობს ამათუიმ ნივთის გამო (Токарев. 1970 №4 стр.3-7).

განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია, მატერიალუ-

რი ობიექტებისა და სიერცის როლის კვლევა იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც გარკვეულ პირობებთან ადაპტაციის პროცესში მუდმივად უხდებათ საქუთარი იდენტობის დადასტურება და ან განმტკიცება. ადამიანთა ყოველდღიურობა გარკვეული მატერიალური გარემოთია რეგულირებული და განსაკუთრებული დატვირთვა საკრალურ ობიექტებსა და სივრცეზე მოდის, რადგან მათთანაა დაკაგშირებული სპეციფიკური ინდივიდუალური და კოლექტიური ემოციები და ქმედებები.

საინტერესო საკრალური, წმინდა სივრცის პრობლემა. საკითხის ანალიზი რამდენიმე კუთხითაა შესაძლებებული, მათგან საკვანძო ხდება გარკვევა იმისა, თუ რა არის საკრალურობის განმსაზღვრელი საკრალური ობიექტები თუ რიტუალური ქედებები. ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. ედმუნდ ლიჩის მიხედვით, ადამიანები „მენტიფაქტების“ (იდეების) მატერიალურ სიმბოლიზაციას ახდენენ რელიგიური რიტუალის სახით და ამ გზით ანიჭებენ მნიშვნელობებს გარემოს (Лич: 2001: 54). მირჩა ელიადეს შემოაქვს „იეროფანიის“ კატეგორია ობიექტის საკრალიზაციის პროცესის გასაგებად და საკრალურ პროფანულის ოპოზიციას აქცევს კვლევის ამოსავად წერტილად (იხ. ელიადე: 1987). პ. კერლოტი საკრალურს ქაოსისა და კოსმოსის მაკავშირებელ რგოლად განიხილავს (Керлот: 1994: 414). ფრ. პაილერი კი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ადამიანებისთვის აუცილებელია ღმერთის იდეის კონკრეტულ ხილულ ობიექტთან დაკაგშირება, რასაც კულტურა ახორციელებს (Heiler: 1991: 23).

ამ ოეროიული მიღვიმების გათვალისწინებით, განვიხილავთ კონკრეტულ ეთნოგრაფიულ ფაქტს. კერძოდ, პანკისელი ქისტების ერთი ჯგუფის ნაყშბანდიის ტარიკატის წევრთათვის, მათი სულიერი წინამდოლის შეის ისა-ეფენდის საფლავის საკრალურობის საკითხს.

როგორც ცნობილია, პანკისელ ქისტებში ისლამმა ფეხი XX საუკუნის დასაწყისიდან მოიკიდა. ისა-ეფენდი (ის აფანტი), ერთ-ერთი იმათგანი იყო ვინც პანკისის ხეობაში ისლამის გავრცელების მიზნით მოვიდა. იგი ხეობაში

1909 წელს გამოჩდა და სუფიური ისლამის ერთ-ერთ ფორმას, კერძოდ ნაყშბანდიის ტარიკატს მისცა დასაბამი პანკისელ ქისტებში.

“პანკისის ხეობაში ნაყშბანდის სამოს წევრები ძირითადად სოფ. ღუისში ცხოვრობენ. ყოველ პარასკევს ქალები დღის პირველ ნახევარში და მამაკაცები საღამოს საათებში იკრიბებიან იმ სახლში, სადაც 1920 წლამდე (გარდაცვალებამდე) ცხოვრობდა სამოს გამავრცელებელი ისა ეფენდი. მიმდინარეობის წევრები მუდმივად ატარებენ რელიგიურ როტუალებს. ნაყშბანდის სამოს ძირითადი მრევლი სოფლის ხანდაზმული ადამიანები არიან. რიტუალის – ძირათის შესარულებლად შეკრებილებს ხელმძღვანელობს თპამდ და მისი მოადგილე ოურაგ... მლოცველები ოთახის კედლების გასწვრივ სხდებიან ფერხმორთხმით ისე, რომ სახით ერთმანეთს უჟურებენ. რიტუალის დაწყებისას თპამდ შეასრულებს ნაზმი, რომელსაც სხვა წევრებიც აჲყებიან. ნაზმი დაბალი ხმით სრულდება, ამიტომ მათ “მოჩურჩულებსაც” უწოდებენ. იატაქზე მსხდომი მლოცველები გალობის რიტმზე თანდათან ხან მარჯვნივ იხრებიან და ხან მარცხნივ ჩევის ტემპი იზრდება, ბოლოს ისეთი ენერგიით ირხევიან, რომ ერთი საათის შემდეგ ზოგი ექსტაზში ვარდება და ხანდახან გონებასაც კარგავენ. ლოცვის ბოლოს ძიქარის ტონალობა პვლავ დაბლდება და ძირათის შესრულება ნელ ტემპში გადადის” (ხუციშვილი, 2002: 161). ეს რიტუალი სრულდება იმ ოთახში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ისა-ეფენდი, და რომელიც მის სიცოცხლეშიც და შემდგომაც სალოცავ ოთახად გამოიყენებოდა.

საბჭოთა პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაენგრიათ ეს ოთხი და მოესპორ შეიხ-გირდის ჯგუფის წევრთა შეკრების ადგილი, მაგრამ სახლის პატრონი არაფრით არ დათანხმდა და შეინარჩუნა ნაყშბანდის მიმდევართათვის წმინდა ადგილი. დღეს ახმედ ბალაკაშვილი იხსენებს: “ციხეშიც ვიჯეჭი, კოდუვაც ჩავჯდებოდი, რაღაც პერიოდი ამ ოთახში ავეჯიც შეკიტანეთ, ვითომ ჩვეულებრივ ოთახად ვიყენებდით. მერე თავი დამანებეს, გიჟიაო. ისე თვითონაც ეშინოდათ დმურთისაც და ხალხისაც და ამიტომ არ დააგრიეს ძალით.

ესე შევინახეთ ეს ოთახი” (საველე დღიური 2010). ამ ადგილის მნიშვნელობა, ისა-ეფენდის გარდაცვალების შემდეგ, ნაყშბანდის საძმოს წევრებისთვის მხოლოდ სალოცავი აღგიღის ფუნქციით არ განისაზღვრება. ეს არის საკრალური ტერიტორია, რომელსაც საკრალურობას და განსაკუთრებულ დატვირთვას თავად ისა ეფენდის პიროვნება მატებს, ისევე, როგორც მის სიმბოლურ საფლავს. ამ შემთხვევაში ისა-ეფენდი როგორც ჯგუფის ფუძემდებელი, ჯგუფის იდენტობის განმსაზღვრელი ძირითადი ორიენტირია. ისა-ეფენდის ფიგურა განაპირობებს ჯგუფის არსებობას დ მის სახელთან დაკავშირებული ქოველი რეალია განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელი ხდება.

ისა-ეფენდის შესახებ ცნობებს გვაწვდის სოფ. ჯოვოლოს წმ. გიორგის ეკლესის მდგვარი, მწერალი და ფოლკლორისტი მოსე ალბუთაშვილი: “ისა-ეფენდი წარმოსადები, ახოვანი კაცი იყო 40-50 წლისა, კოხტად ჩაცმული, ლამაზი, ორი ცოლი ჰყავდა. მას სასწაულებს აწერდნენ. ეტლში რომ მჯდარიყო, თუ არ ეწადა, ოთხი ცხენიც ვერ დაძრავდა და სხვა” (ალბუთაშვილი: 2005: 162). გ. ალბუთაშვილის მიხედვით ისა-ეფენდი ყოფილა ლეკი, ზაქათალის ოლქიდან, რომელმაც გაავრცელა პანკისის ხეობაში ნაყშბანდიის მოძღვრება (ალბუთაშვილი: 2005: 161). ჩ. ხანგოშვილი აღნიშნავს: “აზერბაიჯანიდან დუისში შემოაღწია ნაყშბანდიურმა მიმდინარეობამ, რომლის ფუძემდებელიც იყო ისა-ეფენდი, რომელიც 1909 წლიდან სიკვდილად გადაიდგა (1920წ.) მოღვაწობდა დუისში და შექმნა მიურიდების სექტა” (ხანგოშვილი: 2005: 398). თავად შეიხ-ვირდის (ასე მოიხსენიებენ ჯგუფს მისი წევრები) მიმდევრების ნაწილი შეიხ ისა-ეფენდის სამშობლოდ ლაგოდეხის რაიონის სოფ. კაბალს მიიჩნევებს: “ისა-ეფენდი ლეკი იყო სოფელ კაბალიდან, რომელიც ლაგოდეხის რაიონშია და დღესაც ცხოვრობენ იქ მისი ნაოხესავები. მერე ქადაგება რომ დაუწყია მოსულა დუისში, გაჩერებულა ბალაკაშვილების სახლში და უსწავლებია განსხვავებული ძირათი” (სავლე დღიური 2010), ნაწილი კი სოფელ ბოთლიხს: “ისა-ეფენდის სოფელი ბოთლიხია, რომელიც დაღესტანშია; იქიდან მოვიდა კაბალში და მერე გადმოვიდა დუისში”. ყველა-

ზე მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ წარმოშობით ისა-ეფენდის წინაპრები თაშის თემის სოფ. ხიდიბიდან უნდა კოფილიყვნენ, იმის გარდა რომ ასეთი ნარტივი არსებობს, ამას ადასტურებს ისა ეფენდის მამის იბრაჟიმ ად-და-ღესტანი, ათ-თაშიდ მოსენიებაც (Хапизов, 2012). ამ ნარატივების მრავალფეროვნება გარკვეულ მიხტიერ ბუნდოვანებას სხენს შეის ისა-ეფენდის სახეს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი ღვთიურობის დასადასტურებლად.

ისა-ეფენდის შესახებ მრავალი ნარატივი ფიქსირდება პანკისის ხეობაში, რომელთა მიხედვით ისა-ეფენდი განსაკუთრებულ ძალას ფლობდა, ისეთი სასწაულების მოხდენა შეეძლო, რაც ჩვეულებრივი აღმიანის ძალას აღემატებოდა და მის ღვთიურ გამორჩეულობას ამტკიცებდა.

ასეთივე არაჩვეულებრივია მის მიერ ამ უნარების შეძენის ამბავიც. “ახალგაზრდობაში ისა-ეფენდი ისეთივე იყო როგორც სხვები. ერთხელ დამით მოუხდა სასაფლაოსთან ახლოს გავლა, იქ ცუდად გამხდარა და წაქცეულა. მოელი დამე სასაფლაოზე გაუტარებია და სიზმრად თუ ცხადად უნახავს ვიდაცა, რომელმაც გააფრთხილა შეეცვალა ცხოვრების წესი. სახლში დაბრუნებულ ისა-ეფენდის ორმოცი დღის მანძილზე მარხვა შეუნახავს. სხეულისა და სულის განწმენდის შემდეგ დაუწყია ქაფაგება” (საველე დღიური 2010). მეორე ვერსიით “ისა-ეფენდი ახალგაზრდა რომ იყო ერთხელ მეგობრებმა წაიყვანეს ქორწილში, გზად სასაფლაო უნდა გაევლოთ და იქ ცხენები გაუქნედათ, მაშინ ისა-ეფენდი ჩამოსულა “ლინეიკიდან” და მაშინვე დაბრულა, მის მუგობრებს კი ღვთის ძალით დავიწყებიათ ისა-ეფენდი. როცა მარტო დარჩა, მას ერთ-ერთი საფლავისკენ გაუწია გულმა. ეს ცნობილი შეიხის საფლავი ყოფილა. ისა ეფენდიმ მოელი დამე მასთან საუბარში გაუტარებია, სახლში შეცვლილი დაბრუნებულა. ოჯხის წევრებმა გადაწყვიტეს რომ გაგიედა და დაიწყეს მისი ტარება სხვადასხვა მოლებთან და შეიხებოთან. ისა-ეფენდი მათი ნების წინააღმდეგ არ წასულა და დაყვებოდა. ამ სიარულში მამამისი რამდენჯერმე დარწმუნდა ისა-ეფენდის ძალაში, ბოლოს აღიარა რომ შეიხი იყო და ნება მისცა წასულიყო” (საველე დღიური 2010).

ისა-ეფენდის შესახებ არსებულ ნარატივებში თვალ-

საჩინოდ ჩანს, თუ რა გზის გავლა მოუხდა მას წმინდა კაცად აღიარებამდე. ეს არის გარკვეული ეტაპები, საკუთარი დანიშნულების აღსრულებამდე, კერძოდ, ისა-ეფენდი იტანჯა, განიწმინდა, გაემიჯნა ძველ ცხოვრებას და სხვა ადამიანებისთვის სულიერი დახმარების გაწევა იტვირთა.

თავად მოხრობელთა განმარტებით შეიხი რომ გახდება კაცი თავის სოფელში დარჩენის უფლება აღარ აქვს. მისი ახალი ცხოვრების წესი ახალ გარემოს საჭიროებს, სადაც მისი “ღვთაებრიობამდელი” ყოველდღიურობის შესახებ ცოდნა ნაკლები იქნება. თუმცა, ახალი გარემო მაინც საჭიროებს კეთილგანწყობის მოპოვებას. ასეთ დროს აუცილებელი ხდება სასწაულების მოხმობა, განსაკუთრებული უნარების დემონსტრირება და ამ გზით სოცილაური კაპიტალის დაგროვება. ასე მოხდა ისა-ეფენდის შემთხვევაშიც. დღემდე მრავალი ნარატივია შემორჩენილი ისა-ეფენდის სასწაულებზე: “დუისში რომ მოვიდა ისა-ეფენდი წინასწარმეტველის სახელი პქონდა. სადაც გაჩერდა იმ ოჯახის რძალს მისი გამოცდა გადაუწყვეტია და მოპარული საბანი მიუცია, დილით კი ეს საბანი გარეთ გადაგდებული დახვედრია. ისა-ეფენდის კი უთქვამს ეს მეორედ არ მომაკაროო და მერე დაუწვავთ”; “ერთხელ ძირათზე ერთი ქალი მოვიდა, და სანამ შემოვიდოდა დობეში დამალა ბურნუთი. შემთხველს ისა-ეფენდიმ უთხრა ახლა წადი და ის რაც დამალე გადაგდეო”; “ერთხელ ერთმა ქალმა დააგვიანა ძირათზე და მოიბოლიშა ბევრი საქმე მქონდათ. ისა-ეფენდის სხევებისთვის უთქვამს, კველა საქმე ოხრად დარჩება ერთ წელში და მისთვის აქ მოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, მართლაც ერთ წელში ის ქალი გარდაცვლილა”; “ერთხელ ისა-ეფენდის დაკარგული საქონლის პოვნა სოხოვეს, მან მიასწავლა სად იყო იმ მოზევრის ძლები და თან გააფრთხილა კველა მეორეჯერ ასეთი თხოვნით აღარ მომმართოთ”; “პირველად ომალოში რომ მისულა ისა-ეფენდი იქ სასაფლაოზე გახულა და ერთ საფლავთან გაჩერებულს უთქვამს, ეს ისეთი წმინდა კაცი იყო მისი ნეშტი არ გახრწილათ. მერე ამოუთხრიათ და მართლაც ისე აღმოჩნდა როგორც ისა-ეფენდიმ თქვა”; “ერთი კაცი თურმე დასცინოდა ნაყშბანდის ხალხს და ერთ დღესაც ესენი რომ ძია-

რათხ ასრულებდნენ იმ ეზოს გადაღმა დაინახეს ამ კაცს როგორ ახტუნებდა რადაც ძალა, გიუვით იყო. მერე გონის რომ მოვიდა ნაყშბანდის წევრი გახდა” (საველე დღიური 2010) და ა.შ. ამ ნარაგივების მიხედვით, ისა-ეფენდის პქონდა მომავლის განჭვრეტის უნარი, შეეძლო დაენახა და ეგრძნო ის რაც დაფარული იყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის და შეეძლო გამოყენებინა თავისი უნარი როცა სურდა.


ისა-ეფენდის ისიც წინასწარ სცოდნია, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი ნათესავები მის ნეშტს სოფელ კაბალში წაასვენებდნენ და წინასწარ დაიბარა რაც სურდა. მას უთქამს იმ ოჯახის დიასახლისისთვის სადაც ცხოვრობდა “მე რომ მოვკვდები ჩემი ნათესავები მოვლენ, ნეშტის წაღებას მოიდომებენ და მანამ არ გაატანო, სანამ აქაური მოლა ახა-კა არ გამბანსო. მართლაც ეს ქალი წინ გადაღობებით ისა-ეფენდის ძმას, სანამ ახა-კა არ მოვიდა. რომელსაც არ სჯეროდა ისა-ეფენდის სიწმინდე, მაგრამ მაშინ დარწმუნდა, როცა ნახა, რომ მიცვალებული საწოლზე კი არ ესვენა, არამედ ჰაერში იყო გაჩერებული საწოლიდან ოთხი თითის დაშორებით. განსაბან ტახტეც თავად გადაუნაცვლებით სხეულს. ამის დამნახავ ახა-კას ტირილი და გოდება დაუწყია, რატომ მაშინ არ მივაგე სათანადო პატივი სანამ ცოცხალი იყო” (საველე დღიური 2010).

ისა-ეფენდი ბადაკშვილების სახლში გარდაიცვალა, იქ სადაც ცხოვრობდა. შეის-ვირდის წევრებს თავიანთი მოდგრის ნეშტის გატანება არ უნდოდათ, მაგრამ ნათესავებმა მაინც სოფელ კაბალში წაასვენეს, ისე როგორც იწინასწარმეტყველა თავად. არადა უკვე ამზადებდნენ საფლავს, ნიჩაბიც იყო დაკრული იმ ეზოში სადაც ცხოვრობდა ისა-ეფენდი. საბოლოოდ, ამ ადგილას დაიდო მემორიალური ქვის ფილა წარწერით და ეს ადგილი სიმბოლურ საფლავად იქცა. ფილაზე რამდენიმე რელიგიური ფორმულად დატანილი არაბულენაზე (ალაქ, მუჰამედი; დალოცოს ალაქმა), ასევე მოცემულია ტექტი, სადაც წერია, რომ ეს საფლავის ქაა ეპუთენის შეის ისა-ეფენდის, იბრაჟიმ ალ-დაღესტანის ვაჟს, რომელიც დაკრძალეს რაჯაბის თვის მეთერთმეტე დღეს (30 მარტი). იქვეა მითითებულია, რომ წარწერა გააკეთებინა ისა-ეფენდის უფროსმა ძმამ. (Хапизов, 2012). მოგვიანებით ქვას ღობე შემოაფ-

ლეს. ამ ადგილას დაიწყეს რიტუალების შესრულებაც. მ. ალბუთაშვილის ცნობით, “სადაც ის მოკვდა, ხალხი ლოცულობდა. მიურიდები და სხვა ხალხი კაი ხანობამდე იქვე “მიქარს” მართავდნენ (ალბუთაშვილი: 2005: 162). მოხროვებლთა ოქმით: “მარხვის მერე ბაირამობას მოდის აქ ხალხი, კაბადიდანაც მოდიან, მოაქვთ საჭმელი. სუფრა იშლება ამ ეზოში. სალოცავი ოთახიდან გამოგვაქვა ისა-ეფენდის სურათი, ამ საფლავთან ვდებოთ და ხალხი ლოცულობს, ყველა თავის სათხოვარს თხოვს. ზოგი ტირის კიდეც, ზოგი კოცნის. თუ საჭმელი დარჩება სულ უნდა დარიგდეს არ შეიძლება არც ერთი ლუქმის ამ სახლში დატოვება. რამდენიმე წლის წინ ასეთ ბაირამობაზე აზერბაიჯანელებიც იყვნენ” (საველე დღიური 2010).

ისა-ეფენდის სიმბოლურ საფლავს პატივს სცემენ, როგორც საფლავს განსაკუთრებული შეიხისა. მისი მიურიდები დღემდე თაყვანსცემენ მას და თვლიან, რომ მას დღესაც შეუძლია სასწაულების მოხდენა, განსაკუთრებით იმ სახლში სადაც ცხოვრობდა გარდაცვალებამდე (Вачагаев, 2010).

კაბალში ისა-ეფენდის რეალურ საფლავზეც დაახლოებით ისეთივე შინაარსის საფლავის ქვა დევს, როგორც დუისში (Хапизов, 2012). ამ საფლავზეც დადიან შეის-ვირდის წევრები, თუმცა იშვიათად, შემთხვევიდან-შემთხვევამდე. თუმცა, ცდილობენ კავშირები არ გაწყვიტონ ისა-ეფენდის ნათესავებთან კაბალში. მაგრამ შეის-ვირდის პანკისელი წარმომადგენლებისთვის სწორედ დუისში არსებული სიმბოლური საფლავია უფრო მნიშვნელოვანი. როგორც ჩანს ეს ფაქტი იმით აისხება, რომ ობიექტი, საკრალური ხდება ფართო სიმბოლურ რიგორან კავშირის შედეგად, ე.ი. ნებისმიერი საგანი ან სივრცე, რომელიც დაკავშირებულია რაიმე სიმბოლურ მნიშვნელობებთან შეიძლება საკრალური გახდეს. ისა-ეფენდის სიმბოლურ საფლავს რაც შეეხბა, სწორედ ისა-ეფენდის, როგორც წმინდა კაცის, შეიხის, მასწავლებლის სიწმინდის რწმენა გადადის მატერიალური არტეფაქტის მნიშვნელობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი სხეული იქ არ განისვენებს, მაგრამ მისი სახე მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ტერიტორიასთან, ეზოსთან, სახლთან სადაც ის ცხოვრობდა და მოდგაწეობდა, სოფელთან, და მით უმეტეს მისოვების გაჭრილ საფლავთან.



სოფ. დუისი, შეის ისა-ეფენდის სიმბოლური საფლავი

სიმბოლური საფლავების არსებობა სხვადასხვა ხალ-  
ხის კულტურაში უძველესი დროიდან დასტურდება (იხ.  
მინდაძე, ჭანიშვილი, 2012). ორგორც ნ. მინდაძე და ო. ჭა-  
ნიშვილი მართებულად აღნიშნავენ, მათი გამართვის ტრა-  
დიციას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იდეოლოგიური  
საფუძველი ჰქონდა. განსხვავებულია მათი გამართვის ინ-  
სტრუმენტალური მხარეც და ფუნქციონალური დატვირ-  
თვაც. სუფიურ ისლამში განსაკუთრებული მნიშვნელობა  
მასწავლებლისა და მოსწავის სულიერ კავშირს აქვს. ტა-  
რიკარები სწორედ სულიერი კავშირების ჯაჭვზე (სილსი-  
ლაზე) ორიენტირებული. ამიტომ მასწავლებლის, უსტა-  
ზის ფიგურა გადამწყვეტია და ცოცხალი უსტაზის არ ყო-  
ლის შემთხვევაში, ჩნდება მოთხოვნილება მატერიალური  
რეალიებით, ფიზიკურად იქნას დადასტურებული სულიერი  
კავშირები.

სწორედ ამიტომ შეიძინა ისა-ეფენდის სიმბოლურმა  
საფლავმა საკრალური მნიშვნელობა, იქ ტარდება რიგი  
რიტუალები და იგი ემსახურება ჯგუფის იდენტობის გან-  
მტკიცება-დადასტურებას. სივრცის სიმბოლური ნიშნებით  
მოწესრიგება არსებითია თითოეული კონტექსტის შიგნით,  
მხოლოდ ამ კონტექსტისოვის გასაგები მნიშვნელობებით,  
როგორც ჩანს, ამიტომაც აღმოჩნდა ისარ ეფენდის მოღვაწე-  
ობისა და სიკედილის აღგილი უფრო მეტი მნიშვნელობის  
მქონე მისი მიმდევრებისთვის. სიმბოლური საფლავი ჯგუ-  
ფის კულტურულ და ამავე დროს გეოგრაფიულ სივრცე-  
შია მოქცეული და ფუნქციური დატვირთვაც აქვთ გა-  
მომდინარე შეიძინა. განსხვავებით ისარ ეფენდის დაბადები-  
სა და დაკრძალვის აღგილისგან, რომელიც ჯგუფის გეოგ-  
რაფიული, შესაბამისად კულტურული არეან და ესე იგი  
მნიშვნელობათა კონტექსტიდან ამოვარდნილი და ამდენად  
არაარსებითია.

## დამოწმებული ლიტერატურა:

- ალბუთაშვილი გ. პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა), თბილისი 2005.
- მარგოშვილი ლ. პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბილისი 2002.
- მინდაძე ნ., ჭანიშვილი თ. კენობაფის გამართვის ტრადიცია საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრის გამოცემის “ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში” დამატება “იძერია-ჯოლხეთი”, თბ. 2012.
- ხანგოშვილი ხ., ქისტები (ისტორიულ-პოპულარული ნარჩევი), თბილისი 2005.
- ხუციშვილი ლ., რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), თბილისი 2002.
- Вачагаев М. К вопросу о суфийском элементе ислама в Панкиси (Грузия) // Журнал «Prometheus». №5. Париж, 2010 г.  
<http://www.chechen.org/page,2,393-zhurnal-chast.html>
- Керлот Х. Словарь символов, М. 1994.
- Лич Э., Логика взаимосвязи символов, К использованию структурного анализа в социальной антропологии, М. 2001.
- Токарев С.А. К Методике этнографического изучения материальной культуры, «Советская Этнография», М. 1970 №4.
- Хапизов Ш., Распространение ислама в Панкисском ущелье, 2012  
<http://as-sarir.ru/index.php>
- Элиаде М. Космос и история, М. 1987.
- Heiler Fr. Die Religionen der Menschheit, Frankfurt aM. 1991.

Ketevan Khutishvili

## Construction of sacredness of space and object (The case of Sheikh Isa-Efendi grave)

In the traditional societies sacral and propane are eternal parts of the whole. The worldview of the society and its belief system tries to interpret and prove the correlation of these opposites. The development of the being realities is greatly influenced by the understanding of the sacred. In the same time the construction of sacred, labeling some objects or spaces as sacred is highly depended on the peculiar context. In these terms the case of Sheikh Isa-Efendi seems to be interesting. The founder and leader of the Naqshbandiya tariqah in Georgia Sheikh Isa-Efendi since 1909 lived in village Duisi of Pankisi gorge. He died in 1920. The Naqshbandiya group members wanted to bury his body in the yard of his Duisi house and even have started to dig the grave, but the relatives of Isa-Efendi have taken his corpse to his native village Kabali, Lagodekhi district. So have been appeared two graves of Isa-Efendi: real (with the body in it) and symbolic (memorial). But as the Naqshbandiya group members are living in Pankisi the symbolic grave and the room where Sheikh Isa-Efendi has lived and died received more importance for them as the real grave. In the article there is discussed the reasons why the symbolic memorial is turning into the sacred object and how the relations are constructed within the group because of this fact.

## შინაარსი

<b>მინდაძე ნინო</b>	
ვერა ბარდაველიძე.....	5
<b>Mindadze Nino</b>	
Vera Bardavelidze.....	16
<b>აბაკელია ნინო</b>	
ვერა ბარდაველიძე – რიტუალის მკვლევარი.....	17
<b>Abakelia Nino</b>	
Vera Bardavelidze – ritual explorer.....	27
<b>ალავერდაშვილი ქათუგან</b>	
საწესო ფერხულების შესწავლისათვის.....	29
<b>Alaverdashvili Ketevan</b>	
Towards the investigation of ritual round dances.....	38
<b>გოგიაშვილი ელენე</b>	
ფოლკლორი და სტრუქტურალიზმი.....	40
<b>Gogiashvili Elene</b>	
Folklore and Structuralism.....	48
<b>გოცირიძე გიორგი</b>	
ქართული საწესო სუფრის გენეზისის საკითხი	
ვ. ბარდაველიძის ნაშრომების მიხედვით.....	49
<b>Gotsiridze Giorgi</b>	
The task of genesis of Georgian ritual supra according the works of V. Bardavelidze.....	58
<b>გუგუშვილი სოფიო</b>	
კახი (ისტორია და თანამედროვეობა) .....	59
<b>Gugoshvili Sophio</b>	
Kakhi (History and Modernity) .....	65

## გუჯეჯიანი როზეტა

„კვირია“ ტრადიციულ ქართულ კულტურაში.....	66
<b>Gugejiani Rozeta</b>	
“Kviria” in Traditional Being of Svaneti.....	84

## დიასამიძე ეკატერინე

მრავალხმიანობა და ქართული ტრადიციული	
გალობა (ნარევევთა მიმოხილვა).....	86
<b>Diasamidze Ekaterine</b>	
Polyphony and Georgian traditional chanting.....	94

## ვარდოშვილი ეკა

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების	
ეთნოგრაფიული საფუძვლებისთვის.....	96
<b>Vardoshvili Eka</b>	
On ethnographic roots of Aleksandre Kazbegi's works.....	103

## იანტბელიძე კონსტანტინე

ფოტოკამერა ვიზუალურ ანთროპოლოგიაში.....	104
<b>Iantbelidze Konstantine</b>	
The camera in visual anthropology.....	111

## იოსელიანი ხათუნა

დაკრძალვასთან დაკავშირებული ერთი	
რიტუალის შესახებ სვანეთში.....	112
<b>Ioseliani Khatuna</b>	
About a Ritual Connected With Burial in Svaneti.....	119

## ქაშილავა ირმა

ვასთირჯი (წმინდა გიორგი) ოსურ ხალხურ	
ზეპირსიტყვიერებაში.....	120
<b>Kvashilava Irma</b>	
Vastirji (Saint George) in Osetian Folklore.....	134

<b>ქიქნაძე ზურაბ</b>	
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი.....	135
<b>Kiknadze Zurab</b>	
Christian Substrate of the Religious System of the Eastern Georgian Mountaineers.....	160
<b>ლომთათიძე თამილა</b>	
რელიგიური დანაშრევები შემოვლით რიტუალებში (აჭარის მაგალითზე) .....	162
<b>Lomtatisidze Tamila</b>	
Religious layers in the rituals of bypass (on the example of Adjara).....	173
<b>მამისიმედიშვილი ხვთისო</b>	
საკულტო ტექსტების კლასიფიკაცია.....	174
<b>Mamisimedishvili Khvtiso</b>	
Classification of cult texts.....	182
<b>მახაური ტრისტან</b>	
წარმართული დანაშრევები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტებში.....	185
<b>Makhauri Tristan</b>	
Vestiges of paganism in the cult texts of eastern Georgia.....	197
<b>მინდაძე ნინო</b>	
პიროვნების შინაგანი კონფლიქტი და რჩეულობის ტრადიციული ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.....	199
<b>Mindadze Nino</b>	
Inner Conflict of a Person and the Traditional Institution of the Selectness in the Mountainous Part of the Eastern Georgia.....	207

<b>მიქელაძე მერაბ</b>	
ფრანგული სოციალური ანთროპოლოგია ტოტემიზმის შესახებ.....	209
<b>Mikeladze Merab</b>	
Totemism in the French Social Anthropology.....	231
<b>ნებიერიძე ლელა</b>	
„შეშინებულის“ მკურნალობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები იმერეთში.....	233
<b>Nebieridze Lela</b>	
The Rites of Healing the “Scared” in Imereti.....	240
<b>რურუა პირიმზე</b>	
ლირებულებები და აღზრდისტრადიციული სისტემა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის მაგალითზე).....	241
<b>Rurua Pirimze</b>	
The Values of the Society and the Traditional System of Bringing up Children (On the example of the ethnographic material of South-Western Georgia).....	258
<b>სანიკიძე ინგა</b>	
“სახლ” ფუძის ეტიმოლოგიისათვის ქართულში.....	259
<b>Sanikidze Inga</b>	
On Etymology of stem [sakhl] in Georgian language.....	267
<b>სიხარულიძე ქეთევან</b>	
ადამიანი, როგორც პერსონაჟი კავკასიელთა წეს-ჩვეულებებში.....	269
<b>Sikharulidze Ketevan</b>	
Human as an Actor in Caucasian Rituals.....	275
<b>ტურაბელიძე ნატო</b>	
მეიერ შაპირო 『ხელოვნების სტილის მკვლევარი』.....	276
<b>Turabelidze Nato</b>	
Meyer Schapiro – researcher of art styles.....	288

<b>ურუშაძე თეა</b>	
ხევსურული ორნამენტის მხატვრული ანალიზი.....	291
<b>Urushadze Tea</b>	
The Artistik Analysis of the Khevsurian Ornament.....	295
<b>ფიფია ირაკლი</b>	
ვერა ბარდაველიძის წერის მეთოდიკა.....	297
<b>Pipia Irakli</b>	
Vera Bardavelidze's Writing Style.....	302
<b>ფუტქარაძე თამაზ</b>	
თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები	
ისტორიულ საქართველოში.....	305
<b>Putkaradze Tamaz</b>	
Anthroponyms of Turkish origins in Historical Goeriga.....	316
<b>ქურდოვანიძე თეიმურაზ</b>	
მზეთუნახავი ქართულ ზღაპარსა	
და „ვეფხისტყაოსანში“.....	317
<b>Kurdovanidze Teimuraz</b>	
Mzetunakhavi in Georgian Fairy-tale and	
in “Man in the Panther’s Skin”.....	327
<b>ჩელებაძე ნაილა</b>	
აჭარის საოჯახო ყოფის საკითხები ვერა	
ბარდაველიძის საველე ჩანაწერებში (1933 წლის	
აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) .....	328
<b>Chelebadze Naila</b>	
“The subjects of Family Life in Adjara in	
Vera Bardavelidze’s Notes” (According to Ethnographic	
works in Adjaria in 1933) .....	335
<b>ჩირგაძე ნინო</b>	
ჯანმრთელობის დაცვის ხალხური	
ტრადიციები კახეთში.....	336

<b>Chirgadze Nino</b>	
Folk Tradition of Healthcare in Kakheti.....	342
<b>ლუდუშაური თინათინ</b>	
საიქიო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს	
მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებში (ქართულ-	
გერმანული მასალის შედარებითი ანალიზი).....	344
<b>Gudushauri Tinatin</b>	
The Next World in the Religious Conceptions	
of the Mountaineers of West and East Georgia	
(Comparative Analysis) .....	366
<b>ხუციშვილი ქათევან</b>	
სივრცისა და მატერიალური ობიექტების	
საკრალურობის კონსტრუქცია	
(შეიხ ისა-ეფენდის საფლავის მაგალითზე).....	367
<b>Khutshishvili Ketevan</b>	
Construction of sacredness of space and object	
(The case of Sheikh Isa-Efendi grave).....	379